# BP საქართველო

**2006 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში**

## BP ჯგუფი

BP გაზის, ნავთობისა და ნახშირბადის დაბალი შემცველობის სხვა წყაროებიდან აწარმოებს ენერგიას ტრანსპორტირების, ელექტროენერგიის, გათბობისა და განათების, ყოველდღიური მოხმარების საგნებისა და პროდუქტებისათვის. ჩვენ ვსაქმიანობთ გლობალურად და დაახლოებით 100 ქვეყანაში 97000-ზე მეტი ადამიანი გვყავს დასაქმებული. წილობრივად ვმონაწილეობთ 26 ქვეყანაში მიმდინარე საძიებო და მოპოვებით საქმიანობაში. ჩვენი კაპიტალური აქტივების დაახლოებით 40% აშშ-ში მდებარეობს, ხოლო 25% – დიდ ბრიტანეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

2006 წელს BP ჯგუფი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ მომხმარებელს დღეში თითქმის ოთხ მილიონ ბარელ ნავთობსა და გაზს აწვდიდა. ამ წელს დაიწყო აზერბაიჯანში აღმოსავლეთ და დასავლეთ აზერის პლატფორმებიდან ნავთობის მოპოვება, რომელიც საქართველოზე გამავალი ახლახან დასრულებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ევროპის ბაზრებს მიეწოდება. 2006 წელს ჯგუფის კაპიტალური დანახარჯები სულ 17,2 მილიარდი აშშ დოლარი იყო. აშშ-ის ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიის (SEC) მონაცემებით, 2006 წელს ჩვენი რეზერვების ჩანაცვლების კოეფიციენტმა 113% შეადგინა.[1]

## წინამდებარე ანგარიში: მიმოხილვის სფერო და პროცესი

BP-ისათვის მდგრადი განვითარება ნიშნავს მისი, როგორც საწარმოო ჯგუფის უნარს, განაახლოს აქტივები, შექმნას და მომხმარებელს მიაწოდოს უკეთესი პროდუქცია და საზოგადოების მზარდი მოთხოვნები უკეთესი მომსახურებით დააკმაყოფილოს, მოიზიდოს თანამშრომელთა ახალი თაობები, საკუთარი წვლილი შეიტანოს გარემოს დაცვაში და შეინარჩუნოს როგორც საკუთარ მომხმარებელთა, ასევე აქციონერთა და იმ საზოგადოების ნდობა და მხარდაჭერა, სადაც საქმიანობს.

წინამდებარე ანგარიში ჩვენ მიერ საქართველოში განხორციელებული მდგრადი განვითარების ხელშემწყობი საქმიანობის შესახებ გამოქვეყნებული რიგით მესამე ანგარიშია, რომელიც საქართველოს 2004 წლის მდგრადი განვითარების მიმოხილვისა და 2005 წელს გამოქვეყნებული მდგრადი განვითარების სრული ანგარიშის საფუძველზე მომზადდა. 2006 წელს ჩვენმა საქმიანობამ მშენებლობის ფაზიდან გრძელვადიანი ექსპლუატაციის ფაზაში გადაინაცვლა. ეს ის გარდამავალი პერიოდია, როდესაც ჩვენი, როგორც ნავთობისა და გაზის რესურსების ოპერატორის, როლი იზრდება, რომლის შესრულებას დიდი ხნის განმავლობაში ვაპირებთ. მიუხედავად იმისა, რომ საქმიანობა იცვლება, გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ვალდებულება იგივე რჩება. მდგრადი განვითარების მომავალ ანგარიშებში გავაგრძელებთ ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტებსა და, ამავე დროს, ჩვენი მკითხველებისათვის საინტერესო საკითხებზე საუბარს.

ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია კომპანიის მიერ ქვეყანაში განხორციელებულ საქმიანობას მთლიანობაში წარმოაჩენს, ამასთანავე, ცალკეულ პროექტებსა და ოპერაციებსაც ასახავს. ანგარიში თბილისის ოფისმა მოამზადა და მასში აღწერილია ჩვენი საქმიანობა მთელი ქვეყნის მასშტაბით. როგორც წინათ, ახლაც ფორმალური პროცედურის დაცვით წარმოვაჩინეთ შიდა და გარე მხარეებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რათა ჩვენი საქმიანობა ანგარიშში მრავალმხრივად და სწორად ასახულიყო.

[1] ფილიალებსა და საკუთარი აქციებით პასუხისმგებელ საწარმოებთან ერთად, შესყიდვებისა და გასხვისების ჩაუთვლელად.


**1 BP საქართველოს გენერალური მენეჯერის წერილი**
**2 რას ნიშნავს BP-ისთვის პასუხისმგებლობა**
**3 2006 წლის შედეგები**
**4 საქმიანობა ჩვენი პასუხისმგებლობით**
5 როგორ ვმუშაობთ
7 ჩვენი კომერციული საქმიანობა
10 ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობა
11 დიალოგი და თანამშრომლობა
17 ჯანდაცვა და უსაფრთხოება
20 ეკოლოგიური თვალსაზრისით გამართლებული საქმიანობა
24 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა
25 უშიშროება და ადამიანის უფლებები
27 ჩვენი თანამშრომლები
**30 ჩვენი როლი საზოგადოებაში**
31 სოციალური და გარემოსდაცვითი ჭრილი
32 კლიმატის ცვლილება
33 ეფექტური მართვის ხელშეწყობა
34 ბიზნესის განვითარება
35 განათლება
37 ხელმისაწვდომი ენერგია
38 ჩვენი პროგრამები
**42 მუშაობის ეფექტურობის მაჩვენებლები**
**43 დოკუმენტის შესაბამისობის დადასტურება**
**44 ტერმინების განმარტება**
**45 დამატებითი ინფორმაცია**


მუშაობა მიმდინარეობს სადგურზე Area 80, თურქეთის საზღვართან ახლოს.

---

### განცხადება **BP** ჯგუფის აუდიტორის, **Ernst & Young**-ისაგან

ჩვენ შევისწავლეთ BP საქართველოს 2006 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში, რათა BP-ის ხელმძღვანელობისათვის დაგვედასტურებინა, რომ კომპანიის მიერ საქართველოში მდგრადი განვითარებისთვის განხორციელებული საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი მონაცემები, განცხადებები და მტკიცებულებები ფაქტებითა თუ ახსნა-განმარტებებით სათანადოდაა დასაბუთებული. ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგები და დასკვნები წინამდებარე ანგარიშის 43-ე გვერდზეა მოყვანილი.

წინამდებარე ანგარიშში „BP"-ის და „BP ჯგუფის" დასახელებისას იგულისხმება BP p.l.c., მისი ფილიალები და შვილობილი კომპანიები. ანგარიშში ერთიანად არის წარმოდგენილი BP p.l.c.-ის, მისი ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების მიერ განხორციელებული ღონისძიებები და საქმიანობა, თუკი სხვაგვარად არ არის მითითებული. ნაცვალსახელები „ჩვენ" და „ჩვენი" გულისხმობს BP ჯგუფის იმ კომპანიებს, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ, თუკი სხვაგვარად არ არის განმარტებული.


წინამდებარე ანგარიშში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება მოცემულია 44-ე გვერდზე.

# BP საქართველოს გენერალური მენეჯერის წერილი

2006 გარდამავალი წელი იყო, რომელიც მშენებლობის წარმატებით დასრულების შემდეგ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა (BTC) და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის (SCP) სრულ ექსპლუატაციაში გაშვებით აღინიშნა. BTC-ის სრულად ამუშავება, რომლის ოფიციალური ცერემონია ივლისში თურქეთის პორტ ჯეიჰანში გაიმართა, არის დაგვირგვინება საინჟინრო და მენეჯმენტის იმ უმნიშვნელოვანესი მიღწევისა, რომლისთვისაც ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში ათასობით ადამიანი შრომობდა.

ჩვენთვის და ჩვენი პარტნიორებისათვის SCP-ის დასრულება და საქართველოს გაზგამანაწილებელ სისტემასთან დამაკავშირებელი გაზსადენის მშენებლობა ქვეყნისთვის პირველი გაზის მისაწოდებლად გადადგმული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. ამ გზით პირველი გაზი საქართველოში 2007 წლის იანვარში შემოვიდა, რაც ამ ქვეყნის მოსახლეობისა და ხელისუფლებისთვისაც დიდი მიღწევა იყო.

მშენებლობის დამთავრება და მილსადენების ექსპლუატაციის დაწყება, რა თქმა უნდა, არ არის ისეთი უბრალო და მარტივი ღონისძიება, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. ერთი ფაზიდან მეორეზე უსაფრთხოდ და ეფექტურად გადასვლა ასობით ადამიანის ძალისხმევის შედეგია. ამ რთული ამოცანის შესასრულებლად საჭირო გახდა თანამშრომელთა და ტექნიკის მობილიზაცია, ახალი კონტრაქტორების აყვანა, ცვლილებების მართვისათვის აუცილებელი სისტემებისა და პროცედურების დანერგვა, ჯგუფების შეერთება, ასევე ახალი ჯგუფებისა და ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა – ყოველივე ეს გაკეთდა ყოველდღიური საქმიანობის პარალელურად. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გარდამავალი პროცესი დღემდე შეუფერხებლად მიმდინარეობს.

ზემოთ აღნიშნულ ძალისხმევას ჩვენთვის ხელი არ შეუშლია, ახალი ნაბიჯები გადაგვედგა. კვლავაც ვავითარებთ ადგილობრივ პოტენციალს არა მხოლოდ საინჟინრო და სამშენებლო საქმიანობით, არამედ უფრო ფართო ღონისძიებებით. პარტნიორებთან ერთად შექმნილმა რეგიონული განვითარების ინიციატივამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რეგიონის შესაძლებლობების განვითარებას ბიზნესისა და ინფრასტრუქტურის მხარდაჭერით. BP-ის მიერ პირდაპირ ან მთავრობასთან შეთანხმებული საგრანტო პროგრამებით დაფინანსებული სოციალური ინიციატივების განხორციელებით გაგრძელდა საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის პროექტების, ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაძლიერების, განათლებისა და ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერა.

საქმიანობა და მიღწევები ცხადად წარმოაჩენენ შემდეგი მნიშვნელოვანი გზავნილის არსს: BP, როგორც ოპერატორი, საქართველოში კიდევ დიდხანს დარჩება. კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზის საბადოები ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და დიდია მთელ მსოფლიოში. BP-მ მსხვილი ინვესტიცია უკვე განახორციელა რეგიონსა და საქართველოში. უსაფრთხოების დაცვითა და პასუხისმგებლობით კვლავაც გავაგრძელებთ ქვეყანაში ჩვენი როლის შესრულებას, რაც სარგებელს მოგვიტანს ჩვენც, პარტნიორებსაც და ქართველ ხალხსაც.

**ჰიუ ჯ. მაკდაუელი**
BP საქართველოს გენერალური მენეჯერი
ივნისი, 2007 წელი

# რას ნიშნავს BP-ისთვის პასუხისმგებლობა

**წინამდებარე ანგარიშის სტრუქტურა ეფუძნება ჩვენი შეხედულებების იმ მოდელს, რომელსაც BP-ში კორპორაციული პასუხისმგებლობის სხვადასხვა ასპექტის აღსაწერად ვიყენებთ. ამ სისტემის თანახმად, ჩვენი საქმიანობა იყოფა ორ კატეგორიად: პირველი, რომელსაც ვაკონტროლებთ და მეორე, რომელზეც გავლენას ვახდენთ. „ კონტროლის სფერო" გულისხმობს ჩვენს საქმიანობებს, „გავლენის სფერო" კი ჩვენი საქმიანობის საზღვრებს სცილდება და საზოგადოებრივ და ეკოლოგიურ ასპექტებს მოიცავს.**




**1 თავი: კონტროლის სფერო**

**საქმიანობა ჩვენი პასუხისმგებლობით**

სამუშაო პასუხისმგებლობა ორი დონისაგან შედგება: პირველ დონეზე იგი გულისხმობს საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულებას. მეორე, უფრო მაღალ დონეზე, ვცდილობთ ვიმუშაოთ, როგორც „პროგრესულმა ოპერატორმა", ვაწესებთ რა საკუთარ სტანდარტებს, რომლებიც საკანონმდებლო მოთხოვნების ჩარჩოებს სცილდება. ჩვენი აზრით, კომპანიას, რომელიც მუდამ წარმატებისკენ მიისწრაფვის, უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური და კოლექტიური ქცევის უნივერსალური სტანდარტები. ისეთ დიდ და მრავალმხრივ ორგანიზაციაში, როგორიცაა BP, ამის მიღწევა ჩვენი უპირველესი ამოცანაა. ანგარიშის I ნაწილში აღწერილია 2006 წელს ამ სფეროში განხორციელებული ჩვენი საქმიანობა.

**2 თავი: გავლენის სფერო**

**ჩვენი როლი საზოგადოებაში**

ვცდილობთ, პირველები ვიყოთ ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა კლიმატის ცვლილება და განვითარება, სადაც ჩვენი გამოცდილება, კაპიტალი და შესაძლებლობები დადებითი ზეგავლენის საშუალებას გვაძლევს. კლიმატის ცვლილების საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯები არსებითად სცილდება მხოლოდ ჩვენივე ემისიების შემცირებას და გულისხმობს, აგრეთვე, საკანონმდებლო დებატებში მონაწილეობას, კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობასა და ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროში ახალი და უფრო უსაფრთხო ტექნოლოგიების დანერგვას. „BP-ის ალტერნატიული ენერგიის" ბიზნეს-მიმართულების დახმარებით ფინანსდება განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის დარგები. ახალი თაობის, ნახშირბადის დაბალი შემცველობის სატრანსპორტო საწვავის კვლევის, განვითარებისა და რეალიზაციისთვის 2006 წელს წამოვიწყეთ ბიო-საწვავის ბიზნესი. რაც შეეხება სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ჩვენი წვლილი ძირითადად სახელმწიფო შემოსავლების ზრდაში, სამუშაო ადგილების შექმნაში, კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროდუქციის წარმოებაში გამოიხატება. თუმცა, კიდევ უფრო დიდი როლი უნდა შევასრულოთ მასპინძელ ქვეყნებში ეფექტური მმართველობისა და საზოგადოებრივი პროგრესის ხელშესაწყობად. ანგარიშის II ნაწილში აღწერილია 2006 წელს მოცემულ სფეროებში განხორციელებული ჩვენი საქმიანობა.

# 2006 წლის შედეგები

## მიღწევები

**BTC მილსადენის სრულ ექსპლუატაციაში გაშვება** ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენით პირველი ნავთობი დანიშნულების ადგილას 2006 წლის ივნისში ჩავიდა. ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ეს არის ნავთობის ყველაზე დიდი წყარო, რაც OPEC-ის ფარგლებს გარეთ მოუპოვებიათ (გვ. 7-8). გარდა ამისა, ამ პროექტმა მილსადენის დერეფნის ახლოს მცხოვრებ მოსახლეობას სოციალური და ეკონომიკური სარგებლობა მოუტანა (გვ. 39-40).

**SCP-ის დასრულება და საქართველოს გაზგამანაწილებელ სისტემასთან შემაერთებელი გაზსადენის მშენებლობა** ჩვენ სამხრეთ კავკასიური მილსადენის მშენებლობა დავასრულეთ და ავაშენეთ გაზსადენი, რომელიც მას საქართველოს გაზგამანაწილებელ სისტემასთან აკავშირებს. აღნიშნულმა პროექტმა საშუალება მოგვცა, საქართველოსათვის პირველი გაზი 2007 წლის იანვარში მიგვეწოდებინა, რაც ქვეყნის ხელისუფლებისა და მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო (გვ. 9, 37).

**მიწის აღდგენითი სამუშაოების დასრულება** 2006 წელს დასრულდა საინჟინრო და აღდგენითი სამუშაოები იმ მიწაზე, რომელიც BTC და SCP მილსადენების სამშენებლო დერეფანში მოხვდა. გარე აუდიტორებმა და ექსპერტებმა აღდგენითი სამუშაოს ხარისხი ძალიან მაღალ დონეზე შეაფასეს (გვ. 20-21).

**მშენებლობის ფაზიდან ექსპლუატაციის ფაზაზე გადასვლის მართვა** წარმატებით გავართვით თავი ორგანიზაციულ, ტექნიკურ და კომერციულ ამოცანებს მშენებლობიდან მუდმივი ექსპლუატაციის ფაზაზე შეუფერხებლად და უსაფრთხოდ გადასვლის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ რჩება გარდამავალ პროცესთან დაკავშირებული გარკვეული ამოცანები, გვჯერა, რომ ჩვენი ორგანიზაცია სათანადოდ არის მომზადებული საქართველოში ექსპლუატაციის ახალ და ხანგრძლივ ეტაპზე გადასასვლელად (ამ საკითხებთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას ხშირად შეხვდებით ანგარიშის პირველ ნაწილში).

**სოციალური განვითარების ხელშეწყობა** ჩვენი სოციალური ინვესტირების პროექტები კვლავაც ხელს უწყობენ მილსადენის გასწვრივ მოსახლეთა ცხოვრების ხარისხის ამაღლებას. მაგალითად, „გაუმჯობესებული სკოლების პროექტი," გარე შეფასების თანახმად, BTC-ის საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კომპონენტია. კიდევ უფრო დიდ და ფართომასშტაბიან წარმატებას მივაღწიეთ რეგიონული განვითარების ინიციატივის განხორციელების საქმეში (გვ. 35-36, 39-41).

## ამოცანები

**ადგილობრივი ინსტიტუციონალური შესაძლებლობების ხელშეწყობა** კვლავ ვდგავართ სამართლებრივი და ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებული რიგი პრობლემების წინაშე, რომლებიც აფერხებენ და ართულებენ სამუშაო პროცესს. ამ საკითხების გადასაწყვეტად მთავრობასთან მუშაობას გავაგრძელებთ (გვ. 12-13).

**დასავლეთის მიმართულების მილსადენის უსაფრთხო მუშაობა** 2006 წელს აღნიშნულ მილსადენზე წარმატებით განხორციელებული სარემონტო სამუშაოების შემდეგ გადავწყვიტეთ, ჩავატაროთ დამატებითი სამუშაოები მილსადენის მარშრუტის ზოგიერთ მონაკვეთზე მეწყერთან დაკავშირებული საფრთხეების შესასწავლად. შესწავლისას განხორციელებული სამუშაოების უსაფრთხების უზრუნველსაყოფად დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP) ექსპლუატაცია დროებით შეჩერდა (გვ. 8-9).

**ადგილობრივი ხელმძღვანელი კადრების მომზადება** დამატებითი ზომები მივიღეთ ადგილობრივ თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდისა და მათი შესაძლებლობების განვითარებისთვის. თუმცა ხელმძღვანელ თანამდებობებზე სათანადო რაოდენობის ადგილობრივი კადრების დანიშვნა კვლავ ამოცანად რჩება (გვ. 27-29).

**ნარჩენების მართვა** გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ყოველდღიური პრობლემების გარდა, საქართველოში ევროპული სტანდარტების ნაგავსაყრელი ობიექტების არარსებობის გამო ნარჩენების მართვის საკითხი კვლავ რთულად გადასაწყვეტია. ექსპლუატაციის ეტაპზე გადასვლასთან ერთად ამ საკითხის მოსაგვარებლად განსაკუთრებული ყურადღებით ვიმუშავებთ (გვ. 21).

**კოდიანას პროექტების განხორციელება** საქართველოს მთავრობის წინაშე ავიღეთ ვალდებულება, BTC მილსადენის კოდიანას მონაკვეთზე განვახორციელოთ დამატებითი სამშენებლო პროექტები, რომლებიც გარემოს შემდგომ დაცვას უზრუნველყოფენ. ამ პროექტების სათანადოდ შესასრულებლად საჭირო იქნება პროექტების მართვის უწყვეტად მაღალი ხარისხი (გვ. 7-8).

# BP საქართველო

**2006 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში**

## BP ჯგუფი

BP გაზის, ნავთობისა და ნახშირბადის დაბალი შემცველობის სხვა წყაროებიდან აწარმოებს ენერგიას ტრანსპორტირების, ელექტროენერგიის, გათბობისა და განათების, ყოველდღიური მოხმარების საგნებისა და პროდუქტებისათვის. ჩვენ ვსაქმიანობთ გლობალურად და დაახლოებით 100 ქვეყანაში 97000-ზე მეტი ადამიანი გვყავს დასაქმებული. წილობრივად ვმონაწილეობთ 26 ქვეყანაში მიმდინარე საძიებო და მოპოვებით საქმიანობაში. ჩვენი კაპიტალური აქტივების დაახლოებით 40% აშშ-ში მდებარეობს, ხოლო 25% – დიდ ბრიტანეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

2006 წელს BP ჯგუფი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ მომხმარებელს დღეში თითქმის ოთხ მილიონ ბარელ ნავთობსა და გაზს აწვდიდა. ამ წელს დაიწყო აზერბაიჯანში აღმოსავლეთ და დასავლეთ აზერის პლატფორმებიდან ნავთობის მოპოვება, რომელიც საქართველოზე გამავალი ახლახან დასრულებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ევროპის ბაზრებს მიეწოდება. 2006 წელს ჯგუფის კაპიტალური დანახარჯები სულ 17,2 მილიარდი აშშ დოლარი იყო. აშშ-ის ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიის (SEC) მონაცემებით, 2006 წელს ჩვენი რეზერვების ჩანაცვლების კოეფიციენტმა 113% შეადგინა.[1]

## წინამდებარე ანგარიში: მიმოხილვის სფერო და პროცესი

BP-ისათვის მდგრადი განვითარება ნიშნავს მისი, როგორც საწარმოო ჯგუფის უნარს, განაახლოს აქტივები, შექმნას და მომხმარებელს მიაწოდოს უკეთესი პროდუქცია და საზოგადოების მზარდი მოთხოვნები უკეთესი მომსახურებით დააკმაყოფილოს, მოიზიდოს თანამშრომელთა ახალი თაობები, საკუთარი წვლილი შეიტანოს გარემოს დაცვაში და შეინარჩუნოს როგორც საკუთარ მომხმარებელთა, ასევე აქციონერთა და იმ საზოგადოების ნდობა და მხარდაჭერა, სადაც საქმიანობს.

წინამდებარე ანგარიში ჩვენ მიერ საქართველოში განხორციელებული მდგრადი განვითარების ხელშემწყობი საქმიანობის შესახებ გამოქვეყნებული რიგით მესამე ანგარიშია, რომელიც საქართველოს 2004 წლის მდგრადი განვითარების მიმოხილვისა და 2005 წელს გამოქვეყნებული მდგრადი განვითარების სრული ანგარიშის საფუძველზე მომზადდა. 2006 წელს ჩვენმა საქმიანობამ მშენებლობის ფაზიდან გრძელვადიანი ექსპლუატაციის ფაზაში გადაინაცვლა. ეს ის გარდამავალი პერიოდია, როდესაც ჩვენი, როგორც ნავთობისა და გაზის რესურსების ოპერატორის, როლი იზრდება, რომლის შესრულებას დიდი ხნის განმავლობაში ვაპირებთ. მიუხედავად იმისა, რომ საქმიანობა იცვლება, გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ვალდებულება იგივე რჩება. მდგრადი განვითარების მომავალ ანგარიშებში გავაგრძელებთ ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტებსა და, ამავე დროს, ჩვენი მკითხველებისათვის საინტერესო საკითხებზე საუბარს.

ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია კომპანიის მიერ ქვეყანაში განხორციელებულ საქმიანობას მთლიანობაში წარმოაჩენს, ამასთანავე, ცალკეულ პროექტებსა და ოპერაციებსაც ასახავს. ანგარიში თბილისის ოფისმა მოამზადა და მასში აღწერილია ჩვენი საქმიანობა მთელი ქვეყნის მასშტაბით. როგორც წინათ, ახლაც ფორმალური პროცედურის დაცვით წარმოვაჩინეთ შიდა და გარე მხარეებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რათა ჩვენი საქმიანობა ანგარიშში მრავალმხრივად და სწორად ასახულიყო.

[1] ფილიალებსა და საკუთარი აქციებით პასუხისმგებელ საწარმოებთან ერთად, შესყიდვებისა და გასხვისების ჩაუთვლელად.


**1 BP საქართველოს გენერალური მენეჯერის წერილი**
**2 რას ნიშნავს BP-ისთვის პასუხისმგებლობა**
**3 2006 წლის შედეგები**
**4 საქმიანობა ჩვენი პასუხისმგებლობით**
5 როგორ ვმუშაობთ
7 ჩვენი კომერციული საქმიანობა
10 ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობა
11 დიალოგი და თანამშრომლობა
17 ჯანდაცვა და უსაფრთხოება
20 ეკოლოგიური თვალსაზრისით გამართლებული საქმიანობა
24 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა
25 უშიშროება და ადამიანის უფლებები
27 ჩვენი თანამშრომლები
**30 ჩვენი როლი საზოგადოებაში**
31 სოციალური და გარემოსდაცვითი ჭრილი
32 კლიმატის ცვლილება
33 ეფექტური მართვის ხელშეწყობა
34 ბიზნესის განვითარება
35 განათლება
37 ხელმისაწვდომი ენერგია
38 ჩვენი პროგრამები
**42 მუშაობის ეფექტურობის მაჩვენებლები**
**43 დოკუმენტის შესაბამისობის დადასტურება**
**44 ტერმინების განმარტება**
**45 დამატებითი ინფორმაცია**


მუშაობა მიმდინარეობს სადგურზე Area 80, თურქეთის საზღვართან ახლოს.

---

### განცხადება **BP** ჯგუფის აუდიტორის, **Ernst & Young**-ისაგან

ჩვენ შევისწავლეთ BP საქართველოს 2006 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში, რათა BP-ის ხელმძღვანელობისათვის დაგვედასტურებინა, რომ კომპანიის მიერ საქართველოში მდგრადი განვითარებისთვის განხორციელებული საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი მონაცემები, განცხადებები და მტკიცებულებები ფაქტებითა თუ ახსნა-განმარტებებით სათანადოდაა დასაბუთებული. ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგები და დასკვნები წინამდებარე ანგარიშის 43-ე გვერდზეა მოყვანილი.

წინამდებარე ანგარიშში „BP"-ის და „BP ჯგუფის" დასახელებისას იგულისხმება BP p.l.c., მისი ფილიალები და შვილობილი კომპანიები. ანგარიშში ერთიანად არის წარმოდგენილი BP p.l.c.-ის, მისი ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების მიერ განხორციელებული ღონისძიებები და საქმიანობა, თუკი სხვაგვარად არ არის მითითებული. ნაცვალსახელები „ჩვენ" და „ჩვენი" გულისხმობს BP ჯგუფის იმ კომპანიებს, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ, თუკი სხვაგვარად არ არის განმარტებული.


წინამდებარე ანგარიშში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება მოცემულია 44-ე გვერდზე.

# BP საქართველოს გენერალური მენეჯერის წერილი

2006 გარდამავალი წელი იყო, რომელიც მშენებლობის წარმატებით დასრულების შემდეგ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა (BTC) და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის (SCP) სრულ ექსპლუატაციაში გაშვებით აღინიშნა. BTC-ის სრულად ამუშავება, რომლის ოფიციალური ცერემონია ივლისში თურქეთის პორტ ჯეიჰანში გაიმართა, არის დაგვირგვინება საინჟინრო და მენეჯმენტის იმ უმნიშვნელოვანესი მიღწევისა, რომლისთვისაც ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში ათასობით ადამიანი შრომობდა.

ჩვენთვის და ჩვენი პარტნიორებისათვის SCP-ის დასრულება და საქართველოს გაზგამანაწილებელ სისტემასთან დამაკავშირებელი გაზსადენის მშენებლობა ქვეყნისთვის პირველი გაზის მისაწოდებლად გადადგმული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. ამ გზით პირველი გაზი საქართველოში 2007 წლის იანვარში შემოვიდა, რაც ამ ქვეყნის მოსახლეობისა და ხელისუფლებისთვისაც დიდი მიღწევა იყო.

მშენებლობის დამთავრება და მილსადენების ექსპლუატაციის დაწყება, რა თქმა უნდა, არ არის ისეთი უბრალო და მარტივი ღონისძიება, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. ერთი ფაზიდან მეორეზე უსაფრთხოდ და ეფექტურად გადასვლა ასობით ადამიანის ძალისხმევის შედეგია. ამ რთული ამოცანის შესასრულებლად საჭირო გახდა თანამშრომელთა და ტექნიკის მობილიზაცია, ახალი კონტრაქტორების აყვანა, ცვლილებების მართვისათვის აუცილებელი სისტემებისა და პროცედურების დანერგვა, ჯგუფების შეერთება, ასევე ახალი ჯგუფებისა და ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა – ყოველივე ეს გაკეთდა ყოველდღიური საქმიანობის პარალელურად. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გარდამავალი პროცესი დღემდე შეუფერხებლად მიმდინარეობს.

ზემოთ აღნიშნულ ძალისხმევას ჩვენთვის ხელი არ შეუშლია, ახალი ნაბიჯები გადაგვედგა. კვლავაც ვავითარებთ ადგილობრივ პოტენციალს არა მხოლოდ საინჟინრო და სამშენებლო საქმიანობით, არამედ უფრო ფართო ღონისძიებებით. პარტნიორებთან ერთად შექმნილმა რეგიონული განვითარების ინიციატივამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რეგიონის შესაძლებლობების განვითარებას ბიზნესისა და ინფრასტრუქტურის მხარდაჭერით. BP-ის მიერ პირდაპირ ან მთავრობასთან შეთანხმებული საგრანტო პროგრამებით დაფინანსებული სოციალური ინიციატივების განხორციელებით გაგრძელდა საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის პროექტების, ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაძლიერების, განათლებისა და ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერა.

საქმიანობა და მიღწევები ცხადად წარმოაჩენენ შემდეგი მნიშვნელოვანი გზავნილის არსს: BP, როგორც ოპერატორი, საქართველოში კიდევ დიდხანს დარჩება. კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზის საბადოები ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და დიდია მთელ მსოფლიოში. BP-მ მსხვილი ინვესტიცია უკვე განახორციელა რეგიონსა და საქართველოში. უსაფრთხოების დაცვითა და პასუხისმგებლობით კვლავაც გავაგრძელებთ ქვეყანაში ჩვენი როლის შესრულებას, რაც სარგებელს მოგვიტანს ჩვენც, პარტნიორებსაც და ქართველ ხალხსაც.

**ჰიუ ჯ. მაკდაუელი**
BP საქართველოს გენერალური მენეჯერი
ივნისი, 2007 წელი

# რას ნიშნავს BP-ისთვის პასუხისმგებლობა

**წინამდებარე ანგარიშის სტრუქტურა ეფუძნება ჩვენი შეხედულებების იმ მოდელს, რომელსაც BP-ში კორპორაციული პასუხისმგებლობის სხვადასხვა ასპექტის აღსაწერად ვიყენებთ. ამ სისტემის თანახმად, ჩვენი საქმიანობა იყოფა ორ კატეგორიად: პირველი, რომელსაც ვაკონტროლებთ და მეორე, რომელზეც გავლენას ვახდენთ. „ კონტროლის სფერო" გულისხმობს ჩვენს საქმიანობებს, „გავლენის სფერო" კი ჩვენი საქმიანობის საზღვრებს სცილდება და საზოგადოებრივ და ეკოლოგიურ ასპექტებს მოიცავს.**




**1 თავი: კონტროლის სფერო**

**საქმიანობა ჩვენი პასუხისმგებლობით**

სამუშაო პასუხისმგებლობა ორი დონისაგან შედგება: პირველ დონეზე იგი გულისხმობს საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულებას. მეორე, უფრო მაღალ დონეზე, ვცდილობთ ვიმუშაოთ, როგორც „პროგრესულმა ოპერატორმა", ვაწესებთ რა საკუთარ სტანდარტებს, რომლებიც საკანონმდებლო მოთხოვნების ჩარჩოებს სცილდება. ჩვენი აზრით, კომპანიას, რომელიც მუდამ წარმატებისკენ მიისწრაფვის, უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური და კოლექტიური ქცევის უნივერსალური სტანდარტები. ისეთ დიდ და მრავალმხრივ ორგანიზაციაში, როგორიცაა BP, ამის მიღწევა ჩვენი უპირველესი ამოცანაა. ანგარიშის I ნაწილში აღწერილია 2006 წელს ამ სფეროში განხორციელებული ჩვენი საქმიანობა.

**2 თავი: გავლენის სფერო**

**ჩვენი როლი საზოგადოებაში**

ვცდილობთ, პირველები ვიყოთ ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა კლიმატის ცვლილება და განვითარება, სადაც ჩვენი გამოცდილება, კაპიტალი და შესაძლებლობები დადებითი ზეგავლენის საშუალებას გვაძლევს. კლიმატის ცვლილების საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯები არსებითად სცილდება მხოლოდ ჩვენივე ემისიების შემცირებას და გულისხმობს, აგრეთვე, საკანონმდებლო დებატებში მონაწილეობას, კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობასა და ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროში ახალი და უფრო უსაფრთხო ტექნოლოგიების დანერგვას. „BP-ის ალტერნატიული ენერგიის" ბიზნეს-მიმართულების დახმარებით ფინანსდება განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის დარგები. ახალი თაობის, ნახშირბადის დაბალი შემცველობის სატრანსპორტო საწვავის კვლევის, განვითარებისა და რეალიზაციისთვის 2006 წელს წამოვიწყეთ ბიო-საწვავის ბიზნესი. რაც შეეხება სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ჩვენი წვლილი ძირითადად სახელმწიფო შემოსავლების ზრდაში, სამუშაო ადგილების შექმნაში, კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროდუქციის წარმოებაში გამოიხატება. თუმცა, კიდევ უფრო დიდი როლი უნდა შევასრულოთ მასპინძელ ქვეყნებში ეფექტური მმართველობისა და საზოგადოებრივი პროგრესის ხელშესაწყობად. ანგარიშის II ნაწილში აღწერილია 2006 წელს მოცემულ სფეროებში განხორციელებული ჩვენი საქმიანობა.

# 2006 წლის შედეგები

## მიღწევები

**BTC მილსადენის სრულ ექსპლუატაციაში გაშვება** ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენით პირველი ნავთობი დანიშნულების ადგილას 2006 წლის ივნისში ჩავიდა. ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ეს არის ნავთობის ყველაზე დიდი წყარო, რაც OPEC-ის ფარგლებს გარეთ მოუპოვებიათ (გვ. 7-8). გარდა ამისა, ამ პროექტმა მილსადენის დერეფნის ახლოს მცხოვრებ მოსახლეობას სოციალური და ეკონომიკური სარგებლობა მოუტანა (გვ. 39-40).

**SCP-ის დასრულება და საქართველოს გაზგამანაწილებელ სისტემასთან შემაერთებელი გაზსადენის მშენებლობა** ჩვენ სამხრეთ კავკასიური მილსადენის მშენებლობა დავასრულეთ და ავაშენეთ გაზსადენი, რომელიც მას საქართველოს გაზგამანაწილებელ სისტემასთან აკავშირებს. აღნიშნულმა პროექტმა საშუალება მოგვცა, საქართველოსათვის პირველი გაზი 2007 წლის იანვარში მიგვეწოდებინა, რაც ქვეყნის ხელისუფლებისა და მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო (გვ. 9, 37).

**მიწის აღდგენითი სამუშაოების დასრულება** 2006 წელს დასრულდა საინჟინრო და აღდგენითი სამუშაოები იმ მიწაზე, რომელიც BTC და SCP მილსადენების სამშენებლო დერეფანში მოხვდა. გარე აუდიტორებმა და ექსპერტებმა აღდგენითი სამუშაოს ხარისხი ძალიან მაღალ დონეზე შეაფასეს (გვ. 20-21).

**მშენებლობის ფაზიდან ექსპლუატაციის ფაზაზე გადასვლის მართვა** წარმატებით გავართვით თავი ორგანიზაციულ, ტექნიკურ და კომერციულ ამოცანებს მშენებლობიდან მუდმივი ექსპლუატაციის ფაზაზე შეუფერხებლად და უსაფრთხოდ გადასვლის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ რჩება გარდამავალ პროცესთან დაკავშირებული გარკვეული ამოცანები, გვჯერა, რომ ჩვენი ორგანიზაცია სათანადოდ არის მომზადებული საქართველოში ექსპლუატაციის ახალ და ხანგრძლივ ეტაპზე გადასასვლელად (ამ საკითხებთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას ხშირად შეხვდებით ანგარიშის პირველ ნაწილში).

**სოციალური განვითარების ხელშეწყობა** ჩვენი სოციალური ინვესტირების პროექტები კვლავაც ხელს უწყობენ მილსადენის გასწვრივ მოსახლეთა ცხოვრების ხარისხის ამაღლებას. მაგალითად, „გაუმჯობესებული სკოლების პროექტი," გარე შეფასების თანახმად, BTC-ის საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კომპონენტია. კიდევ უფრო დიდ და ფართომასშტაბიან წარმატებას მივაღწიეთ რეგიონული განვითარების ინიციატივის განხორციელების საქმეში (გვ. 35-36, 39-41).

## ამოცანები

**ადგილობრივი ინსტიტუციონალური შესაძლებლობების ხელშეწყობა** კვლავ ვდგავართ სამართლებრივი და ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებული რიგი პრობლემების წინაშე, რომლებიც აფერხებენ და ართულებენ სამუშაო პროცესს. ამ საკითხების გადასაწყვეტად მთავრობასთან მუშაობას გავაგრძელებთ (გვ. 12-13).

**დასავლეთის მიმართულების მილსადენის უსაფრთხო მუშაობა** 2006 წელს აღნიშნულ მილსადენზე წარმატებით განხორციელებული სარემონტო სამუშაოების შემდეგ გადავწყვიტეთ, ჩავატაროთ დამატებითი სამუშაოები მილსადენის მარშრუტის ზოგიერთ მონაკვეთზე მეწყერთან დაკავშირებული საფრთხეების შესასწავლად. შესწავლისას განხორციელებული სამუშაოების უსაფრთხების უზრუნველსაყოფად დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP) ექსპლუატაცია დროებით შეჩერდა (გვ. 8-9).

**ადგილობრივი ხელმძღვანელი კადრების მომზადება** დამატებითი ზომები მივიღეთ ადგილობრივ თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდისა და მათი შესაძლებლობების განვითარებისთვის. თუმცა ხელმძღვანელ თანამდებობებზე სათანადო რაოდენობის ადგილობრივი კადრების დანიშვნა კვლავ ამოცანად რჩება (გვ. 27-29).

**ნარჩენების მართვა** გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ყოველდღიური პრობლემების გარდა, საქართველოში ევროპული სტანდარტების ნაგავსაყრელი ობიექტების არარსებობის გამო ნარჩენების მართვის საკითხი კვლავ რთულად გადასაწყვეტია. ექსპლუატაციის ეტაპზე გადასვლასთან ერთად ამ საკითხის მოსაგვარებლად განსაკუთრებული ყურადღებით ვიმუშავებთ (გვ. 21).

**კოდიანას პროექტების განხორციელება** საქართველოს მთავრობის წინაშე ავიღეთ ვალდებულება, BTC მილსადენის კოდიანას მონაკვეთზე განვახორციელოთ დამატებითი სამშენებლო პროექტები, რომლებიც გარემოს შემდგომ დაცვას უზრუნველყოფენ. ამ პროექტების სათანადოდ შესასრულებლად საჭირო იქნება პროექტების მართვის უწყვეტად მაღალი ხარისხი (გვ. 7-8).

# საქმიანობა ჩვენი პასუხისმგებლობით

1


1.1 როგორ ვმუშაობთ
1.2 ჩვენი კომერციული საქმიანობა
1.3 ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობა
1.4 დიალოგი და თანამშრომლობა
1.5 ჯანდაცვა და უსაფრთხოება
1.6 ეკოლოგიური თვალსაზრისით გამართლებული საქმიანობა
1.7 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა
1.8 უშიშროება და ადამიანის უფლებები
1.9 ჩვენი თანამშრომლები

შაჰ-დენიზის გაზი საქართველოს 30 დუიმი დიამეტრის შემაერთებელი მილსადენით მოეწოდება.

## 1.1 როგორ ვმუშაობთ

**საქმის მიმართ სრული პასუხისმგებლობა ჩვენი კორპორაციული პასუხისმგებლობის ქვაკუთხედია. ეს გულისხმობს, შევინარჩუნოთ მაღალი და თანმიმდევრული სტანდარტები ყოველდღიურად და ყველგან, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, მათ შორის – უსაფრთხოებასთან, პატიოსნებასთან, გარემოს დაცვასა და პერსონალის მართვასთან დაკავშირებით. წინამდებარე ნაწილში აღწერილია ჩვენი მიდგომები და BP საქართველოს როლი ჯგუფში.**

ჩვენი საქმიანობა საქართველოში BP-ის ერთ-ერთი რეგიონის – აფრიკა-ახლო აღმოსავლეთ-კასპიისა და ჯგუფის ერთ-ერთი გრძელვადიანი საქმიანობის ცენტრის ნაწილია. ჩვენი საქმიანობა ჯგუფის საძიებო და მოპოვებითი სეგმენტის ნაწილია, რაც, თავის მხრივ, ერთ-ერთია ჯგუფის სამი საოპერაციო სეგმენტიდან (ორი დანარჩენი მოიცავს გადამუშავებას და მარკეტინგს და გაზს, ენერგიასა და განახლებად ენერგოწყაროებს).

ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ აზერბაიჯანელ და თურქ კოლეგებთან და აზერბაიჯანის სტრატეგიული ბიზნესდანაყოფის ნაწილს წარმოვადგენთ. ეს განპირობებულია გეოგრაფიული სიახლოვით, უფრო მეტად კი იმ კავშირით, რომელიც საქართველოში არსებულ მილსადენების ობიექტებსა და კასპიისა და ხმელთაშუა ზღვებში და მათ გარშემო არსებულ ნავთობისა და გაზის მოპოვების, შენახვისა და განაწილების საშუალებებს შორის არსებობს.

ჩვენი საქმიანობა საქართველოში ხორციელდება იმ ფუნქციური განყოფილებების საშუალებით, რომელთა მიზანია, უზრუნველყოს ურთიერთკავშირი BP ჯგუფში, ეფექტურად მართოს რისკი და გაზარდოს წარმოების ნაყოფიერება. ტექნოლოგიურ დახმარებას ჯგუფის კვლევითი და საინჟინრო განყოფილებები ახორციელებენ. ტექნოლოგია ჯგუფს ეხმარება, მოიპოვოს ენერგიის ის წყაროები, რომლებიც მას ესაჭიროება მომავალში ენერგოუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ენერგიის მოპოვებითა და მოხმარებით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე შესამცირებლად.

BP თანამშრომლობს მთელ რიგ კომპანიებთან, რომლებიც არ შედიან BP ჯგუფში, ასევე სხვა ერთობლივ საწარმოებთან. ჯგუფის გადასახედიდან, ბევრი ასეთი ერთობლივი საწარმო თავად წარმოადგენს დიდ და მნიშვნელოვან კომპანიას, რომელიც შექმნილია დამოუკიდებლად, საკუთარი დირექტორთა საბჭოთი და მართვის პროცედურებით, სადაც BP წარმოდგენილია, როგორც აქციონერი. ნებისმიერ შემთხვევაში, BP მისდევს საკუთარ სტანდარტებსა და პოლიტიკას იმ ერთობლივ საწარმოებში, რომლებსაც მართავს და სადაც ამის შესაძლებლობას ერთობლივ საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულება იძლევა. იმ ერთობლივ საწარმოებში, რომლებშიც BP არ არის ოპერატორი, მაგრამ აქციების მფლობელია, იგი იღვწის საკუთარი სამუშაო სტანდარტების მსგავსი სტანდარტებისა და პროგრამების დასანერგად. საქართველოში ჩვენს საავიაციო საწვავის ბიზნესს Air BP-ისა და Aviafuel Service-ის მიერ შექმნილი ერთ-ერთი ასეთი ერთობლივი საწარმო უძღვება.

**BP-ის ხედვა და სტრატეგია** BP ჯგუფის სტრატეგია ხუთწლიან და ერთწლიან გეგმებშია გაწერილი. სტრატეგია ემსახურება დირექტორთა საბჭოს მიერ დასახული ძირითადი მიზნის მიღწევას, კერძოდ, აქციონერთა მოგების მაქსიმალურად გაზრდას გრძელვადიანი პერსპექტივით. სეგმენტები და

ჩვენი საქმიანობა საქართველოში ხორციელდება იმ ფუნქციური განყოფილებების საშუალებით, რომელთა მიზანია, უზრუნველყოს ურთიერთკავშირი BP ჯგუფში, ეფექტურად მართოს რისკი და გაზარდოს წარმოების ნაყოფიერება.

ბიზნესდანაყოფები, მათ შორის, BP საქართველო, საკუთარ სტრატეგიებს ჯგუფის სტრატეგიის შესაბამისად აყალიბებენ.

**მმართველობა და რისკის მართვა** ჩვენი კორპორაციული მმართველობისა და მართვის სისტემები ქმნიან იმ ჩარჩოს, რომლითაც განვსაზღვრავთ, თუ რის მიღწევას და როგორ ვცდილობთ. ეს სისტემები შექმნილია ბიზნესის კომერციული მიზნების მისაღწევად უსაფრთხო, ეთიკური და პასუხისმგებლობით მიდგომის გზით, სტრატეგიის, დაგეგმვისა და აღსრულების საშუალებით და ღირებულებების, სტანდარტებისა და კონტროლის გამოყენებით.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ ვაღწევთ მიზნებს, ამას განაპირობებს შემდეგი:

- შეზღუდვები აღმასრულებელ დონეზე: ეს შეზღუდვები ადგენს საზღვრებს საბჭოს, ჯგუფის მთავარ აღმასრულებელ დირექტორსა (GCE) და იმ საქმიანობასა და პირობებს შორის, რომლებსაც საბჭო მიუღებლად მიიჩნევს. საბჭო მთავარ აღმასრულებელ დირექტორს გადასცემს უფლებამოსილებას ამ შეზღუდვების ფარგლებში.
- სამარკო ნიშნები: ჩვენი სამარკო ნიშნებია, ვიყოთ „შესრულებაზე ორიენტირებულნი," „პროგრესულები," „ნოვატორები" და „მწვანეები."

**დირექტორთა საბჭოს მიზნებიდან ინდივიდუალურ სამუშაო მიზნებამდე**

როგორ იქცევა გეგმები ქმედებებად და შეზღუდვები აღმასრულებელ დონეზე – ინდივიდუალურ შეზღუდვებად




- ჯგუფის ღირებულებები: ჯგუფის ღირებულებები არის განაცხადები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია საქმიანობა და მიზნები, ხშირად მისწრაფებებიც, რომელთაც ვიყენებთ ჩვენი სამუშაო მაჩვენებლების შესაფასებლად და ჯგუფის რეპუტაციის შესაქმნელად. ეს მისწრაფებები გულისხმობს მუშაობას უბედური შემთხვევების გარეშე, ეკოლოგიური თვალსაზრისით გამართლებულ საქმიანობას, სამართლიანობას თანამშრომელთა მიმართ, მათ დაწინაურებას ღირსებისა და დამსახურების მიხედვით, ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების განვითარებასა და ადამიანის უფლებების დაცვას.
- BP-ის ქცევის კოდექსი: ქცევის კოდექსში ჯგუფის გარკვეული ღირებულებები BP-ის ყველა თანამშრომლისათვის სავალდებულო კონკრეტული პრინციპებისა და მოთხოვნების სახით არის ჩამოყალიბებული.
- ჯგუფის სტანდარტები: ეს სტანდარტები წარმოადგენს მკვეთრად ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს, პროცესებსა და პრონციპებს, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით უნდა იქნას დაცული. ქცევის კოდექსი, სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო მართვის სტანდარტები, ნდობა, უწყვეტი საქმიანობის დაგეგმვა და ჯგუფის ინვესტიციების შეფასებისა და დამტკიცების პროცედურები სრული ძალით მოქმედებს. დამტკიცდა და უკვე აღსრულების პროცესშია კიდევ ოთხი სტანდარტი: სამუშაოს კონტროლი, მთლიანობის მართვა, ციფრული უსაფრთხოება და უშიშროება; მუშავდება კიდევ სამი სტანდარტი: საზღვაო ოპერაციები, ადამიანები და მართვის ინფორმაცია.
- კონტროლის პროცესები: მოიცავს პრაქტიკულ სისტემას, რომელიც შიდა მართვის განხორციელების საშუალებას იძლევა.
- ინდივიდუალური სამუშაო მიზნები: განსაზღვრავს პიროვნების მოსალოდნელ წვლილს წლიური გეგმის შესრულებაში, მის ინდივიდუალურ მიზნებს, რესურსებს, საქმიანობასა და შეზღუდვებს.

წინამდებარე ანგარიშში აღწერილია, საქართველოში საქმიანობისას როგორ ვიყენებთ აღნიშნულ ღირებულებებს, სტანდარტებსა და მართვის სისტემებს.

# 1.2 ჩვენი კომერციული საქმიანობა

**საქართველოში ჩვენი ძირითადი საქმიანობა პროექტებში ინვესტირებიდან ხანგრძლივი ოპერაციების ეტაპზე გადადის. ეს გულისხმობს რეგიონში ახალი მილსადენების პროექტების წარმატებით დასრულებას, რაც BP-ის მიერ ბოლო ათწლეულის განმავლობაში განხორციელებული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინვესტიციაა. ახლა ექსპლუატაციის ახალ, ხანგრძლივ ფაზაში შევდივართ.**

საქართველოში ნავთობისა და გაზის სამ დიდ პროექტს ვახორციელებთ, რომლებშიც წამყვანი ინვესტორისა და ოპერატორის ფუნქცია გვაკისრია. ინფორმაცია ჩვენს პარტნიორებსა და მათ ინვესტიციებზე ქვემოთ არის მოცემული.

BTC და SCP პროექტების დასრულებასთან ერთად გრძელვადიანი ყოველდღიური ექსპლუატაციის ფაზაში გადავდივართ. ამ ცვლილებას თან ახლავს თანამშრომლების შეცვლა, სამუშაო ძალისა და ტექნიკის დემობილიზაცია, ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბება, ახალი კომერციული საქმიანობები და ახალი ტექნიკური ამოცანები. ამ ცვლილების უსაფრთხოდ და ეფექტურად მართვა იყო და არის მნიშვნელოვანი გამოწვევა. ერთი ფაზიდან მეორეზე შეუფერხებლად გადასასვლელად 2006 წელს ხელმძღვანელობამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა ცვლილებების მართვის სტრუქტურირებული პროცესის განხორციელების გზით.

ამასთან ერთად, მნიშვნელოვან სარემონტო სამუშაოებს ვასრულებთ დასავლეთის მიმართულების მილსადენზე. BTC/SCP მილსადენების მარშრუტის გასწვრივ სხვადასხვა ობიექტს ვაშენებთ ამ მილსადენების დამატებითი ფიზიკური და ტექნიკური უსაფრთხოებისთვის. ქვემოთ აღწერილი ამ ობიექტების ნაწილი საქართველოს მთავრობამ მოითხოვა, ნაწილიც 2005 წელს შეთანხმებული ნავთობის დაღვრაზე ავარიული რეაგირების გეგმის მიღების პირობით იყო გათვალისწინებული. 2006 წელს დავიწყეთ გზების შეკეთება და მშენებლობა მილსადენის ახლოს მდებარე სარქველის სადგურებთან შეუფერხებლად მისასვლელად.

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი (BTC)** მილსადენს, რომლის სრული სიგრძე 1768 კილომეტრია, დღეში მილიონ ბარელზე მეტი ნავთობის გატარება შეუძლია აზერბაიჯანის სანგაჩალის ტერმინალიდან თურქეთში ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე ჯეიჰანის საზღვაო ტერმინალამდე. იგი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი მილსადენია. BTC მილსადენის მშენებლობა საქართველოში 2005 წელს დასრულდა.

BTC მილსადენი სრულ ექსპლუატაციაში 2006 წელს იქნა გაშვებული. მილსადენში გატარებული ნავთობის ნაკადი სტაბილურად იზრდებოდა და ამჟამად მილსადენით მსოფლიო ბაზრებს დღეში დაახლოებით 600 000 ათასი ბარელი ნავთობი მიეწოდება. აღდგენითი და ლანდშაფტური სამუშაოები მილსადენის მარშრუტის გასწვრივ მაღალი სტანდარტების შესაბამისად შესრულდა (უფრო დეტალურად აღწერილია ნაწილში 1.6).

2006 წელს დაიწყო, აგრეთვე, დამატებითი ობიექტების მშენებლობა კოდიანას მთიან მონაკვეთზე მილსადენის

**მილსადენების აქციონერები (%)**



## BTC მილსადენის ექსპლუატაციაში გაშვება

BTC მილსადენის საექსპორტო სისტემის ოფიციალური ინაუგურაცია 2006 წლის ივლისში გაიმართა თურქეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე ჯეიჰანის ნავთობტერმინალში. ღონისძიებას, რომელსაც თურქეთის ხელისუფლება მასპინძლობდა, ესწრებოდნენ მათი უმაღლესობები: თურქეთის პრეზიდენტი აჰმეთ ნეჯდეთ სეზერი, თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეფ ტაიფ ერდოგანი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, სხვა მაღალი რანგის სამთავრობო და სახელმწიფო წარმომადგენლებთან, BTC მილსადენის მფლობელი კომპანიების უფროს ხელმძღვანელ პირებთან და პროექტის თანამშრომლებთან ერთად. ჯეიჰანის ინაუგურაციის ცერემონიაზე სიტყვით გამოვიდა ლორდი ბრაუნი, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა: „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ექსპლუატაციაში გაშვება მნიშვნელოვანი ნაბიჯია ნავთობის მრეწველობის ხანგრძლივ ისტორიაში. პირველად ამ საუკუნეში იგი კასპიის ზღვის ნავთობის მარაგებს მსოფლიო ბაზრებთან აკავშირებს. BP-ის სახელით მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც შესაძლებელი გახადა ამ ეტაპამდე მოსვლა.

მინდა, მადლობა გადავუხადო პროექტში დასაქმებულ შესანიშნავ ხალხს სამი ქვეყნიდან – აზერბაიჯანიდან, საქართველოდან, თურქეთიდან და კიდევ ბევრ სხვას, რომელთა დახმარებასა და მონაწილეობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა – მუშებს, ადგილობრივ მოსახლეობას, კომპანიებს, მთავრობებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, ჩვენს პარტნიორებს და, რა თქმა უნდა, ჩვენს თანამშრომლებს. BTC მილსადენი 21-ე საუკუნის პირველი უდიდესი სამშენებლო პროექტია.”

ეკოლოგიური და ტექნიკური უსაფრთხოებისთვის. უსაფრთხოების ბაზის მშენებლობა ზამთრის ყინვების გამო დროებით შეჩერდა და ამინდის გაუმჯობესებისთანავე გაგრძელდება. მშენებლობის დამთავრების შემდეგ ბაზა მუდმივი ობიექტის ფუნქციას შეასრულებს, სადაც საცხოვრებელი ოთახები, ოფისები, სარემონტო ობიექტები, ენერგოწარმოების, კანალიზაციისა და სასმელი წყლის სისტემები მოეწყობა და ექსპლუატაციისათვის საქართველოს სამთავრობო სტრუქტურას – სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტს გადაეცემა (SPPD).

ჩატარდა, აგრეთვე, ნავთობის ავარიული ჩამოსაცლელი ობიექტის (EDDF) მშენებლობასთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოები. ობიექტი 8500მ$^3$ მოცულობის ფოლადის რეზერვუარია, რომელიც მოთავსდება კიდევ ერთ ბეტონის მიწისქვეშა რეზერვუარში, სადაც ავარიის შემთხვევაში, კოდიანას მონაკვეთის ნებისმიერი ადგილიდან BTC მილსადენიდან დაღვრილი ნავთობი ჩაიცლება და შეინახება. ოქტომბერში საქართველოს მთავრობისაგან აუცილებელი ნებართვების მიღების შემდეგ რეზერვუარის ადგილი გაიწმინდა და მშენებლობისათვის მომზადდა, რომელიც 2007 წელს დაიწყება.

2006 წელს შეიქმნა მეორადი შემაკავებელი ობიექტების სისტემის პროექტები მილსადენის დაზიანების ნაკლებად სავარაუდო შემთხვევაში ნავთობის უსაფრთხოდ შესაკავებლად. თითოეული მეორადი შემაკავებელი ობიექტი მდინარის კალაპოტის ირგვლივ აშენებული დამბითა და შლუზებით აღჭურვილი სალექარი საგუბრებისაგან შედგება. ავარიის შემთხვევაში შლუზები დაიკეტება და შეაჩერებს ნავთობს იქამდე, სანამ ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ჯგუფი ნავთობის უსაფრთხოდ ლოკალიზაციას არ

## დასავლეთის მიმართულების მილსადენის შეკეთება

2006 წლის იანვარში – საქართველოს მკაცრი ზამთრის პირობებში – შეიქმნა 20 კაციანი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ინჟინრები და მილსადენის ექსპლუატაციის ექსპერტები. ჯგუფის მიზანი იყო ტექნიკური მომსახურების პროგრამის დაწყება მილსადენის ავტომატიზირებული დგუშით შესწავლისას გამოვლენილი ხარვეზების მდებარეობის დასაზუსტებლად.

2006 წელს დაწყებული ტექნიკური მომსახურების სამუშაო, რომელიც ორ ეტაპად ხორციელდება, ახლაც მიმდინარეობს. პირველ ეტაპზე ობიექტზე მუდმივად, ცვლებში მუშაობდა დაახლოებით 95 ადამიანი, ხოლო მეორეზე – 81. 2006 წლის განმავლობაში სამუშაოზე დაახლოებით 450 000 კაც-საათი დაიხარჯა. მილსადენზე მუშაობა შეუჩერებლად მიმდინარეობდა. ეს შესაძლებელი გახადა კოორდინირებულმა ლოჯისტიკამ და პროექტის მართვამ, საფრთხეების სათანადო ანალიზმა და მართებულმა საინჟინრო გადაწყვეტილებებმა. სამუშაო გულისხმობდა მილსადენის ამოთხრას იმ ადგილებში, სადაც ანალიზის საფუძველზე საჭირო იყო ხარვეზების ვიზუალური და ულტრაბგერითი შემოწმება, და იმის დადგენას, თუ რა შემდგომი ზომების მიღება იქნებოდა აუცილებელი. ეს ღონისძიებები მოიცავდა დარღვეული ზედაპირის მოცილებას, გარსაცმის გაკეთებას (ეს ახალი მეთოდია, როდესაც ახალი გარსაცმი, ფაქტობრივად, ანალ მილად იქცევა), ან პირდაპირ დეფექტური მილის მონაკვეთების ამოჭრას და ახლით ჩანაცვლებას.

მოცემული სამუშაო დღემდე ადამიანის დაშავების, უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევისა და გარემოს დაბინძურების შემთხვევის გარეშე მიმდინარეობს.

მოახდენს. მეორადი შემაკავებელი ობიექტების მშენებლობა 2007 წელს დაიწყება.

**დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი (WREP)**
მილსადენის სიგრძე 830 კილომეტრია და მისი საშუალებით აზერბაიჯანში, კასპიის ზღვის შირაგის საბადოდან მოპოვებული ნავთობი სანგაჩალის ტერმინალის გავლით დასავლეთ საქართველოში სუფსის ტერმინალამდე მიდის. მილსადენის თითქმის ნახევარი საქარველოს ტერიტორიაზეა. დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენს, რომელიც სრულ ექსპლუატაციაში 1999 წელს შევიდა, დღეში 155 000 ბარელამდე ნავთობის გატარება შეუძლია.

2005 წლის ბოლოს ჩატარებული გეგმიური ტექნიკური დათვალიერების შედეგად, რისთვისაც ავტომატიზირებული დგუშის გატარების მეთოდი იქნა გამოყენებული (მილსადენის შემოწმება მოწყობილობით, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას მილსადენის მდგომარეობის შესახებ), მილსადენში გამოვლინდა ხარვეზები, რომლებმაც გაანალიზების შემდეგ შეკეთება მოითხოვა. დაისახა პრიორიტეტები ამ ხარვეზების გამოსასწორებლად, ტექნიკური მომსახურების შეკეთების პროგრამის შესაბამისად. სარემონტო სამუშაოები ამჟამადაც მიმდინარეობს. 2006 წლის ბოლოს შესრულდა დამატებითი სამუშაოები მილსადენის მარშრუტის ზოგ ადგილას მეწყერის საფრთხის შესასწავლად. სამუშაოების უსაფრთხოდ განსახორციელებლად კვლევის პროცესში მილსადენის ექსპლუატაცია დროებით შეჩერებულია. მილსადენის დაზიანების პოტენციური რისკის შესამცირებლად კველევითი სამუშაოები მიმდინარეობს მილსადენის ზესტაფონის რაიონში გამავალ მონაკვეთზე. უახლოეს მომავალში მეწყერსაშიში ტერიტორიების გვერდის ასავლელად მილსადენის ამ მონაკვეთის მიმართულების შეცვლაა დაგეგმილი.

**სამხრეთ კავკასიური მილსადენი (SCP)**
ამ მილსადენის მშენებლობა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე იმავე დერეფანში გადის, რომელშიც BTC მილსადენი, 2006 წელს დასრულდა. BTC მილსადენის მსგავსად, ისიც მიწაშია ჩაფლული. SCP მილსადენის საშუალებით კასპიის ზღვის შაჰ-დენიზის საბადოდან მოპოვებული ბუნებრივი აირი აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის მომხმარებელს მიეწოდება.

გაზი მილსადენის საქართველოს სექციაში 2006 წლის სექტემბერში გაუშვეს მილსადენის გამოცდისა და ამუშავებისთვის. 2006 წელს გარდაბნის ახლოს დასრულდა, აგრეთვე, SCP მილსადენის საქართველოს გაზმომარაგების სისტემასთან შემაერთებელი ახალი, 12 კილომეტრი სიგრძის მილსადენის მშენებლობა. მისი ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ საქართველომ პირველი გაზი 2007 წლის იანვარში მიიღო.

SCP მილსადენის საქართველოს სექციის აირით შევსებამ შესაძლებელი გახადა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი ნედლი ნავთობის ხაზის (MOL) საქაჩი ტუმბოების საწვავი აირის სისტემაზე ამუშავება. აღნიშნული სამუშაოს დამთავრება, რომელიც 2006 წლის დეკემბერში დაიწყო, 2007 წელს არის დაგეგმილი. ჩვენი აზრით, ტუმბოების აირზე მუშაობა გააძლიერებს BTC სისტემის საიმედოობას, შეამცირებს ემისიებს ატმოსფეროში და გაზრდის სისტემის წარმადობას.

**Air BP** 1998 წლიდან საქართველოში საავიაციო საწვავის სარეალიზაციო საქმიანობას აქტიურად ვახორციელებთ. თბილისის აეროპორტში BP საავიაციო საწვავით ადგილობრივ და საერთაშორისო ავიახაზებს ამარაგებს. ჩვენს პარტნიორთან, ერთობლივ საწარმო Aviafuel Service-თან ერთად, მომხმარებელს BP-ისა და Castrol-ის წარმოების საპოხ მასალებს ვაწვდით.

2006 წელი კიდევ ერთი წარმატებული წელი აღმოჩნდა Air BP-სათვის, რადგან ახალი მომხმარებლები, Air Baltic და BA Cargo შეიძინა. ამასთან, მთელი წლის მანძილზე ადგილი არ ჰქონია არცერთ ჯანმრთელობის დაზიანების, უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის თუ გარემოს დაბინძურების შემთხვევას.

# BP საქართველო

**2006 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში**

## BP ჯგუფი

BP გაზის, ნავთობისა და ნახშირბადის დაბალი შემცველობის სხვა წყაროებიდან აწარმოებს ენერგიას ტრანსპორტირების, ელექტროენერგიის, გათბობისა და განათების, ყოველდღიური მოხმარების საგნებისა და პროდუქტებისათვის. ჩვენ ვსაქმიანობთ გლობალურად და დაახლოებით 100 ქვეყანაში 97000-ზე მეტი ადამიანი გვყავს დასაქმებული. წილობრივად ვმონაწილეობთ 26 ქვეყანაში მიმდინარე საძიებო და მოპოვებით საქმიანობაში. ჩვენი კაპიტალური აქტივების დაახლოებით 40% აშშ-ში მდებარეობს, ხოლო 25% – დიდ ბრიტანეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

2006 წელს BP ჯგუფი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ მომხმარებელს დღეში თითქმის ოთხ მილიონ ბარელ ნავთობსა და გაზს აწვდიდა. ამ წელს დაიწყო აზერბაიჯანში აღმოსავლეთ და დასავლეთ აზერის პლატფორმებიდან ნავთობის მოპოვება, რომელიც საქართველოზე გამავალი ახლახან დასრულებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ევროპის ბაზრებს მიეწოდება. 2006 წელს ჯგუფის კაპიტალური დანახარჯები სულ 17,2 მილიარდი აშშ დოლარი იყო. აშშ-ის ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიის (SEC) მონაცემებით, 2006 წელს ჩვენი რეზერვების ჩანაცვლების კოეფიციენტმა 113% შეადგინა.[1]

## წინამდებარე ანგარიში: მიმოხილვის სფერო და პროცესი

BP-ისათვის მდგრადი განვითარება ნიშნავს მისი, როგორც საწარმოო ჯგუფის უნარს, განაახლოს აქტივები, შექმნას და მომხმარებელს მიაწოდოს უკეთესი პროდუქცია და საზოგადოების მზარდი მოთხოვნები უკეთესი მომსახურებით დააკმაყოფილოს, მოიზიდოს თანამშრომელთა ახალი თაობები, საკუთარი წვლილი შეიტანოს გარემოს დაცვაში და შეინარჩუნოს როგორც საკუთარ მომხმარებელთა, ასევე აქციონერთა და იმ საზოგადოების ნდობა და მხარდაჭერა, სადაც საქმიანობს.

წინამდებარე ანგარიში ჩვენ მიერ საქართველოში განხორციელებული მდგრადი განვითარების ხელშემწყობი საქმიანობის შესახებ გამოქვეყნებული რიგით მესამე ანგარიშია, რომელიც საქართველოს 2004 წლის მდგრადი განვითარების მიმოხილვისა და 2005 წელს გამოქვეყნებული მდგრადი განვითარების სრული ანგარიშის საფუძველზე მომზადდა. 2006 წელს ჩვენმა საქმიანობამ მშენებლობის ფაზიდან გრძელვადიანი ექსპლუატაციის ფაზაში გადაინაცვლა. ეს ის გარდამავალი პერიოდია, როდესაც ჩვენი, როგორც ნავთობისა და გაზის რესურსების ოპერატორის, როლი იზრდება, რომლის შესრულებას დიდი ხნის განმავლობაში ვაპირებთ. მიუხედავად იმისა, რომ საქმიანობა იცვლება, გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ვალდებულება იგივე რჩება. მდგრადი განვითარების მომავალ ანგარიშებში გავაგრძელებთ ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტებსა და, ამავე დროს, ჩვენი მკითხველებისათვის საინტერესო საკითხებზე საუბარს.

ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია კომპანიის მიერ ქვეყანაში განხორციელებულ საქმიანობას მთლიანობაში წარმოაჩენს, ამასთანავე, ცალკეულ პროექტებსა და ოპერაციებსაც ასახავს. ანგარიში თბილისის ოფისმა მოამზადა და მასში აღწერილია ჩვენი საქმიანობა მთელი ქვეყნის მასშტაბით. როგორც წინათ, ახლაც ფორმალური პროცედურის დაცვით წარმოვაჩინეთ შიდა და გარე მხარეებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რათა ჩვენი საქმიანობა ანგარიშში მრავალმხრივად და სწორად ასახულიყო.

[1] ფილიალებსა და საკუთარი აქციებით პასუხისმგებელ საწარმოებთან ერთად, შესყიდვებისა და გასხვისების ჩაუთვლელად.


**1 BP საქართველოს გენერალური მენეჯერის წერილი**
**2 რას ნიშნავს BP-ისთვის პასუხისმგებლობა**
**3 2006 წლის შედეგები**
**4 საქმიანობა ჩვენი პასუხისმგებლობით**
5 როგორ ვმუშაობთ
7 ჩვენი კომერციული საქმიანობა
10 ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობა
11 დიალოგი და თანამშრომლობა
17 ჯანდაცვა და უსაფრთხოება
20 ეკოლოგიური თვალსაზრისით გამართლებული საქმიანობა
24 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა
25 უშიშროება და ადამიანის უფლებები
27 ჩვენი თანამშრომლები
**30 ჩვენი როლი საზოგადოებაში**
31 სოციალური და გარემოსდაცვითი ჭრილი
32 კლიმატის ცვლილება
33 ეფექტური მართვის ხელშეწყობა
34 ბიზნესის განვითარება
35 განათლება
37 ხელმისაწვდომი ენერგია
38 ჩვენი პროგრამები
**42 მუშაობის ეფექტურობის მაჩვენებლები**
**43 დოკუმენტის შესაბამისობის დადასტურება**
**44 ტერმინების განმარტება**
**45 დამატებითი ინფორმაცია**


მუშაობა მიმდინარეობს სადგურზე Area 80, თურქეთის საზღვართან ახლოს.

---

### განცხადება **BP** ჯგუფის აუდიტორის, **Ernst & Young**-ისაგან

ჩვენ შევისწავლეთ BP საქართველოს 2006 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში, რათა BP-ის ხელმძღვანელობისათვის დაგვედასტურებინა, რომ კომპანიის მიერ საქართველოში მდგრადი განვითარებისთვის განხორციელებული საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი მონაცემები, განცხადებები და მტკიცებულებები ფაქტებითა თუ ახსნა-განმარტებებით სათანადოდაა დასაბუთებული. ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგები და დასკვნები წინამდებარე ანგარიშის 43-ე გვერდზეა მოყვანილი.

წინამდებარე ანგარიშში „BP"-ის და „BP ჯგუფის" დასახელებისას იგულისხმება BP p.l.c., მისი ფილიალები და შვილობილი კომპანიები. ანგარიშში ერთიანად არის წარმოდგენილი BP p.l.c.-ის, მისი ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების მიერ განხორციელებული ღონისძიებები და საქმიანობა, თუკი სხვაგვარად არ არის მითითებული. ნაცვალსახელები „ჩვენ" და „ჩვენი" გულისხმობს BP ჯგუფის იმ კომპანიებს, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ, თუკი სხვაგვარად არ არის განმარტებული.


წინამდებარე ანგარიშში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება მოცემულია 44-ე გვერდზე.

# BP საქართველოს გენერალური მენეჯერის წერილი

2006 გარდამავალი წელი იყო, რომელიც მშენებლობის წარმატებით დასრულების შემდეგ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა (BTC) და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის (SCP) სრულ ექსპლუატაციაში გაშვებით აღინიშნა. BTC-ის სრულად ამუშავება, რომლის ოფიციალური ცერემონია ივლისში თურქეთის პორტ ჯეიჰანში გაიმართა, არის დაგვირგვინება საინჟინრო და მენეჯმენტის იმ უმნიშვნელოვანესი მიღწევისა, რომლისთვისაც ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში ათასობით ადამიანი შრომობდა.

ჩვენთვის და ჩვენი პარტნიორებისათვის SCP-ის დასრულება და საქართველოს გაზგამანაწილებელ სისტემასთან დამაკავშირებელი გაზსადენის მშენებლობა ქვეყნისთვის პირველი გაზის მისაწოდებლად გადადგმული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. ამ გზით პირველი გაზი საქართველოში 2007 წლის იანვარში შემოვიდა, რაც ამ ქვეყნის მოსახლეობისა და ხელისუფლებისთვისაც დიდი მიღწევა იყო.

მშენებლობის დამთავრება და მილსადენების ექსპლუატაციის დაწყება, რა თქმა უნდა, არ არის ისეთი უბრალო და მარტივი ღონისძიება, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. ერთი ფაზიდან მეორეზე უსაფრთხოდ და ეფექტურად გადასვლა ასობით ადამიანის ძალისხმევის შედეგია. ამ რთული ამოცანის შესასრულებლად საჭირო გახდა თანამშრომელთა და ტექნიკის მობილიზაცია, ახალი კონტრაქტორების აყვანა, ცვლილებების მართვისათვის აუცილებელი სისტემებისა და პროცედურების დანერგვა, ჯგუფების შეერთება, ასევე ახალი ჯგუფებისა და ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა – ყოველივე ეს გაკეთდა ყოველდღიური საქმიანობის პარალელურად. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გარდამავალი პროცესი დღემდე შეუფერხებლად მიმდინარეობს.

ზემოთ აღნიშნულ ძალისხმევას ჩვენთვის ხელი არ შეუშლია, ახალი ნაბიჯები გადაგვედგა. კვლავაც ვავითარებთ ადგილობრივ პოტენციალს არა მხოლოდ საინჟინრო და სამშენებლო საქმიანობით, არამედ უფრო ფართო ღონისძიებებით. პარტნიორებთან ერთად შექმნილმა რეგიონული განვითარების ინიციატივამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რეგიონის შესაძლებლობების განვითარებას ბიზნესისა და ინფრასტრუქტურის მხარდაჭერით. BP-ის მიერ პირდაპირ ან მთავრობასთან შეთანხმებული საგრანტო პროგრამებით დაფინანსებული სოციალური ინიციატივების განხორციელებით გაგრძელდა საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის პროექტების, ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაძლიერების, განათლებისა და ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერა.

საქმიანობა და მიღწევები ცხადად წარმოაჩენენ შემდეგი მნიშვნელოვანი გზავნილის არსს: BP, როგორც ოპერატორი, საქართველოში კიდევ დიდხანს დარჩება. კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზის საბადოები ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და დიდია მთელ მსოფლიოში. BP-მ მსხვილი ინვესტიცია უკვე განახორციელა რეგიონსა და საქართველოში. უსაფრთხოების დაცვითა და პასუხისმგებლობით კვლავაც გავაგრძელებთ ქვეყანაში ჩვენი როლის შესრულებას, რაც სარგებელს მოგვიტანს ჩვენც, პარტნიორებსაც და ქართველ ხალხსაც.

**ჰიუ ჯ. მაკდაუელი**
BP საქართველოს გენერალური მენეჯერი
ივნისი, 2007 წელი

# რას ნიშნავს BP-ისთვის პასუხისმგებლობა

**წინამდებარე ანგარიშის სტრუქტურა ეფუძნება ჩვენი შეხედულებების იმ მოდელს, რომელსაც BP-ში კორპორაციული პასუხისმგებლობის სხვადასხვა ასპექტის აღსაწერად ვიყენებთ. ამ სისტემის თანახმად, ჩვენი საქმიანობა იყოფა ორ კატეგორიად: პირველი, რომელსაც ვაკონტროლებთ და მეორე, რომელზეც გავლენას ვახდენთ. „ კონტროლის სფერო" გულისხმობს ჩვენს საქმიანობებს, „გავლენის სფერო" კი ჩვენი საქმიანობის საზღვრებს სცილდება და საზოგადოებრივ და ეკოლოგიურ ასპექტებს მოიცავს.**




**1 თავი: კონტროლის სფერო**

**საქმიანობა ჩვენი პასუხისმგებლობით**

სამუშაო პასუხისმგებლობა ორი დონისაგან შედგება: პირველ დონეზე იგი გულისხმობს საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულებას. მეორე, უფრო მაღალ დონეზე, ვცდილობთ ვიმუშაოთ, როგორც „პროგრესულმა ოპერატორმა", ვაწესებთ რა საკუთარ სტანდარტებს, რომლებიც საკანონმდებლო მოთხოვნების ჩარჩოებს სცილდება. ჩვენი აზრით, კომპანიას, რომელიც მუდამ წარმატებისკენ მიისწრაფვის, უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური და კოლექტიური ქცევის უნივერსალური სტანდარტები. ისეთ დიდ და მრავალმხრივ ორგანიზაციაში, როგორიცაა BP, ამის მიღწევა ჩვენი უპირველესი ამოცანაა. ანგარიშის I ნაწილში აღწერილია 2006 წელს ამ სფეროში განხორციელებული ჩვენი საქმიანობა.

**2 თავი: გავლენის სფერო**

**ჩვენი როლი საზოგადოებაში**

ვცდილობთ, პირველები ვიყოთ ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა კლიმატის ცვლილება და განვითარება, სადაც ჩვენი გამოცდილება, კაპიტალი და შესაძლებლობები დადებითი ზეგავლენის საშუალებას გვაძლევს. კლიმატის ცვლილების საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯები არსებითად სცილდება მხოლოდ ჩვენივე ემისიების შემცირებას და გულისხმობს, აგრეთვე, საკანონმდებლო დებატებში მონაწილეობას, კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობასა და ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროში ახალი და უფრო უსაფრთხო ტექნოლოგიების დანერგვას. „BP-ის ალტერნატიული ენერგიის" ბიზნეს-მიმართულების დახმარებით ფინანსდება განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის დარგები. ახალი თაობის, ნახშირბადის დაბალი შემცველობის სატრანსპორტო საწვავის კვლევის, განვითარებისა და რეალიზაციისთვის 2006 წელს წამოვიწყეთ ბიო-საწვავის ბიზნესი. რაც შეეხება სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ჩვენი წვლილი ძირითადად სახელმწიფო შემოსავლების ზრდაში, სამუშაო ადგილების შექმნაში, კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროდუქციის წარმოებაში გამოიხატება. თუმცა, კიდევ უფრო დიდი როლი უნდა შევასრულოთ მასპინძელ ქვეყნებში ეფექტური მმართველობისა და საზოგადოებრივი პროგრესის ხელშესაწყობად. ანგარიშის II ნაწილში აღწერილია 2006 წელს მოცემულ სფეროებში განხორციელებული ჩვენი საქმიანობა.

# 2006 წლის შედეგები

## მიღწევები

**BTC მილსადენის სრულ ექსპლუატაციაში გაშვება** ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენით პირველი ნავთობი დანიშნულების ადგილას 2006 წლის ივნისში ჩავიდა. ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ეს არის ნავთობის ყველაზე დიდი წყარო, რაც OPEC-ის ფარგლებს გარეთ მოუპოვებიათ (გვ. 7-8). გარდა ამისა, ამ პროექტმა მილსადენის დერეფნის ახლოს მცხოვრებ მოსახლეობას სოციალური და ეკონომიკური სარგებლობა მოუტანა (გვ. 39-40).

**SCP-ის დასრულება და საქართველოს გაზგამანაწილებელ სისტემასთან შემაერთებელი გაზსადენის მშენებლობა** ჩვენ სამხრეთ კავკასიური მილსადენის მშენებლობა დავასრულეთ და ავაშენეთ გაზსადენი, რომელიც მას საქართველოს გაზგამანაწილებელ სისტემასთან აკავშირებს. აღნიშნულმა პროექტმა საშუალება მოგვცა, საქართველოსათვის პირველი გაზი 2007 წლის იანვარში მიგვეწოდებინა, რაც ქვეყნის ხელისუფლებისა და მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო (გვ. 9, 37).

**მიწის აღდგენითი სამუშაოების დასრულება** 2006 წელს დასრულდა საინჟინრო და აღდგენითი სამუშაოები იმ მიწაზე, რომელიც BTC და SCP მილსადენების სამშენებლო დერეფანში მოხვდა. გარე აუდიტორებმა და ექსპერტებმა აღდგენითი სამუშაოს ხარისხი ძალიან მაღალ დონეზე შეაფასეს (გვ. 20-21).

**მშენებლობის ფაზიდან ექსპლუატაციის ფაზაზე გადასვლის მართვა** წარმატებით გავართვით თავი ორგანიზაციულ, ტექნიკურ და კომერციულ ამოცანებს მშენებლობიდან მუდმივი ექსპლუატაციის ფაზაზე შეუფერხებლად და უსაფრთხოდ გადასვლის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ რჩება გარდამავალ პროცესთან დაკავშირებული გარკვეული ამოცანები, გვჯერა, რომ ჩვენი ორგანიზაცია სათანადოდ არის მომზადებული საქართველოში ექსპლუატაციის ახალ და ხანგრძლივ ეტაპზე გადასასვლელად (ამ საკითხებთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას ხშირად შეხვდებით ანგარიშის პირველ ნაწილში).

**სოციალური განვითარების ხელშეწყობა** ჩვენი სოციალური ინვესტირების პროექტები კვლავაც ხელს უწყობენ მილსადენის გასწვრივ მოსახლეთა ცხოვრების ხარისხის ამაღლებას. მაგალითად, „გაუმჯობესებული სკოლების პროექტი," გარე შეფასების თანახმად, BTC-ის საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კომპონენტია. კიდევ უფრო დიდ და ფართომასშტაბიან წარმატებას მივაღწიეთ რეგიონული განვითარების ინიციატივის განხორციელების საქმეში (გვ. 35-36, 39-41).

## ამოცანები

**ადგილობრივი ინსტიტუციონალური შესაძლებლობების ხელშეწყობა** კვლავ ვდგავართ სამართლებრივი და ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებული რიგი პრობლემების წინაშე, რომლებიც აფერხებენ და ართულებენ სამუშაო პროცესს. ამ საკითხების გადასაწყვეტად მთავრობასთან მუშაობას გავაგრძელებთ (გვ. 12-13).

**დასავლეთის მიმართულების მილსადენის უსაფრთხო მუშაობა** 2006 წელს აღნიშნულ მილსადენზე წარმატებით განხორციელებული სარემონტო სამუშაოების შემდეგ გადავწყვიტეთ, ჩავატაროთ დამატებითი სამუშაოები მილსადენის მარშრუტის ზოგიერთ მონაკვეთზე მეწყერთან დაკავშირებული საფრთხეების შესასწავლად. შესწავლისას განხორციელებული სამუშაოების უსაფრთხების უზრუნველსაყოფად დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP) ექსპლუატაცია დროებით შეჩერდა (გვ. 8-9).

**ადგილობრივი ხელმძღვანელი კადრების მომზადება** დამატებითი ზომები მივიღეთ ადგილობრივ თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდისა და მათი შესაძლებლობების განვითარებისთვის. თუმცა ხელმძღვანელ თანამდებობებზე სათანადო რაოდენობის ადგილობრივი კადრების დანიშვნა კვლავ ამოცანად რჩება (გვ. 27-29).

**ნარჩენების მართვა** გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ყოველდღიური პრობლემების გარდა, საქართველოში ევროპული სტანდარტების ნაგავსაყრელი ობიექტების არარსებობის გამო ნარჩენების მართვის საკითხი კვლავ რთულად გადასაწყვეტია. ექსპლუატაციის ეტაპზე გადასვლასთან ერთად ამ საკითხის მოსაგვარებლად განსაკუთრებული ყურადღებით ვიმუშავებთ (გვ. 21).

**კოდიანას პროექტების განხორციელება** საქართველოს მთავრობის წინაშე ავიღეთ ვალდებულება, BTC მილსადენის კოდიანას მონაკვეთზე განვახორციელოთ დამატებითი სამშენებლო პროექტები, რომლებიც გარემოს შემდგომ დაცვას უზრუნველყოფენ. ამ პროექტების სათანადოდ შესასრულებლად საჭირო იქნება პროექტების მართვის უწყვეტად მაღალი ხარისხი (გვ. 7-8).

# BP საქართველო

**2006 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში**

## BP ჯგუფი

BP გაზის, ნავთობისა და ნახშირბადის დაბალი შემცველობის სხვა წყაროებიდან აწარმოებს ენერგიას ტრანსპორტირების, ელექტროენერგიის, გათბობისა და განათების, ყოველდღიური მოხმარების საგნებისა და პროდუქტებისათვის. ჩვენ ვსაქმიანობთ გლობალურად და დაახლოებით 100 ქვეყანაში 97000-ზე მეტი ადამიანი გვყავს დასაქმებული. წილობრივად ვმონაწილეობთ 26 ქვეყანაში მიმდინარე საძიებო და მოპოვებით საქმიანობაში. ჩვენი კაპიტალური აქტივების დაახლოებით 40% აშშ-ში მდებარეობს, ხოლო 25% – დიდ ბრიტანეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

2006 წელს BP ჯგუფი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ მომხმარებელს დღეში თითქმის ოთხ მილიონ ბარელ ნავთობსა და გაზს აწვდიდა. ამ წელს დაიწყო აზერბაიჯანში აღმოსავლეთ და დასავლეთ აზერის პლატფორმებიდან ნავთობის მოპოვება, რომელიც საქართველოზე გამავალი ახლახან დასრულებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ევროპის ბაზრებს მიეწოდება. 2006 წელს ჯგუფის კაპიტალური დანახარჯები სულ 17,2 მილიარდი აშშ დოლარი იყო. აშშ-ის ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიის (SEC) მონაცემებით, 2006 წელს ჩვენი რეზერვების ჩანაცვლების კოეფიციენტმა 113% შეადგინა.[1]

## წინამდებარე ანგარიში: მიმოხილვის სფერო და პროცესი

BP-ისათვის მდგრადი განვითარება ნიშნავს მისი, როგორც საწარმოო ჯგუფის უნარს, განაახლოს აქტივები, შექმნას და მომხმარებელს მიაწოდოს უკეთესი პროდუქცია და საზოგადოების მზარდი მოთხოვნები უკეთესი მომსახურებით დააკმაყოფილოს, მოიზიდოს თანამშრომელთა ახალი თაობები, საკუთარი წვლილი შეიტანოს გარემოს დაცვაში და შეინარჩუნოს როგორც საკუთარ მომხმარებელთა, ასევე აქციონერთა და იმ საზოგადოების ნდობა და მხარდაჭერა, სადაც საქმიანობს.

წინამდებარე ანგარიში ჩვენ მიერ საქართველოში განხორციელებული მდგრადი განვითარების ხელშემწყობი საქმიანობის შესახებ გამოქვეყნებული რიგით მესამე ანგარიშია, რომელიც საქართველოს 2004 წლის მდგრადი განვითარების მიმოხილვისა და 2005 წელს გამოქვეყნებული მდგრადი განვითარების სრული ანგარიშის საფუძველზე მომზადდა. 2006 წელს ჩვენმა საქმიანობამ მშენებლობის ფაზიდან გრძელვადიანი ექსპლუატაციის ფაზაში გადაინაცვლა. ეს ის გარდამავალი პერიოდია, როდესაც ჩვენი, როგორც ნავთობისა და გაზის რესურსების ოპერატორის, როლი იზრდება, რომლის შესრულებას დიდი ხნის განმავლობაში ვაპირებთ. მიუხედავად იმისა, რომ საქმიანობა იცვლება, გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ვალდებულება იგივე რჩება. მდგრადი განვითარების მომავალ ანგარიშებში გავაგრძელებთ ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტებსა და, ამავე დროს, ჩვენი მკითხველებისათვის საინტერესო საკითხებზე საუბარს.

ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია კომპანიის მიერ ქვეყანაში განხორციელებულ საქმიანობას მთლიანობაში წარმოაჩენს, ამასთანავე, ცალკეულ პროექტებსა და ოპერაციებსაც ასახავს. ანგარიში თბილისის ოფისმა მოამზადა და მასში აღწერილია ჩვენი საქმიანობა მთელი ქვეყნის მასშტაბით. როგორც წინათ, ახლაც ფორმალური პროცედურის დაცვით წარმოვაჩინეთ შიდა და გარე მხარეებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რათა ჩვენი საქმიანობა ანგარიშში მრავალმხრივად და სწორად ასახულიყო.

[1] ფილიალებსა და საკუთარი აქციებით პასუხისმგებელ საწარმოებთან ერთად, შესყიდვებისა და გასხვისების ჩაუთვლელად.


**1 BP საქართველოს გენერალური მენეჯერის წერილი**
**2 რას ნიშნავს BP-ისთვის პასუხისმგებლობა**
**3 2006 წლის შედეგები**
**4 საქმიანობა ჩვენი პასუხისმგებლობით**
5 როგორ ვმუშაობთ
7 ჩვენი კომერციული საქმიანობა
10 ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობა
11 დიალოგი და თანამშრომლობა
17 ჯანდაცვა და უსაფრთხოება
20 ეკოლოგიური თვალსაზრისით გამართლებული საქმიანობა
24 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა
25 უშიშროება და ადამიანის უფლებები
27 ჩვენი თანამშრომლები
**30 ჩვენი როლი საზოგადოებაში**
31 სოციალური და გარემოსდაცვითი ჭრილი
32 კლიმატის ცვლილება
33 ეფექტური მართვის ხელშეწყობა
34 ბიზნესის განვითარება
35 განათლება
37 ხელმისაწვდომი ენერგია
38 ჩვენი პროგრამები
**42 მუშაობის ეფექტურობის მაჩვენებლები**
**43 დოკუმენტის შესაბამისობის დადასტურება**
**44 ტერმინების განმარტება**
**45 დამატებითი ინფორმაცია**


მუშაობა მიმდინარეობს სადგურზე Area 80, თურქეთის საზღვართან ახლოს.

---

### განცხადება **BP** ჯგუფის აუდიტორის, **Ernst & Young**-ისაგან

ჩვენ შევისწავლეთ BP საქართველოს 2006 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში, რათა BP-ის ხელმძღვანელობისათვის დაგვედასტურებინა, რომ კომპანიის მიერ საქართველოში მდგრადი განვითარებისთვის განხორციელებული საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი მონაცემები, განცხადებები და მტკიცებულებები ფაქტებითა თუ ახსნა-განმარტებებით სათანადოდაა დასაბუთებული. ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგები და დასკვნები წინამდებარე ანგარიშის 43-ე გვერდზეა მოყვანილი.

წინამდებარე ანგარიშში „BP"-ის და „BP ჯგუფის" დასახელებისას იგულისხმება BP p.l.c., მისი ფილიალები და შვილობილი კომპანიები. ანგარიშში ერთიანად არის წარმოდგენილი BP p.l.c.-ის, მისი ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების მიერ განხორციელებული ღონისძიებები და საქმიანობა, თუკი სხვაგვარად არ არის მითითებული. ნაცვალსახელები „ჩვენ" და „ჩვენი" გულისხმობს BP ჯგუფის იმ კომპანიებს, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ, თუკი სხვაგვარად არ არის განმარტებული.


წინამდებარე ანგარიშში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება მოცემულია 44-ე გვერდზე.

# BP საქართველოს გენერალური მენეჯერის წერილი

2006 გარდამავალი წელი იყო, რომელიც მშენებლობის წარმატებით დასრულების შემდეგ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა (BTC) და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის (SCP) სრულ ექსპლუატაციაში გაშვებით აღინიშნა. BTC-ის სრულად ამუშავება, რომლის ოფიციალური ცერემონია ივლისში თურქეთის პორტ ჯეიჰანში გაიმართა, არის დაგვირგვინება საინჟინრო და მენეჯმენტის იმ უმნიშვნელოვანესი მიღწევისა, რომლისთვისაც ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში ათასობით ადამიანი შრომობდა.

ჩვენთვის და ჩვენი პარტნიორებისათვის SCP-ის დასრულება და საქართველოს გაზგამანაწილებელ სისტემასთან დამაკავშირებელი გაზსადენის მშენებლობა ქვეყნისთვის პირველი გაზის მისაწოდებლად გადადგმული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. ამ გზით პირველი გაზი საქართველოში 2007 წლის იანვარში შემოვიდა, რაც ამ ქვეყნის მოსახლეობისა და ხელისუფლებისთვისაც დიდი მიღწევა იყო.

მშენებლობის დამთავრება და მილსადენების ექსპლუატაციის დაწყება, რა თქმა უნდა, არ არის ისეთი უბრალო და მარტივი ღონისძიება, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. ერთი ფაზიდან მეორეზე უსაფრთხოდ და ეფექტურად გადასვლა ასობით ადამიანის ძალისხმევის შედეგია. ამ რთული ამოცანის შესასრულებლად საჭირო გახდა თანამშრომელთა და ტექნიკის მობილიზაცია, ახალი კონტრაქტორების აყვანა, ცვლილებების მართვისათვის აუცილებელი სისტემებისა და პროცედურების დანერგვა, ჯგუფების შეერთება, ასევე ახალი ჯგუფებისა და ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა – ყოველივე ეს გაკეთდა ყოველდღიური საქმიანობის პარალელურად. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გარდამავალი პროცესი დღემდე შეუფერხებლად მიმდინარეობს.

ზემოთ აღნიშნულ ძალისხმევას ჩვენთვის ხელი არ შეუშლია, ახალი ნაბიჯები გადაგვედგა. კვლავაც ვავითარებთ ადგილობრივ პოტენციალს არა მხოლოდ საინჟინრო და სამშენებლო საქმიანობით, არამედ უფრო ფართო ღონისძიებებით. პარტნიორებთან ერთად შექმნილმა რეგიონული განვითარების ინიციატივამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რეგიონის შესაძლებლობების განვითარებას ბიზნესისა და ინფრასტრუქტურის მხარდაჭერით. BP-ის მიერ პირდაპირ ან მთავრობასთან შეთანხმებული საგრანტო პროგრამებით დაფინანსებული სოციალური ინიციატივების განხორციელებით გაგრძელდა საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის პროექტების, ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაძლიერების, განათლებისა და ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერა.

საქმიანობა და მიღწევები ცხადად წარმოაჩენენ შემდეგი მნიშვნელოვანი გზავნილის არსს: BP, როგორც ოპერატორი, საქართველოში კიდევ დიდხანს დარჩება. კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზის საბადოები ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და დიდია მთელ მსოფლიოში. BP-მ მსხვილი ინვესტიცია უკვე განახორციელა რეგიონსა და საქართველოში. უსაფრთხოების დაცვითა და პასუხისმგებლობით კვლავაც გავაგრძელებთ ქვეყანაში ჩვენი როლის შესრულებას, რაც სარგებელს მოგვიტანს ჩვენც, პარტნიორებსაც და ქართველ ხალხსაც.

**ჰიუ ჯ. მაკდაუელი**
BP საქართველოს გენერალური მენეჯერი
ივნისი, 2007 წელი

# რას ნიშნავს BP-ისთვის პასუხისმგებლობა

**წინამდებარე ანგარიშის სტრუქტურა ეფუძნება ჩვენი შეხედულებების იმ მოდელს, რომელსაც BP-ში კორპორაციული პასუხისმგებლობის სხვადასხვა ასპექტის აღსაწერად ვიყენებთ. ამ სისტემის თანახმად, ჩვენი საქმიანობა იყოფა ორ კატეგორიად: პირველი, რომელსაც ვაკონტროლებთ და მეორე, რომელზეც გავლენას ვახდენთ. „ კონტროლის სფერო" გულისხმობს ჩვენს საქმიანობებს, „გავლენის სფერო" კი ჩვენი საქმიანობის საზღვრებს სცილდება და საზოგადოებრივ და ეკოლოგიურ ასპექტებს მოიცავს.**




**1 თავი: კონტროლის სფერო**

**საქმიანობა ჩვენი პასუხისმგებლობით**

სამუშაო პასუხისმგებლობა ორი დონისაგან შედგება: პირველ დონეზე იგი გულისხმობს საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულებას. მეორე, უფრო მაღალ დონეზე, ვცდილობთ ვიმუშაოთ, როგორც „პროგრესულმა ოპერატორმა", ვაწესებთ რა საკუთარ სტანდარტებს, რომლებიც საკანონმდებლო მოთხოვნების ჩარჩოებს სცილდება. ჩვენი აზრით, კომპანიას, რომელიც მუდამ წარმატებისკენ მიისწრაფვის, უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური და კოლექტიური ქცევის უნივერსალური სტანდარტები. ისეთ დიდ და მრავალმხრივ ორგანიზაციაში, როგორიცაა BP, ამის მიღწევა ჩვენი უპირველესი ამოცანაა. ანგარიშის I ნაწილში აღწერილია 2006 წელს ამ სფეროში განხორციელებული ჩვენი საქმიანობა.

**2 თავი: გავლენის სფერო**

**ჩვენი როლი საზოგადოებაში**

ვცდილობთ, პირველები ვიყოთ ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა კლიმატის ცვლილება და განვითარება, სადაც ჩვენი გამოცდილება, კაპიტალი და შესაძლებლობები დადებითი ზეგავლენის საშუალებას გვაძლევს. კლიმატის ცვლილების საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯები არსებითად სცილდება მხოლოდ ჩვენივე ემისიების შემცირებას და გულისხმობს, აგრეთვე, საკანონმდებლო დებატებში მონაწილეობას, კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობასა და ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროში ახალი და უფრო უსაფრთხო ტექნოლოგიების დანერგვას. „BP-ის ალტერნატიული ენერგიის" ბიზნეს-მიმართულების დახმარებით ფინანსდება განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის დარგები. ახალი თაობის, ნახშირბადის დაბალი შემცველობის სატრანსპორტო საწვავის კვლევის, განვითარებისა და რეალიზაციისთვის 2006 წელს წამოვიწყეთ ბიო-საწვავის ბიზნესი. რაც შეეხება სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ჩვენი წვლილი ძირითადად სახელმწიფო შემოსავლების ზრდაში, სამუშაო ადგილების შექმნაში, კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროდუქციის წარმოებაში გამოიხატება. თუმცა, კიდევ უფრო დიდი როლი უნდა შევასრულოთ მასპინძელ ქვეყნებში ეფექტური მმართველობისა და საზოგადოებრივი პროგრესის ხელშესაწყობად. ანგარიშის II ნაწილში აღწერილია 2006 წელს მოცემულ სფეროებში განხორციელებული ჩვენი საქმიანობა.

# 2006 წლის შედეგები

## მიღწევები

**BTC მილსადენის სრულ ექსპლუატაციაში გაშვება** ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენით პირველი ნავთობი დანიშნულების ადგილას 2006 წლის ივნისში ჩავიდა. ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ეს არის ნავთობის ყველაზე დიდი წყარო, რაც OPEC-ის ფარგლებს გარეთ მოუპოვებიათ (გვ. 7-8). გარდა ამისა, ამ პროექტმა მილსადენის დერეფნის ახლოს მცხოვრებ მოსახლეობას სოციალური და ეკონომიკური სარგებლობა მოუტანა (გვ. 39-40).

**SCP-ის დასრულება და საქართველოს გაზგამანაწილებელ სისტემასთან შემაერთებელი გაზსადენის მშენებლობა** ჩვენ სამხრეთ კავკასიური მილსადენის მშენებლობა დავასრულეთ და ავაშენეთ გაზსადენი, რომელიც მას საქართველოს გაზგამანაწილებელ სისტემასთან აკავშირებს. აღნიშნულმა პროექტმა საშუალება მოგვცა, საქართველოსათვის პირველი გაზი 2007 წლის იანვარში მიგვეწოდებინა, რაც ქვეყნის ხელისუფლებისა და მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო (გვ. 9, 37).

**მიწის აღდგენითი სამუშაოების დასრულება** 2006 წელს დასრულდა საინჟინრო და აღდგენითი სამუშაოები იმ მიწაზე, რომელიც BTC და SCP მილსადენების სამშენებლო დერეფანში მოხვდა. გარე აუდიტორებმა და ექსპერტებმა აღდგენითი სამუშაოს ხარისხი ძალიან მაღალ დონეზე შეაფასეს (გვ. 20-21).

**მშენებლობის ფაზიდან ექსპლუატაციის ფაზაზე გადასვლის მართვა** წარმატებით გავართვით თავი ორგანიზაციულ, ტექნიკურ და კომერციულ ამოცანებს მშენებლობიდან მუდმივი ექსპლუატაციის ფაზაზე შეუფერხებლად და უსაფრთხოდ გადასვლის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ რჩება გარდამავალ პროცესთან დაკავშირებული გარკვეული ამოცანები, გვჯერა, რომ ჩვენი ორგანიზაცია სათანადოდ არის მომზადებული საქართველოში ექსპლუატაციის ახალ და ხანგრძლივ ეტაპზე გადასასვლელად (ამ საკითხებთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას ხშირად შეხვდებით ანგარიშის პირველ ნაწილში).

**სოციალური განვითარების ხელშეწყობა** ჩვენი სოციალური ინვესტირების პროექტები კვლავაც ხელს უწყობენ მილსადენის გასწვრივ მოსახლეთა ცხოვრების ხარისხის ამაღლებას. მაგალითად, „გაუმჯობესებული სკოლების პროექტი," გარე შეფასების თანახმად, BTC-ის საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კომპონენტია. კიდევ უფრო დიდ და ფართომასშტაბიან წარმატებას მივაღწიეთ რეგიონული განვითარების ინიციატივის განხორციელების საქმეში (გვ. 35-36, 39-41).

## ამოცანები

**ადგილობრივი ინსტიტუციონალური შესაძლებლობების ხელშეწყობა** კვლავ ვდგავართ სამართლებრივი და ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებული რიგი პრობლემების წინაშე, რომლებიც აფერხებენ და ართულებენ სამუშაო პროცესს. ამ საკითხების გადასაწყვეტად მთავრობასთან მუშაობას გავაგრძელებთ (გვ. 12-13).

**დასავლეთის მიმართულების მილსადენის უსაფრთხო მუშაობა** 2006 წელს აღნიშნულ მილსადენზე წარმატებით განხორციელებული სარემონტო სამუშაოების შემდეგ გადავწყვიტეთ, ჩავატაროთ დამატებითი სამუშაოები მილსადენის მარშრუტის ზოგიერთ მონაკვეთზე მეწყერთან დაკავშირებული საფრთხეების შესასწავლად. შესწავლისას განხორციელებული სამუშაოების უსაფრთხების უზრუნველსაყოფად დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP) ექსპლუატაცია დროებით შეჩერდა (გვ. 8-9).

**ადგილობრივი ხელმძღვანელი კადრების მომზადება** დამატებითი ზომები მივიღეთ ადგილობრივ თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდისა და მათი შესაძლებლობების განვითარებისთვის. თუმცა ხელმძღვანელ თანამდებობებზე სათანადო რაოდენობის ადგილობრივი კადრების დანიშვნა კვლავ ამოცანად რჩება (გვ. 27-29).

**ნარჩენების მართვა** გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ყოველდღიური პრობლემების გარდა, საქართველოში ევროპული სტანდარტების ნაგავსაყრელი ობიექტების არარსებობის გამო ნარჩენების მართვის საკითხი კვლავ რთულად გადასაწყვეტია. ექსპლუატაციის ეტაპზე გადასვლასთან ერთად ამ საკითხის მოსაგვარებლად განსაკუთრებული ყურადღებით ვიმუშავებთ (გვ. 21).

**კოდიანას პროექტების განხორციელება** საქართველოს მთავრობის წინაშე ავიღეთ ვალდებულება, BTC მილსადენის კოდიანას მონაკვეთზე განვახორციელოთ დამატებითი სამშენებლო პროექტები, რომლებიც გარემოს შემდგომ დაცვას უზრუნველყოფენ. ამ პროექტების სათანადოდ შესასრულებლად საჭირო იქნება პროექტების მართვის უწყვეტად მაღალი ხარისხი (გვ. 7-8).

# საქმიანობა ჩვენი პასუხისმგებლობით

1


1.1 როგორ ვმუშაობთ
1.2 ჩვენი კომერციული საქმიანობა
1.3 ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობა
1.4 დიალოგი და თანამშრომლობა
1.5 ჯანდაცვა და უსაფრთხოება
1.6 ეკოლოგიური თვალსაზრისით გამართლებული საქმიანობა
1.7 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა
1.8 უშიშროება და ადამიანის უფლებები
1.9 ჩვენი თანამშრომლები

შაჰ-დენიზის გაზი საქართველოს 30 დუიმი დიამეტრის შემაერთებელი მილსადენით მოეწოდება.

## 1.1 როგორ ვმუშაობთ

**საქმის მიმართ სრული პასუხისმგებლობა ჩვენი კორპორაციული პასუხისმგებლობის ქვაკუთხედია. ეს გულისხმობს, შევინარჩუნოთ მაღალი და თანმიმდევრული სტანდარტები ყოველდღიურად და ყველგან, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, მათ შორის – უსაფრთხოებასთან, პატიოსნებასთან, გარემოს დაცვასა და პერსონალის მართვასთან დაკავშირებით. წინამდებარე ნაწილში აღწერილია ჩვენი მიდგომები და BP საქართველოს როლი ჯგუფში.**

ჩვენი საქმიანობა საქართველოში BP-ის ერთ-ერთი რეგიონის – აფრიკა-ახლო აღმოსავლეთ-კასპიისა და ჯგუფის ერთ-ერთი გრძელვადიანი საქმიანობის ცენტრის ნაწილია. ჩვენი საქმიანობა ჯგუფის საძიებო და მოპოვებითი სეგმენტის ნაწილია, რაც, თავის მხრივ, ერთ-ერთია ჯგუფის სამი საოპერაციო სეგმენტიდან (ორი დანარჩენი მოიცავს გადამუშავებას და მარკეტინგს და გაზს, ენერგიასა და განახლებად ენერგოწყაროებს).

ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ აზერბაიჯანელ და თურქ კოლეგებთან და აზერბაიჯანის სტრატეგიული ბიზნესდანაყოფის ნაწილს წარმოვადგენთ. ეს განპირობებულია გეოგრაფიული სიახლოვით, უფრო მეტად კი იმ კავშირით, რომელიც საქართველოში არსებულ მილსადენების ობიექტებსა და კასპიისა და ხმელთაშუა ზღვებში და მათ გარშემო არსებულ ნავთობისა და გაზის მოპოვების, შენახვისა და განაწილების საშუალებებს შორის არსებობს.

ჩვენი საქმიანობა საქართველოში ხორციელდება იმ ფუნქციური განყოფილებების საშუალებით, რომელთა მიზანია, უზრუნველყოს ურთიერთკავშირი BP ჯგუფში, ეფექტურად მართოს რისკი და გაზარდოს წარმოების ნაყოფიერება. ტექნოლოგიურ დახმარებას ჯგუფის კვლევითი და საინჟინრო განყოფილებები ახორციელებენ. ტექნოლოგია ჯგუფს ეხმარება, მოიპოვოს ენერგიის ის წყაროები, რომლებიც მას ესაჭიროება მომავალში ენერგოუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ენერგიის მოპოვებითა და მოხმარებით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე შესამცირებლად.

BP თანამშრომლობს მთელ რიგ კომპანიებთან, რომლებიც არ შედიან BP ჯგუფში, ასევე სხვა ერთობლივ საწარმოებთან. ჯგუფის გადასახედიდან, ბევრი ასეთი ერთობლივი საწარმო თავად წარმოადგენს დიდ და მნიშვნელოვან კომპანიას, რომელიც შექმნილია დამოუკიდებლად, საკუთარი დირექტორთა საბჭოთი და მართვის პროცედურებით, სადაც BP წარმოდგენილია, როგორც აქციონერი. ნებისმიერ შემთხვევაში, BP მისდევს საკუთარ სტანდარტებსა და პოლიტიკას იმ ერთობლივ საწარმოებში, რომლებსაც მართავს და სადაც ამის შესაძლებლობას ერთობლივ საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულება იძლევა. იმ ერთობლივ საწარმოებში, რომლებშიც BP არ არის ოპერატორი, მაგრამ აქციების მფლობელია, იგი იღვწის საკუთარი სამუშაო სტანდარტების მსგავსი სტანდარტებისა და პროგრამების დასანერგად. საქართველოში ჩვენს საავიაციო საწვავის ბიზნესს Air BP-ისა და Aviafuel Service-ის მიერ შექმნილი ერთ-ერთი ასეთი ერთობლივი საწარმო უძღვება.

**BP-ის ხედვა და სტრატეგია** BP ჯგუფის სტრატეგია ხუთწლიან და ერთწლიან გეგმებშია გაწერილი. სტრატეგია ემსახურება დირექტორთა საბჭოს მიერ დასახული ძირითადი მიზნის მიღწევას, კერძოდ, აქციონერთა მოგების მაქსიმალურად გაზრდას გრძელვადიანი პერსპექტივით. სეგმენტები და

ჩვენი საქმიანობა საქართველოში ხორციელდება იმ ფუნქციური განყოფილებების საშუალებით, რომელთა მიზანია, უზრუნველყოს ურთიერთკავშირი BP ჯგუფში, ეფექტურად მართოს რისკი და გაზარდოს წარმოების ნაყოფიერება.

ბიზნესდანაყოფები, მათ შორის, BP საქართველო, საკუთარ სტრატეგიებს ჯგუფის სტრატეგიის შესაბამისად აყალიბებენ.

**მმართველობა და რისკის მართვა** ჩვენი კორპორაციული მმართველობისა და მართვის სისტემები ქმნიან იმ ჩარჩოს, რომლითაც განვსაზღვრავთ, თუ რის მიღწევას და როგორ ვცდილობთ. ეს სისტემები შექმნილია ბიზნესის კომერციული მიზნების მისაღწევად უსაფრთხო, ეთიკური და პასუხისმგებლობით მიდგომის გზით, სტრატეგიის, დაგეგმვისა და აღსრულების საშუალებით და ღირებულებების, სტანდარტებისა და კონტროლის გამოყენებით.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ ვაღწევთ მიზნებს, ამას განაპირობებს შემდეგი:

- შეზღუდვები აღმასრულებელ დონეზე: ეს შეზღუდვები ადგენს საზღვრებს საბჭოს, ჯგუფის მთავარ აღმასრულებელ დირექტორსა (GCE) და იმ საქმიანობასა და პირობებს შორის, რომლებსაც საბჭო მიუღებლად მიიჩნევს. საბჭო მთავარ აღმასრულებელ დირექტორს გადასცემს უფლებამოსილებას ამ შეზღუდვების ფარგლებში.
- სამარკო ნიშნები: ჩვენი სამარკო ნიშნებია, ვიყოთ „შესრულებაზე ორიენტირებულნი," „პროგრესულები," „ნოვატორები" და „მწვანეები."

**დირექტორთა საბჭოს მიზნებიდან ინდივიდუალურ სამუშაო მიზნებამდე**

როგორ იქცევა გეგმები ქმედებებად და შეზღუდვები აღმასრულებელ დონეზე – ინდივიდუალურ შეზღუდვებად




- ჯგუფის ღირებულებები: ჯგუფის ღირებულებები არის განაცხადები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია საქმიანობა და მიზნები, ხშირად მისწრაფებებიც, რომელთაც ვიყენებთ ჩვენი სამუშაო მაჩვენებლების შესაფასებლად და ჯგუფის რეპუტაციის შესაქმნელად. ეს მისწრაფებები გულისხმობს მუშაობას უბედური შემთხვევების გარეშე, ეკოლოგიური თვალსაზრისით გამართლებულ საქმიანობას, სამართლიანობას თანამშრომელთა მიმართ, მათ დაწინაურებას ღირსებისა და დამსახურების მიხედვით, ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების განვითარებასა და ადამიანის უფლებების დაცვას.
- BP-ის ქცევის კოდექსი: ქცევის კოდექსში ჯგუფის გარკვეული ღირებულებები BP-ის ყველა თანამშრომლისათვის სავალდებულო კონკრეტული პრინციპებისა და მოთხოვნების სახით არის ჩამოყალიბებული.
- ჯგუფის სტანდარტები: ეს სტანდარტები წარმოადგენს მკვეთრად ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს, პროცესებსა და პრონციპებს, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით უნდა იქნას დაცული. ქცევის კოდექსი, სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო მართვის სტანდარტები, ნდობა, უწყვეტი საქმიანობის დაგეგმვა და ჯგუფის ინვესტიციების შეფასებისა და დამტკიცების პროცედურები სრული ძალით მოქმედებს. დამტკიცდა და უკვე აღსრულების პროცესშია კიდევ ოთხი სტანდარტი: სამუშაოს კონტროლი, მთლიანობის მართვა, ციფრული უსაფრთხოება და უშიშროება; მუშავდება კიდევ სამი სტანდარტი: საზღვაო ოპერაციები, ადამიანები და მართვის ინფორმაცია.
- კონტროლის პროცესები: მოიცავს პრაქტიკულ სისტემას, რომელიც შიდა მართვის განხორციელების საშუალებას იძლევა.
- ინდივიდუალური სამუშაო მიზნები: განსაზღვრავს პიროვნების მოსალოდნელ წვლილს წლიური გეგმის შესრულებაში, მის ინდივიდუალურ მიზნებს, რესურსებს, საქმიანობასა და შეზღუდვებს.

წინამდებარე ანგარიშში აღწერილია, საქართველოში საქმიანობისას როგორ ვიყენებთ აღნიშნულ ღირებულებებს, სტანდარტებსა და მართვის სისტემებს.

# 1.2 ჩვენი კომერციული საქმიანობა

**საქართველოში ჩვენი ძირითადი საქმიანობა პროექტებში ინვესტირებიდან ხანგრძლივი ოპერაციების ეტაპზე გადადის. ეს გულისხმობს რეგიონში ახალი მილსადენების პროექტების წარმატებით დასრულებას, რაც BP-ის მიერ ბოლო ათწლეულის განმავლობაში განხორციელებული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინვესტიციაა. ახლა ექსპლუატაციის ახალ, ხანგრძლივ ფაზაში შევდივართ.**

საქართველოში ნავთობისა და გაზის სამ დიდ პროექტს ვახორციელებთ, რომლებშიც წამყვანი ინვესტორისა და ოპერატორის ფუნქცია გვაკისრია. ინფორმაცია ჩვენს პარტნიორებსა და მათ ინვესტიციებზე ქვემოთ არის მოცემული.

BTC და SCP პროექტების დასრულებასთან ერთად გრძელვადიანი ყოველდღიური ექსპლუატაციის ფაზაში გადავდივართ. ამ ცვლილებას თან ახლავს თანამშრომლების შეცვლა, სამუშაო ძალისა და ტექნიკის დემობილიზაცია, ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბება, ახალი კომერციული საქმიანობები და ახალი ტექნიკური ამოცანები. ამ ცვლილების უსაფრთხოდ და ეფექტურად მართვა იყო და არის მნიშვნელოვანი გამოწვევა. ერთი ფაზიდან მეორეზე შეუფერხებლად გადასასვლელად 2006 წელს ხელმძღვანელობამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა ცვლილებების მართვის სტრუქტურირებული პროცესის განხორციელების გზით.

ამასთან ერთად, მნიშვნელოვან სარემონტო სამუშაოებს ვასრულებთ დასავლეთის მიმართულების მილსადენზე. BTC/SCP მილსადენების მარშრუტის გასწვრივ სხვადასხვა ობიექტს ვაშენებთ ამ მილსადენების დამატებითი ფიზიკური და ტექნიკური უსაფრთხოებისთვის. ქვემოთ აღწერილი ამ ობიექტების ნაწილი საქართველოს მთავრობამ მოითხოვა, ნაწილიც 2005 წელს შეთანხმებული ნავთობის დაღვრაზე ავარიული რეაგირების გეგმის მიღების პირობით იყო გათვალისწინებული. 2006 წელს დავიწყეთ გზების შეკეთება და მშენებლობა მილსადენის ახლოს მდებარე სარქველის სადგურებთან შეუფერხებლად მისასვლელად.

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი (BTC)** მილსადენს, რომლის სრული სიგრძე 1768 კილომეტრია, დღეში მილიონ ბარელზე მეტი ნავთობის გატარება შეუძლია აზერბაიჯანის სანგაჩალის ტერმინალიდან თურქეთში ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე ჯეიჰანის საზღვაო ტერმინალამდე. იგი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი მილსადენია. BTC მილსადენის მშენებლობა საქართველოში 2005 წელს დასრულდა.

BTC მილსადენი სრულ ექსპლუატაციაში 2006 წელს იქნა გაშვებული. მილსადენში გატარებული ნავთობის ნაკადი სტაბილურად იზრდებოდა და ამჟამად მილსადენით მსოფლიო ბაზრებს დღეში დაახლოებით 600 000 ათასი ბარელი ნავთობი მიეწოდება. აღდგენითი და ლანდშაფტური სამუშაოები მილსადენის მარშრუტის გასწვრივ მაღალი სტანდარტების შესაბამისად შესრულდა (უფრო დეტალურად აღწერილია ნაწილში 1.6).

2006 წელს დაიწყო, აგრეთვე, დამატებითი ობიექტების მშენებლობა კოდიანას მთიან მონაკვეთზე მილსადენის

**მილსადენების აქციონერები (%)**



## BTC მილსადენის ექსპლუატაციაში გაშვება

BTC მილსადენის საექსპორტო სისტემის ოფიციალური ინაუგურაცია 2006 წლის ივლისში გაიმართა თურქეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე ჯეიჰანის ნავთობტერმინალში. ღონისძიებას, რომელსაც თურქეთის ხელისუფლება მასპინძლობდა, ესწრებოდნენ მათი უმაღლესობები: თურქეთის პრეზიდენტი აჰმეთ ნეჯდეთ სეზერი, თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეფ ტაიფ ერდოგანი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, სხვა მაღალი რანგის სამთავრობო და სახელმწიფო წარმომადგენლებთან, BTC მილსადენის მფლობელი კომპანიების უფროს ხელმძღვანელ პირებთან და პროექტის თანამშრომლებთან ერთად. ჯეიჰანის ინაუგურაციის ცერემონიაზე სიტყვით გამოვიდა ლორდი ბრაუნი, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა: „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ექსპლუატაციაში გაშვება მნიშვნელოვანი ნაბიჯია ნავთობის მრეწველობის ხანგრძლივ ისტორიაში. პირველად ამ საუკუნეში იგი კასპიის ზღვის ნავთობის მარაგებს მსოფლიო ბაზრებთან აკავშირებს. BP-ის სახელით მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც შესაძლებელი გახადა ამ ეტაპამდე მოსვლა.

მინდა, მადლობა გადავუხადო პროექტში დასაქმებულ შესანიშნავ ხალხს სამი ქვეყნიდან – აზერბაიჯანიდან, საქართველოდან, თურქეთიდან და კიდევ ბევრ სხვას, რომელთა დახმარებასა და მონაწილეობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა – მუშებს, ადგილობრივ მოსახლეობას, კომპანიებს, მთავრობებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, ჩვენს პარტნიორებს და, რა თქმა უნდა, ჩვენს თანამშრომლებს. BTC მილსადენი 21-ე საუკუნის პირველი უდიდესი სამშენებლო პროექტია.”

ეკოლოგიური და ტექნიკური უსაფრთხოებისთვის. უსაფრთხოების ბაზის მშენებლობა ზამთრის ყინვების გამო დროებით შეჩერდა და ამინდის გაუმჯობესებისთანავე გაგრძელდება. მშენებლობის დამთავრების შემდეგ ბაზა მუდმივი ობიექტის ფუნქციას შეასრულებს, სადაც საცხოვრებელი ოთახები, ოფისები, სარემონტო ობიექტები, ენერგოწარმოების, კანალიზაციისა და სასმელი წყლის სისტემები მოეწყობა და ექსპლუატაციისათვის საქართველოს სამთავრობო სტრუქტურას – სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტს გადაეცემა (SPPD).

ჩატარდა, აგრეთვე, ნავთობის ავარიული ჩამოსაცლელი ობიექტის (EDDF) მშენებლობასთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოები. ობიექტი 8500მ$^3$ მოცულობის ფოლადის რეზერვუარია, რომელიც მოთავსდება კიდევ ერთ ბეტონის მიწისქვეშა რეზერვუარში, სადაც ავარიის შემთხვევაში, კოდიანას მონაკვეთის ნებისმიერი ადგილიდან BTC მილსადენიდან დაღვრილი ნავთობი ჩაიცლება და შეინახება. ოქტომბერში საქართველოს მთავრობისაგან აუცილებელი ნებართვების მიღების შემდეგ რეზერვუარის ადგილი გაიწმინდა და მშენებლობისათვის მომზადდა, რომელიც 2007 წელს დაიწყება.

2006 წელს შეიქმნა მეორადი შემაკავებელი ობიექტების სისტემის პროექტები მილსადენის დაზიანების ნაკლებად სავარაუდო შემთხვევაში ნავთობის უსაფრთხოდ შესაკავებლად. თითოეული მეორადი შემაკავებელი ობიექტი მდინარის კალაპოტის ირგვლივ აშენებული დამბითა და შლუზებით აღჭურვილი სალექარი საგუბრებისაგან შედგება. ავარიის შემთხვევაში შლუზები დაიკეტება და შეაჩერებს ნავთობს იქამდე, სანამ ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ჯგუფი ნავთობის უსაფრთხოდ ლოკალიზაციას არ

## დასავლეთის მიმართულების მილსადენის შეკეთება

2006 წლის იანვარში – საქართველოს მკაცრი ზამთრის პირობებში – შეიქმნა 20 კაციანი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ინჟინრები და მილსადენის ექსპლუატაციის ექსპერტები. ჯგუფის მიზანი იყო ტექნიკური მომსახურების პროგრამის დაწყება მილსადენის ავტომატიზირებული დგუშით შესწავლისას გამოვლენილი ხარვეზების მდებარეობის დასაზუსტებლად.

2006 წელს დაწყებული ტექნიკური მომსახურების სამუშაო, რომელიც ორ ეტაპად ხორციელდება, ახლაც მიმდინარეობს. პირველ ეტაპზე ობიექტზე მუდმივად, ცვლებში მუშაობდა დაახლოებით 95 ადამიანი, ხოლო მეორეზე – 81. 2006 წლის განმავლობაში სამუშაოზე დაახლოებით 450 000 კაც-საათი დაიხარჯა. მილსადენზე მუშაობა შეუჩერებლად მიმდინარეობდა. ეს შესაძლებელი გახადა კოორდინირებულმა ლოჯისტიკამ და პროექტის მართვამ, საფრთხეების სათანადო ანალიზმა და მართებულმა საინჟინრო გადაწყვეტილებებმა. სამუშაო გულისხმობდა მილსადენის ამოთხრას იმ ადგილებში, სადაც ანალიზის საფუძველზე საჭირო იყო ხარვეზების ვიზუალური და ულტრაბგერითი შემოწმება, და იმის დადგენას, თუ რა შემდგომი ზომების მიღება იქნებოდა აუცილებელი. ეს ღონისძიებები მოიცავდა დარღვეული ზედაპირის მოცილებას, გარსაცმის გაკეთებას (ეს ახალი მეთოდია, როდესაც ახალი გარსაცმი, ფაქტობრივად, ანალ მილად იქცევა), ან პირდაპირ დეფექტური მილის მონაკვეთების ამოჭრას და ახლით ჩანაცვლებას.

მოცემული სამუშაო დღემდე ადამიანის დაშავების, უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევისა და გარემოს დაბინძურების შემთხვევის გარეშე მიმდინარეობს.

მოახდენს. მეორადი შემაკავებელი ობიექტების მშენებლობა 2007 წელს დაიწყება.

**დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი (WREP)**
მილსადენის სიგრძე 830 კილომეტრია და მისი საშუალებით აზერბაიჯანში, კასპიის ზღვის შირაგის საბადოდან მოპოვებული ნავთობი სანგაჩალის ტერმინალის გავლით დასავლეთ საქართველოში სუფსის ტერმინალამდე მიდის. მილსადენის თითქმის ნახევარი საქარველოს ტერიტორიაზეა. დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენს, რომელიც სრულ ექსპლუატაციაში 1999 წელს შევიდა, დღეში 155 000 ბარელამდე ნავთობის გატარება შეუძლია.

2005 წლის ბოლოს ჩატარებული გეგმიური ტექნიკური დათვალიერების შედეგად, რისთვისაც ავტომატიზირებული დგუშის გატარების მეთოდი იქნა გამოყენებული (მილსადენის შემოწმება მოწყობილობით, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას მილსადენის მდგომარეობის შესახებ), მილსადენში გამოვლინდა ხარვეზები, რომლებმაც გაანალიზების შემდეგ შეკეთება მოითხოვა. დაისახა პრიორიტეტები ამ ხარვეზების გამოსასწორებლად, ტექნიკური მომსახურების შეკეთების პროგრამის შესაბამისად. სარემონტო სამუშაოები ამჟამადაც მიმდინარეობს. 2006 წლის ბოლოს შესრულდა დამატებითი სამუშაოები მილსადენის მარშრუტის ზოგ ადგილას მეწყერის საფრთხის შესასწავლად. სამუშაოების უსაფრთხოდ განსახორციელებლად კვლევის პროცესში მილსადენის ექსპლუატაცია დროებით შეჩერებულია. მილსადენის დაზიანების პოტენციური რისკის შესამცირებლად კველევითი სამუშაოები მიმდინარეობს მილსადენის ზესტაფონის რაიონში გამავალ მონაკვეთზე. უახლოეს მომავალში მეწყერსაშიში ტერიტორიების გვერდის ასავლელად მილსადენის ამ მონაკვეთის მიმართულების შეცვლაა დაგეგმილი.

**სამხრეთ კავკასიური მილსადენი (SCP)**
ამ მილსადენის მშენებლობა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე იმავე დერეფანში გადის, რომელშიც BTC მილსადენი, 2006 წელს დასრულდა. BTC მილსადენის მსგავსად, ისიც მიწაშია ჩაფლული. SCP მილსადენის საშუალებით კასპიის ზღვის შაჰ-დენიზის საბადოდან მოპოვებული ბუნებრივი აირი აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის მომხმარებელს მიეწოდება.

გაზი მილსადენის საქართველოს სექციაში 2006 წლის სექტემბერში გაუშვეს მილსადენის გამოცდისა და ამუშავებისთვის. 2006 წელს გარდაბნის ახლოს დასრულდა, აგრეთვე, SCP მილსადენის საქართველოს გაზმომარაგების სისტემასთან შემაერთებელი ახალი, 12 კილომეტრი სიგრძის მილსადენის მშენებლობა. მისი ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ საქართველომ პირველი გაზი 2007 წლის იანვარში მიიღო.

SCP მილსადენის საქართველოს სექციის აირით შევსებამ შესაძლებელი გახადა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი ნედლი ნავთობის ხაზის (MOL) საქაჩი ტუმბოების საწვავი აირის სისტემაზე ამუშავება. აღნიშნული სამუშაოს დამთავრება, რომელიც 2006 წლის დეკემბერში დაიწყო, 2007 წელს არის დაგეგმილი. ჩვენი აზრით, ტუმბოების აირზე მუშაობა გააძლიერებს BTC სისტემის საიმედოობას, შეამცირებს ემისიებს ატმოსფეროში და გაზრდის სისტემის წარმადობას.

**Air BP** 1998 წლიდან საქართველოში საავიაციო საწვავის სარეალიზაციო საქმიანობას აქტიურად ვახორციელებთ. თბილისის აეროპორტში BP საავიაციო საწვავით ადგილობრივ და საერთაშორისო ავიახაზებს ამარაგებს. ჩვენს პარტნიორთან, ერთობლივ საწარმო Aviafuel Service-თან ერთად, მომხმარებელს BP-ისა და Castrol-ის წარმოების საპოხ მასალებს ვაწვდით.

2006 წელი კიდევ ერთი წარმატებული წელი აღმოჩნდა Air BP-სათვის, რადგან ახალი მომხმარებლები, Air Baltic და BA Cargo შეიძინა. ამასთან, მთელი წლის მანძილზე ადგილი არ ჰქონია არცერთ ჯანმრთელობის დაზიანების, უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის თუ გარემოს დაბინძურების შემთხვევას.

## 1.3 ჩვენი ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობა

**საქართველოში ჩვენი ფინანსური და ეკონომიკური გავლენა თვალსაჩინოა. ჩვენ მსხვილი უცხოელი ინვესტორი ვართ და საქართველოს სახელმწიფოს ბიუჯეტში გადასახადებისა და სატრანზიტო მოსაკრებლების სახით მნიშვნელოვანი წვლილი შეგვაქვს. ამასთანავე, ვართ ადგილობრივი კომპანიების მსხვილი დამქირავებელი. ჩვენი ინვესტიციები გარემოსდაცვით და სოციალურ პროექტებში მიზნად ისახავს როგორც მიმდინარე პრობლემების მოგვარებას, ისე მომავლში ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და მყარი სოციალური გარემოს ხელშეწყობას. ყველა ამ გზით მნიშვნელოვან როლს ვასრულებთ საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების საქმეში.**

WREP-ის ტარიფს სახელმწიფო ბიუჯეტში ვიხდით. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი WREP პროექტიდან 2000-2006 წლებში გადახდილ თანხებს ასახავს. 2006 წელს ამ მონაცემის მცირეოდენი კლება მილსადენზე წინდახედულად განხორციელებული სარემონტო სამუშაოებით გამოწვეული გამტარობის შემცირებით აიხსნება.

BTC მილსადენში გატარებულ ნავთობთან დაკავშირებული მოგების გადასახადები პირველად 2006 წელს იქნა გადახდილი, რომელმაც BTC-ის ყველა პარტნიორის მხრიდან 7,8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ჩვენი წინასწარი გათვლებით, 2007 წელს მილსადენში გატარებული ნავთობის რაოდენობის გაზრდასთან ერთად მოგების გადასახადი დაახლოებით 25 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზრდება.

2006 წელს საქართველოში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების დაახლოებით 27% BP-ისა და მისი პარტნიორების ანგარიშზეა. ჩვენ მიერ მშენებლობაში ჩადებული კაპიტალური ინვესტიციები საქართველოში პროექტების დაწყებიდან დღემდე 906 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს BTC-ზე და 585 მილიონ აშშ დოლარს – SCP-ზე. 2004-2006 წლებში ჩვენ მიერ გაწეული კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯები ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია მოცემული, საიდანაც ჩანს, რომ დანახარჯების ბალანსი კაპიტალურიდან საოპერაციო დანახარჯებისაკენ ინაცვლებს, რადგან ჩვენს საქმიანობაში მშენებლობას მუდმივი ექსპლუატაცია ცვლის.

ჩვენ მიერ მშენებლობაში ჩადებული კაპიტალური ინვესტიციები საქართველოში პროექტების დაწყებიდან დღემდე 906 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს BTC-ზე და 585 მილიონ აშშ დოლარს – SCP-ზე.

**WREP-დან გადახდილი ტარიფი 2000-2006 წლებში (მილიონი $)**




2006 წლიდან თანხები ერიცხება GOGC-ს (საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას). იქამდე თანხები ერიცხებოდა GIOC-ს (საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას).
2004 წლის BP საქართველოს მდგრადი განვითარების ანგარიშში მოყვანილი ციფრები IMF-ის ანგარიშიდან არის აღებული.

**კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯები საქართველოში ($000)**

| | კაპიტალური | | | საოპერაციო | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2004 | 2005 | 2006 | 2004[1] | 2005 | 2006 |
| WREP | 2 342 | 4 752 | 0 | 20 581 | 23 711 | 41 443 |
| BTC | 262 936 | 225 812 | 130 932 | 0 | 0 | 29 474 |
| SCP | 160 861 | 205 736 | 137 893 | 0 | 0 | 1 187 |
| **სულ** | **426 139** | **436 300** | **268 825** | **20 581** | **23 711** | **72 104** |

[1] მოიცავს საქართველოს მილსადენის კომპანიის საოფისე და ადმინისტრაციულ ხარჯებს, რომლებიც არ შევიდა BP საქართველოს 2004 წლის მდგრადი განვითარების ანგარიშში.

## 1.4 დიალოგი და თანამშრომლობა

**ჩვენს თანამშრომლებსა და კონტრაქტორებს ხშირი ურთიერთობა აქვთ სხვადასხვა ჯგუფთან, მათ შორის, მთავრობასთან, მოსახლეობასთან, საზოგადოებრივი აზრის შემქმნელ პირებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კრედიტორებთან, მომწოდებლებსა და ბიზნეს-პარტნიორებთან. ჩვენი მიზანია, ამ ჯგუფებთან დიალოგითა და თანამშრომლობით ჩამოყალიბდეს ურთიერთობა, რომელიც ორმხრივად სასარგებლო იქნება.**

**მრავალსაფეხურიანი მონიტორინგი და კონტროლი** BTC და SCP პროექტების სრულყოფილი მონიტორინგი მათი დაწყების დღიდან ხორციელდება. პროექტის ჯგუფები ასრულებენ მონიტორინგს, რომელიც პროექტების, ყოველდღიური საველე სამუშაოების და კონტრაქტორის მუშაობის აუდიტს მოიცავს. ოფიციალურ მონიტორინგს გვიწევენ, აგრეთვე, გარეშე ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული პროექტების განხორციელებასთან. ასეთი ორგანიზაციებია:

- კასპიის განვითარების მრჩეველთა საბჭო (CDAP): საბჭო, რომელმაც მუშაობა უკვე დაასრულა, იკრიბებოდა წელიწადში ორჯერ მაინც და რეგიონში ყოველ წელს ჩამოდიოდა. საბჭო პირდაპირ ჯგუფის მთავარ აღმასრულებელ დირექტორთან იყო ანგარიშვალდებული.
- არასამთავრობო ორგანიზაციები: მონიტორინგი ხორციელდება „ მილსადენის მონიტორინგისა და დიალოგის ინიციატივის" მეშვეობით. 2006 წელს პროგრამის ფარგლებში შესრულებული საქმიანობა უფრო დაწვრილებით ქვემოთ არის აღწერილი.
- სოციალური და განსახლების სამოქმედო გეგმის ექსპერტთა საბჭო (SRAP): საბჭომ 2006 წლის სექტემბერში პროექტი მეშვიდედ შეისწავლა.
- მონიტორინგი ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მიერ: მოიცავს კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხებს და, აგრეთვე, სამთავრობო ორგანოებთან უფრო ფართო საკითხებზე გამართულ დისკუსიებს.
- კრედიტორი ჯგუფების დამოუკიდებელი კონსულტანტი გარემოს დაცვის საკითხებში (IEC): კონსულტანტის მიერ ჩატარებული აუდიტის ანგარიშები კვარტალში ერთხელ ქვეყნდება და გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმებთან ჩვენი საქმიანობის შესაბამისობას განიხილავს.
- საჩივრების ოფიციალური პროცედურა, როგორსაც, მაგალითად, ახორციელებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC): ფიზიკურ პირებს აძლევს პროექტის ზემოქმედებასთან დაკავშირებული საჩივრების შეტანის საშუალებას იმ მექანიზმების პარალელურად, რომლებიც ჩვენ თავად ჩამოვაყალიბეთ.

ამასთან ერთად, ჩატარდა მონიტორინგი ისეთ სპეციფიკურ საკითხზე, როგორიცაა ადამიანის უფლებების დაცვა. აღნიშნული მონიტორინგი საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელმა ექსპერტებმა განახორციელეს. საქართველოში შემოსავლების გამჭვირვალობის მიმართ მზარდი ინტერესის შედეგად საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2006 წელს BTC გრანტის ხარჯვის მონიტორინგი ჩაატარა. ჩვენს საქმიანობას ფართოდ აშუქებს აგრეთვე ადგილობრივი და საერთაშორისო მედია.

ჩვენი აზრით, ასეთი მრავალსაფეხურიანი მონიტორინგი მოპოვებითი მრეწველობის პროექტების კონტროლის უპრეცედენტო მაგალითია, რასაც კასპიის განვითარების მრჩეველთა საბჭოც აღიარებს.

**კასპიის განვითარების მრჩეველთა საბჭო (CDAP)** BTC პროექტების შესახებ კასპიის განვითარების მრჩეველთა საბჭოს (CDAP) ბოლო საჯარო ანგარიში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო პროექტების განვითარების საქმეში. BP ჯგუფის მთავარი აღმასრულებელი დირექტორისათვის პროექტების შესახებ დამოუკიდებელი კონსულტაციის გასაწევად ოთხი წლის წინ შექმნილი CDAP-ის საქმიანობის დასრულება

## კასპიის განვითარების მრჩეველთა საბჭო

„ჩვენს ბოლო საჯარო ანგარიშში ვაფასებთ იმას, თუ რამდენად კარგად ახერხებენ BP და BTC თავიანთი მიზნების განხორციელებას. ჩვენი აზრით, კომპანიებმა შთამბეჭდავად დაიწყეს. კასპიის ზღვის პროექტებს უკვე მოჰყვა საამაყო წარმატებები, რომელთა დიდი ნაწილი ახალ საფუძველს უყრის მრეწველობის მომპოვებელი დარგების მიერ გარდამავალ და განვითარებად ქვეყნებში ინვესტიციების განხორციელებას.

ნახსენები მნიშვნელოვანი მიღწევების დადებითად შეფასებასთან ერთად, გვინდა, აღვნიშნოთ, რომ ძირითადად მშენებლობაზე ორიენტირებული საქმიანობა, რომელსაც ჩვენი მანდატით გათვალისწინებული ოთხი წლის განმავლობაში ვაკვირდებოდით, მხოლოდ მცირე ნაწილია BTC-ისა და მასთან დაკავშირებული პროექტების დაახლოებით 40 წლიანი სიცოცხლისა. აქედან გამომდინარე, კომპანიების მიერ ახალი საორიენტაციო მოდელის შექმნის მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ ასეთივე მნიშვნელოვანი და უფრო დიდი ამოცანები ჯერ კიდევ წინ არის, რომელთა შესასრულებლად საჭირო იქნება ხელმძღვანელობის მუდმივი ყურადღება და ზოგჯერ უფრო მეტი ადამიანური თუ სხვა სახის რესურსების გაღება.”
**CDAP-ის საბოლოო ანგარიში და დასკვნები (იანვარი, 2007 წელი).**

საშუალებას გვაძლევს, კომპანიის მიღწევები გავაანალიზოთ და სამომავლო ამოცანები განვსაზღვროთ.

CDAP-ის მიერ აღნიშნულ მიღწევებს შორის დასახელდა ის, რომ მილსადენების პროექტების განხორციელებამ გაუმჯობესა რეგიონში ეკოლოგიურად მგრძნობიარე ინფრასტრუქტურის განვითარების სტანდარტები, ზოგადად დაკმაყოფილა არაერთი მკაცრი გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი, სწრაფად და ობიექტურად განახორციელა მიწის შესყიდვის ფართომასშტაბიანი პროგრამა, უზრუნველყო ადამიანის უფლებების დაცვა, გადადგა ნაბიჯები ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობათა განსავითარებლად და განახორციელა სოციალური და გარემოსდაცვითი პროექტები. ყოველივე ეს ხანგრძლივ და მდგრად განვითარებას შეუწყობს ხელს.

თუმცა, საბჭომ აღნიშნა სფეროები, რომლებიც მომავალში დამატებით ძალისხმევას მოითხოვენ. მაგალითად, ექსპლუატაციის ფაზაში შესვლა წარმოშობს ახალ ამოცანებს, რომლებიც აშენებული ობიექტების უსაფრთხოებისა და უწყვეტი ოპერირების უზრუნველყოფას უკავშირდება. კომპანიამ არ უნდა მოადუნოს ყურადღება ადამიანის უფლებების დაცვისა და შემოსავლების გამჭვირვალობის მიმართ. საბჭომ გვირჩია რეგიონული განვითარების ინიციატივისთვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფა, არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობის გაგრძელება და ნარჩენების მართვის საკითხისადმი ხელმძღვანელობის მხრიდან ყურადღების შემდგომი გამახვილება.

ყურადღებით შევისწავლით და გავითვალისწინებთ CDAP-ის რეკომენდაციებს საქართველოსა თუ რეგიონში გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელებისას.

ვაგრძელებთ სამთავრობო დაცვის სამსახურის თანამშრომლებისათვის წვრთნების ჩატარებას, ამასთან, დავასრულეთ მათთვის დაცვის არამომაკვდინებელი აღჭურვილობის გადაცემა, 2004 წელს მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

### ურთიერთობა მთავრობასთან

ვაგრძელებთ სხვადასხვა დონეზე საქართველოს სამთავრობო ორგანოებთან ურთიერთობას არაერთ საკითხთან დაკავშირებით. წლის განმავლობაში ვთანამშრომლობდით მთავრობასთან ისეთი გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, როგორიცაა საქართველოსათვის პირველი გაზის მიწოდება. ახალი ჭაბურღილებიდან მოპოვების დაწყებისას, როგორც ხდება ხოლმე, გაზის მიწოდება ისე არ დაიწყო, როგორც ეს გათვალისწინებული და სასურველი იყო. ამან უარყოფითად იმოქმედა საქართველოში გაზის მიწოდების დაგეგმილ ვადებზე. ნახსენები

თავდაპირველი შეფერხების მიუხედავად, გაზის მიწოდება 2007 წლის იანვარში დაიწყო.

რთულია საქმიანობა იმ გარემოში, რომელშიც ხელისუფლების სამართლებრივი და ადმინისტრაციული შესაძლებლობები ჯერ კიდევ ვითარდება. ზოგ საკითხზე, მაგალითად, მიწის მფლობელობის კანონიერების საკითხზე, წარმოიშვა დავები. სახელმწიფოსთან მშენებლობის უფლებების შესახებ ხელშეკრულებების არარსებობის გამო ვერ შევძელით ჩვენი უფლებების რეგისტრაცია, რაც ამ მიწების შესაძლო პრივატიზაციას გულისხმობს. ანალოგიურად, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოსთან ოფიციალურად შევათანხმეთ მილსადენის უსაფრთხოების ზონები, ჯერ კიდევ არ არის მიღებული შესაბამისი სამართლებრივი ცვლილებები, რაც ამ პროცედურას მხოლოდ ოფიციალურ ფორმას აძლევს. შეგვხვდა დაბრკოლებები ლიცენზიებისა და ნებართვების მიღებაშიც განმკარგულებელ ორგანოებში მიმდინარე ორგანიზაციული ცვლილებების გამო, მაგრამ ამან ხელი ვერ შეგვიშალა მთავრობისაგან ძირითად სამუშაოებთან დაკავშირებული აუცილებელი ნებართვების მიღებაში.

აღნიშნული პრობლემების მიუხედავად, შეგვიძლია, მოვიყვანოთ უამრავი მაგალითი იმისა, თუ რა ორმხრივი სარგებლობის მოტანა შეუძლია კონსტრუქციულ ურთიერთობას. ვაგრძელებთ სამთავრობო დაცვის სამსახურის თანამშრომლებისათვის წვრთნების ჩატარებას, ამასთან, დავასრულეთ მათთვის დაცვის არამომაკვდინებელი აღჭურვილობის გადაცემა, 2004 წელს მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად. აღნიშნული ორი ღონისძიება გააძლიერებს ამ სამსახურის შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობს მილსადენის უკეთ დაცვას. „BP-ის ვალდებულებამ" და BTC-ის გრანტის პროგრამებმა ხელი შეუწყო სახელმწიფო პოლიტიკის ისეთი მიმართულებების განვითარებას, როგორიცაა განათლება და კულტურული მემკვიდრეობა და, ამასთან, ადგილობრივ თემებთან ურთიერთობაში დაგვეხმარა.

### ურთიერთობა მოსახლეობასთან

ვაღიარებთ იმას, რომ ახალი მილსადენების მშენებლობამ მილსადენის ახლოს მცხოვრებ მოსახლეობაზე ეკონომიკური და სოციალური გავლენა მოახდინა. შევეცადეთ, მინიმუმამდე შეგვემცირებინა უარყოფითი გავლენა და სოციალურ და გარემოსდაცვით პროექტებში ინვესტიციების განხორციელებით სარგებელი მოგვეტანა. ჩვენი საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები (CLO) მოსახლეობის წარმომადგენლებთან მჭიდროდ თანამშრომლობენ, მათ პრობლემებს ისმენენ და ყველანაირად ცდილობენ ამ პრობლემების სამართლიანად მოგვარებას.

2005 წელს BTC/SCP მილსადენების გასხვისების დერეფნიდან შემოვიდა საჩივრები მძიმე სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისა თუ მილსადენთან დაკავშირებული აფეთქების სამუშაოების შედეგად შენობა-ნაგებობების დაზიანების შესახებ. მშენებელი კონტრაქტორების მიერ გამოწვეული ვიბრაციის შესასწავლად

**BTC/SCP-ის მიწისა და მოსავლის კომპენსაციები საქართველოში ($)**

| | მიწა | მოსავალი | სულ |
|---|---|---|---|
| 2003 | 6 691,490 | 4 933 688 | 11 625 178 |
| 2004 | 2 325,732 | 4 865 665 | 7 191 397 |
| 2005 | 484 572 | 1 090 274 | 1 574 846 |
| 2006 | 607 127 | 1 504 568[1] | 2 111 695 |
| **სულ** | **10 108 921** | **12 394 195** | **22 503 116** |

[1] 2006 წლის მოსავლის კომპენსაციის მაჩვენებელი შეიცავს მიწისა და მოსავლის გაერთიანებული კომპენსაციის სახით გადახდილ გარკვეულ თანხებსაც.

## სოციალური და განსახლების სამოქმედო გეგმის (SRAP) ექსპერტთა საბჭო

2006 წელს BTC და SCP მილსადენების საქართველოს მონაკვეთზე რიგით მეშვიდე შემოწმებისას SRAP-ის ექსპერტთა საბჭომ ყურადღება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ ადამიანებთან კონსულტაციაზე გაამახვილა. მათ გამოავლინეს საკითხები, რომლებიც დამატებით ღონისძიებებს საჭიროებენ. მაგალითად, შემოგვთავაზეს, მეტი ყურადღება მიგვექცია იმისათვის, თუ რამდენად სწორად გაიგო მოსახლეობამ მიწით სარგებლობის უფლების დაბრუნების პროცესი. საბჭომ შემდეგი დასკვნა გააკეთა:

„ძირითადი მიღწევა საქართველოში მოსახლეობასა და პროექტს შორის ურთიერთობაა. ჩანს, რომ ხალხი გულწრფელად აფასებს BTC Co.-ის მიერ განხორციელებულ საქმიანობას და უდრო მეტი რწმენა და იმედი არსებობს იმისა, რომ კომპანია მომავალშიც ,,სწორად მოიქცევა." გამოკითხულთაგან თითქმის ყველამ დადებითად შეაფასა BTC Co., რაშიც ლომის წილი სოციალური და მიწის საკითხების თანამშრომლების უზარმაზარ ძალისხმევასა და თავდადებას მიუძღვის, ამიტომ უნდა მივულოცოთ მათ საქმიანობის ასეთი შედეგი."

**ამონარიდი SRAP-ის ექსპერტთა საბჭოს ანგარიშის დასკვნებიდან (სექტემბერი, 2006 წელი).**

## ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან

"BTC მილსადენის მშენებლობის გაცხოველებული საქმიანობისას როგორც ზეპირი, ასევე წერილობით დავებისა და საჩივრების მოსაგვარებლად სასწრაფო გადაწყვეტილებების მიღება და დაუყოვნებლივ მოქმედება გვიხდებოდა. მილსადენის მშენებლობის ზეგავლენა მოსახლეობაზე გარდაუვალი იყო, ამიტომაც ჩვენს სამუშაო ტერიტორიაზე მდებარე თითქმის ყველა სოფელში მივდიოდით ამა თუ იმ საყურადღებო საკითხის გადასაწყვეტად.

ზოგჯერ პრობლემის მოგვარება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან, მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთან და სხვა გავლენიან პირებთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს მოითხოვდა. ამასთან ერთად, იძულებული ვიყავით, ადგილობრივი მოთხოვნების შესაბამისად, სხვადასხვა ღონისძიებისათვის მიგვემართა. ჩვენი მიზანი მათი პრობლემების მოგვარება და სამუშაოს შეჩერების მინიმუმამდე შემცირება იყო, რასაც პროექტის ვადებზე უარყოფითი გავლენა შეეძლო, მოეხდინა. ამას ზოგჯერ დილიდან საღამომდე, კვირაში შვიდ დღეს ვანდომებდით!

ახლა, როდესაც მილსადენები ამუშავებულია, ყოველდღიური საქმიანობის დაგეგმვის მეტი შესაძლებლობა გვაქვს, თუმცა კვლავ ჩავდივართ სოფლებში, ვხვდებით ხალხს და ვცდილობთ, მოვაგვაროთ მათი პრობლემები. ახლა მეტი დრო გვაქვს იმისათვის, რომ ვიმუშაოთ ჩვენს სტრატეგიაზე და განვახორციელოთ პროექტები, რომლებიც მოსახლეობას დამატებით სარგებლობას მოუტანს. მაგალითად, სკოლებისათვის მცირე გრანტების პროგრამის განხორციელებით მჭიდროდ ვთანამშრომლობთ დასავლეთის მიმართულების მილსადენის ახლოს მდებარე სკოლებთან. ჩვენი განრიგი, შეიძლება, ოდნავ უფრო მშვიდია, მაგრამ მთავარი გამოწვევები ჯერ კიდევ წინ არის."

**ლიკა კვიწინაშვილი და ზურა მღვდლიაშვილი, BP-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები.**

---

BP-მ დამოუკიდებელი ინჟინრები დაიქირავა. მათი დასკვნის თანახმად, სამშენებლო ტრანსპორტის მოძრაობა შენობებზე ბზარების გაჩენის ძირითადი მიზეზი არ შეიძლება, ყოფილიყო. წელს ჩატარდა დამატებითი კვლევები იმის დასადგენად, შეეძლო თუ არა მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებულ აფეთქებით გამოწვეულ ვიბრაციებს შენობებზე ბზარების გაჩენა. გამოკვლევებით დადგინდა, რომ ამ მიზეზით ვერც ერთი სახლი სტრუქტურულად ვერ დაზიანდებოდა. თუმცა, ანგარიშის დასკვნის თანახმად, ნაკლებად შესაძლოა, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ აფეთქების ადგილებიდან 188 მეტრის რადიუსში მდებარე სახლების ბათქაშზე კოსმეტიკური ბზარები გაჩენილიყო. აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე BP-იმ გადაწყვიტა, აფეთქების ადგილებიდან 188 მეტრის რადიუსში მდებარე სახლების მეპატრონეებისათვის გარკვეული თანხები შეეთავაზებინა. აღნიშნულ საჩივრებთან დაკავშირებული საქმეები საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) შესაბამისობის მრჩევლის/ომბუცმენის (CAO) და BTC-ის მიერ მალე დაიხურება.

მილსადენის მშენებლობისა და აღდგენითი სამუშაოების გათვალისწინებით, ვაცნობიერებთ, რომ მოსახლეობასთან ურთიერთობის სტრატეგია უნდა შევცვალოთ და განვავითაროთ. მილსადენის მშენებლობის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ მოსახლეობასთან ურთიერთობის შენარჩუნებასთან ერთად გავითვალისწინებთ ქვეყნის მოსახლეობის უფრო ფართო მოთხოვნილებებს. ამ მიმართულებით ჩვენი მიზნების უკეთ ჩამოსაყალიბებლად 2006 წელს საქართველოში მოსახლეობასთან ხანგრძლივი ურთიერთობის სტრატეგიის დამოუკიდებელი კვლევა ჩავატარეთ.

**მიწის შესყიდვა და კომპენსაცია** ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიური მილსადენების მშენებლობა და სამშენებლო დერეფნის აღდგენა 2006 წელს დასრულდა.

2006 წელს განხორციელებულ საქმიანობებს შორის ერთ-ერთი უმთავრესი მიწით სარგებლობის უფლების დაბრუნება იყო. თავდაპირველ მესაკუთრეთათვის მიწით სარგებლობის უფლების დაბრუნება (რაც უსასყიდლოდ, მაგრამ მიწაზე მუშაობის გარკვეული შეზღუდვებითა და შესვლის უფლებებით ხორციელდება) პროექტის მიერ აღებული ვალდებულებაა, რომელიც 2006 წელს ძირითადად დასრულდა თეთრიწყაროს, წალკისა და ბორჯომის რაიონებში. პროგრამა გაგრძელდება და მთლიანად 2007 წლის ბოლოს დამთავრდება, თუმცა ზოგან, მაგალითად, ბორჯომის რაიონში, დამატებითი ობიექტების მშენებლობისათვის მიწის შეძენა გახდა საჭირო.

მიწით სარგებლობის უფლების დაბრუნების პროცესში BTC Co.-მ დამატებითი უფლებები მოიპოვა სამშენებლო დერეფნის გარეთ და გვერდით მდებარე მიწის ფართობებზე. ასეთი დამატებითი შეზღუდვის უფლებები მილსადენების უსაფრთხოებისა და დაცვისათვის არის აუცილებელი. ამ ტერიტორიების სანაცვლოდ მიწის ყველა მესაკუთრე გარკვეულ თანხას იღებს, რომელიც პროექტის მიერ მიწის შეძენისას გამოყენებული მიწის სრული ღირებულების საფუძველზე იანგარიშება.

2005 წლის ანგარიშში აღვწერეთ საჩივრების მოგვარების დამოუკიდებელი პროცესი, რომლის მეშვეობით საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია და შესაბამისობის ომბუცმენი (CAO) საჩივრებს განიხილავენ. 2006 წელს საჩივრების მოგვარების ოფიციალური პროცესის საშუალებით მიღებული საჩივრების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, რის შედეგადაც ყველა შემოსული საჩივრის 99% პროექტის ფაზის საჩივრების რეგისტრაციის ჟურნალის დახურვამდე და ექსპლუატაციის ფაზის რეგისტრაციის ჟურნალის გახსნამდე მოგვარდა. პროექტის ფაზიდან დარჩენილი რამდენიმე საჩივარი შემდგომი მოგვარების მიზნით ექსპლუატაციის ფაზის საჩივრების რეგისტრაციის ჟურნალში იქნა გადატანილი. გადასაჭრელია, აგრეთვე, ერთი საჩივარი, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) 2006 წელს მიიღო.

2006 წელს მოსამზადებელი ღონისძიებები გატარდა, აგრეთვე, იმ საჩივრებისა თუ საკითხების განსახილველად, რომლებიც მიწის მესაკუთრეების მიერ მილსადენების სამშენებლო დერეფნის ხელმეორედ დაკავების შემდეგ წამოიჭრება. ამ შემთხვევაში აქცენტი მიწაზე უსაფრთხო საქმიანობაზე გაკეთდება, რაც აუცილებელი შეზღუდვებითაა განპირობებული.

2006 წლის სექტემბერში განხორციელებული ვიზიტისას SRAP-მა დაადასტურა, რომ მიწის მესაკუთრეებმა და მოსარგებლეებმა შეზღუდვები კარგად გაიგეს. SRAP, ზოგადად, კმაყოფილი დარჩა მიწით სარგებლობის უფლების დაბრუნების პროცედურით და მშენებლობის დერეფნის გარეთ დაწესებული დამატებითი შეზღუდვების საკომპენსაციო თანხებით.

პროექტის ხანგრძლივი ექსპლუატაციის ფაზაში შესვლასთან ერთად, ყურადღება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ მიწის მესაკუთრეებსა და მოსარგებლეებთან ურთიერთობის შენარჩუნებას ექცევა არა მხოლოდ პროექტის დამფინანსებელთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, არამედ მილსადენების ეფექტურად და უსაფრთხოდ ფუნქციონირებისთვის. ვადასტურებთ, როგორც ეს CDAP-მა აღნიშნა, რომ მილსადენების ექსპლუატაციის მანძილზე მუდმივი ძალისხმევა იქნება საჭირო იმისათვის, რომ დაცულ იქნას მიწით სარგებლობის შეზღუდვები და შეიქმნას შესაძლო დავების მოგვარების მექანიზმები.

**არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება: „მილსადენის მონიტორინგისა და დიალოგის ინიციატივა"** ჩვენი ძალისხმევა, ასევე, მიმართულია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების შესაძლებლობათა გაზრდის ხელშეწყობისკენ მათთან კონსტრუქციული დიალოგისა და თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული საქმიანობის ძირითადი ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიასთან ერთად განვახორციელეთ.

გავაგრძელეთ ,,მილსადენის მონიტორინგისა და დიალოგის ინიციატივა" (PMDI), დავასრულეთ მისი მეორე ეტაპი, რომელიც 2005 წელს ჩატარებული პირველი ციკლის საფუძველზე ჩამოყალიბდა და განვითარდა. ევრაზიის ფონდთან (EF)

## ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობათა განვითარება

,,მილსადენის მონიტორინგისა და დიალოგის ინიციატივის" ფარგლებში შექმნილი თითოეული სამუშაო ჯგუფი შესაბამისი პროფესიული გამოცდილების მქონე ხუთი წევრისაგან შედგებოდა, რომლებიც ცალკეულ არასამთავრობო ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ. მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, რაც მიზნების დასახვას, საჭირო ინფორმაციის მოპოვებას, ვადების დადგენასა და აუდიტის მექანიზმების განსაზღვრას გულისხმობდა, ჯგუფებმა განახორციელეს დოკუმენტების შესწავლის, გასაუბრებებისა და ობიექტების დათვალიერების პროგრამა. ჯგუფებმა მომზადებული ანგარიშების პროექტები შენიშვნებისა და განხილვის მიზნით კომპანიას გააცნეს. ერთობლივი განხილვის შემდეგ გამოქვეყნდა საბოლოო ანგარიშები.

„ნავთობის მრეწველობაში შესაბამისობის აუდიტის ჩატარება კომპლექსური და ტექნიკურად რთული საქმეა. ,,მილსადენის მონიტორინგისა და დიალოგის ინიციატივა," როგორც BTC პროექტთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხების გაცნობის უნიკალური საშუალება, ენერგოსექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტებს შორის ფართო დიალოგის კონსტრუქციული ფორმაცაა. მოხარული ვარ, რომ ინიციატივის უმთავრესი მიზნები – სამოქალაქო სექტორის აუდიტორული ჯგუფების შესაძლებლობებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება – წარმატებით შესრულდა".

**ანდრეა ჰარისი, ევრაზიის ფონდის რეგიონალური ვიცე-პრეზიდენტი სამხრეთ კავკასიაში.**

**წლის განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით შიდა ურთიერთობების განვითარებას თანამშრომლების უკეთესად ინფორმირებისათვის მათი ჩართულობისა და თანამონაწილეობის გაუმჯობესების მიზნით.**

თანამშრომლობით განხორციელებული ამ პროგრამის მიზანი საქართველოში მონიტორინგისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ჩამოყალიბება, გუნდური აუდიტის უნარ-ჩვევების განვითარება და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობებისა და პროფესიონალიზმის ამაღლება იყო. პროგრამის განხორციელებაში გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა (UNDP) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) დაგვეხმარა.

2006 წელს არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან შემდგარმა ოთხმა სამუშაო ჯგუფმა BP-ის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს – ნარჩენების მართვის, ნავთობის დაღვრისათვის მზადყოფნის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და აღდგენისა და ბიომრავალფეროვნების – აუდიტი განახორციელა. სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაო ქვემოთაა მოკლედ აღწერილი. BP არასამთავრობო ორგანიზაციებს დაეხმარა ობიექტების დათვალიერებაში, დოკუმენტაციის მოპოვებასა და დასმულ შეკითხვებზე პასუხების მიღებაში. დახმარება მოიცავდა, აგრეთვე, ევრაზიის ფონდის საერთაშორისო მრჩევლის მიერ მათთვის ჩატარებულ საექსპერტო წვრთნებს.

სამუშაო ჯგუფების ანგარიშები 2006 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა. თითოეული ანგარიში შეიცავდა დეტალურ დასკვნებსა და რეკომენდაციებს და BP-ის პასუხებს მათზე. ანგარიშში იყო, აგრეთვე, შენიშვნები იმის შესახებ, გამოსწორდა თუ არა პირველ ეტაპზე აღმოჩენილი შეუსაბამობები და გათვალისწინებულ იქნა თუ არა გაცემული რეკომენდაციები. ანგარიშები სრული სახით განთავსებულია ელექტრონულ ვებ-გვერდზე *www.bp.com/caspian.*

პროგრამის ორივე ეტაპის სამუშაო ჯგუფებში სულ 36-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა. ის ორგანიზაციები, რომლებიც პროგრამით დაინტერესდნენ, მაგრამ სამუშაო ჯგუფებში არ გაერთიანებულან, უფრო დიდ ჯგუფში გაერთიანდნენ, რომელიც პროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით პერიოდულად იკრიბებოდა.

პროგრამის ბოლოს ჩატარებულმა მონაწილეთა დამოუკიდებელმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ პროგრამამ მონაწილეებს, მართლაც, უნიკალური შესაძლებლობა მისცა, გაეღრმავებინათ თავიანთი ცოდნა საერთაშორისო აუდიტის განხორციელების მეთოდებსა და სტანდარტებში. გამოკითხვამ, აგრეთვე, დაადასტურა, რომ პროგრამამ დადებითი გავლენა მოახდინა მასში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარებაზე. გაირკვა, აგრეთვე, რომ მონაწილეებმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ ჩატარებულ წვრთნებს თავიანთი სამუშაოს დაგეგმვისა და სხვა აუდიტორული საქმიანობების განხორციელების ხელშეწყობის თვალსაზრისით.

**თანამშრომელთა ჩართულობა**

თანამშრომლებთან ურთიერთობისათვის სხვადასხვა მექანიზმს ვიყენებთ. ჯგუფის დონეზე თანამშრომელთა აზრის კვლევა, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ტარდება, 2006 წელსაც განხორციელდა. ინფორმაცია კვლევის შედეგების შესახებ 1.9 თავშია წარმოდგენილი.

თანამშრომლებს კომპანიის საშინაო და საგარეო ინფორმაციას მოკლე საგანგებო შეტყობინებებისა და შიდა საინფორმაციო ბიულეტენების საშუალებით ვაწვდით. თანამშრომელთა ჩართულობის უზრუნველყოფა ხორციელდება საერთო კრებებისა და შესაბამისი განყოფილებების თათბირებში მონაწილეობისა და კომპანიის სხვა ნაწილიდან ხელმძღვანელ პირთა საქართველოში ვიზიტების საშუალებით. წლის განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით შიდა ურთიერთობების განვითარებას თანამშრომლების უკეთესად ინფორმირების, მათი ჩართულობისა და თანამონაწილეობის გასაუმჯობესებლად. შევიმუშავეთ შიდა ურთიერთობის სტრატეგიული გეგმა, რომლის მიზანია ამ ურთიერთობების გამოყენება გრძელვადიანი სამუშაო მიზნების მისაღწევად.

# 1.5 ჯანდაცვა და უსაფრთხოება

**ჩვენს საქმიანობაში მონაწილე და ამ საქმიანობის გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანების ჯანდაცვა და უსაფრთხოება საჭიროებს მუდმივ ყურადღებას. პროექტების ფაზიდან ექსპლუატაციის ფაზაში გადასვლასთან ერთად ვცდილობთ, კიდევ უფრო განვავითაროთ ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული შრომის უსაფრთხოების კულტურა. ეს მოითხოვს როგორც ცვლილებებთან დაკავშირებული რისკების მართვას, ასევე უწყვეტი ექსპლუატაციის შედეგად წამოჭრილი ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სხვადასხვა საკითხის მოგვარებას.**

**ჯანდაცვა** ჩვენმა BTC/SCP პროექტის ჯგუფმა დიდი მოცულობის სამუშაო ჩაატარა თანამშრომლების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული არაერთი საფრთხის გამოსავლენად და გადასაჭრელად. ზოგიერთი ასეთი საფრთხე გამოწვეულია პროექტის საქმიანობის ხასიათიდან, რაც, როგორც წესი, ფიზიკურ გამძლეობას მოითხოვს და ხშირად რთულ ბუნებრივ პირობებში მიმდინარეობს. მაგალითად, საკვებისა და წყლის უსაფრთხოება შორეულ ადგილებში მუშაობის თანმდევი მნიშვნელოვანი საფრთხეა. ამიტომაც ჩავატარეთ საკვების უსაფრთხოებისადმი მიძღვნილი წვრთნა, საკვების ჰიგიენური შემოწმებები და წყლის ხარისხის ტესტირება.

თანამშრომლების ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული სხვა საფრთხეების სამართავად განვახორციელეთ ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა სამედიცინო კლინიკის გახსნა ბაკურიანში კომპანიისა და კონტრაქტორების თანამშრომლებისათვის; კამპანიები ჯანდაცვის შემდეგ საკითხებზე: გრიპი, ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება და სიგარეტის მოწევა. თანამშრომლებსა და კონტრაქტორებს ჩავუტარეთ მეცადინეობები პირველადი სამედიცინო დახმარების საკითხებზე. BTC/SCP მილსადენების დერეფნის გასწვრივ ჩავატარეთ, აგრეთვე, ეპიდემიოლოგიური მონიტორინგი.

სამუშაო ობიექტებზე ჩავატარეთ საწვრთნელი კურსები რეანიმაციისა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სხვა საკითხებზე. საერთაშორისო სტანდარტების დონეზე აღიჭურვა I და II სატუმბ სადგურებსა და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სადგურ Area 80-ზე არსებული სამედიცინო ობიექტები, რომელთაც შეუძლიათ, დახმარება აღმოუჩინონ ობიექტზე დაშავებულ ნებისმიერ პირს. სუფსის ტერმინალში სამედიცინო ევაკუაციისთვის ახალი სასწრაფო დახმარების მანქანა შევიძინეთ.

**უსაფრთხოება** უსაფრთხოების საკითხები ექსპლუატაციის ფაზაში შესვლასთან ერთად იცვლება. ყურადღება მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებული საფრთხეებიდან (მაგალითად, მძიმე ტვირთების აწევა, შედუღებისა და მიწის სამუშაოები) თვით სამუშაო პროცესის უსაფრთხოებაზე, ნახშირწყალბადების უსაფრთხოდ მართვაზე და მილსადენებისა და სხვა საშუალებების ფიზიკური მთლიანობის დაცვაზე ინაცვლებს. აღნიშნულთან დაკავშირებით განვახორციელეთ ჯგუფის დონეზე მიღებული „ექვსპუნქტიანი გეგმა," რომელშიც ინვესტირებისა და მოქმედების საკვანძო პრიორიტეტებია ჩამოყალიბებული. მაგალითად,

## პანდემიაზე რეაგირების გეგმის შემუშავება

გრიპის შესაძლო გავრცელების შესახებ საერთაშორისო საზოგადოების შეშფოთების პასუხად, BP ჯგუფის პოლიტიკის შესაბამისად, შევიმუშავეთ საქართველოში პანდემიაზე რეაგირების გეგმა.

ეს გეგმა ემყარება იმ ფაქტს, რომ ჩვენთვის ადამიანის ჯანმრთელობა ყველაზე მნიშვნელოვანია. ამასთანავე, იმ დიდი ნდობის პასუხად, რომელსაც BP-ის მიმართ მთავრობები, მომხმარებლები და მოსახლეობა იჩენენ და საქმიანობის გასაგრძელებლად მდგრადი სისტემების არსებობაა აუცილებელი.

გეგმაში მოცემულია რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს ორგანიზებული და რა ზომები უნდა იქნას მიღებული იმ საკითხების მოსაგვარებლად, რომლებმაც, შესაძლოა, გავლენა იქონიონ ჩვენს თანამშრომლებზე, ობიექტებზე, სისტემებსა და მომარაგების არხებზე. მასში ჩამოყალიბებულია ის ღონისძიებები, რომლებიც პანდემიისათვის მზადყოფნისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ განსაზღვრულ პანდემიის სხვადასხვა ფაზაზე რეაგირებისათვის უნდა გატარდეს. გეგმა ითვალისწინებს სხვადასხვა როლს – მათ შორის ისეთს, რომელიც ბიზნესისათვის კრიტიკულია – და განსაზღვრავს ამა თუ იმ პირის პასუხისმგებლობას მოქმედების აუცილებლობის შემთხვევაში.

საქართველოში დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენზე სარემონტო სამუშაოების განხორციელებისას (იხ. თავი 1.2) მთავარი აქცენტი მილსადენის ურღვევ მთლიანობაზე გვქონდა გადატანილი. ამასთან, ვაგრძელებდით სარემონტო სამუშაოებში მონაწილე თანამშრომლების კომპეტენციის ამაღლებას წვრთნებისა და განვითარების გზით.

ექსპლუატაციის ფაზაზე გადასვლისას, BP ჯგუფის სხვა სეგმენტების მსგავსად, ყურადღება უსაფრთხოების სამ კრიტერიუმზე – პირად უსაფრთხოებაზე, პროცესის უსაფრთხოებასა და გარემოს დაცვაზე გავამახვილეთ. ვაღიარებთ, რომ თავად ცვლილებას შეუძლია, გამოიწვიოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხეები პროექტის დემობილიზაციის, საექსპლუატაციო სამუშაოების პარალელურად წარმოებისა და ახალი კონტრაქტორების დანიშვნის გამო. აუცილებელია შრომის უსაფრთხოების იმ მაღალი კულტურის შენარჩუნება, რომელიც მშენებლობისას ჩამოყალიბდა. გარდამავალი პროცესის უსაფრთხოდ მართვის მიზნით კომპანიისა და კონტრაქტორების თანამშრომლებისათვის ჩატარდა სასწავლო კურსები უსაფრთხო სამუშაო სისტემების ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ობიექტის მართვა და საწვრთნელი სესიების ჩატარება მართვის სფეროში.

ჩატარებული სხვადასხვა საწვრთნელი პროგრამა ხელს უწყობს არსებული ცოდნის გამტკიცებას და ახალი უნარ-ჩვევების განვითარებას. 2006 წელს გამოკითხულმა ჩვენი თანამშრომლების 93%-მა დაადასტურა, რომ შრომის უსაფრთხოების საკითხებზე მათი ცოდნა და უნარ-ჩვევები საკმარისი იყო სამუშაოს შესასრულებლად. ეს წარმოაჩენს როგორც ჩვენს მიღწევებს, ასევე გაუმჯობესების საჭიროებასაც.

უსაფრთხოების ზოგად საკითხებზე რეგულარულად ტარდება გაცნობითი ტრენინგი, რომლის დროს თანამშრომლები და კონტრაქტორები ჯანდაცვის, უსაფრთხოების, უშიშროებისა და გარემოს დაცვის საკითხებს ეცნობიან. ტარდება წვრთნა BP-ის „უსაფრთხოების ოქროს წესების" შესახებ. ოქროს წესები მოიცავს ისეთ მაღალი რისკის შემცველ სამუშაოებს, როგორიცაა ტვირთის აწევა, დახურულ სივრცეში ან სიმაღლეზე მუშაობა. BP-ის და კონტრაქტორების თანამშრომლებს ჩაუტარდათ, აგრეთვე, წვრთნები უსაფრთხოების საკითხებზე, სადაც ყურადღება კონკრეტულ საქმიანობებსა და დავალებებზე (როგორიცაა,

2006 წელს გამოკითხულმა ჩვენი თანამშრომლების

**93%**-მა

დაადასტურა, რომ შრომის უსაფრთხოების საკითხებზე მათი ცოდნა და უნარ-ჩვევები საკმარისი იყო სამუშაოს შესასრულებლად.

მაგალითად, ტვირთის აწევა, სატრანსპორტო საშუალებების მართვა და ენერგიის იზოლაცია) გამახვილდა.

ობიექტებზე მუშაობის დაწყების წინ რეგულარულად ტარდება სამუშაოსწინა ინსტრუქტაჟები და სამუშაოსთან დაკავშირებული რისკის შეფასებები. უბედური შემთხვევების გამოძიებაზე ჩატარდა წვრთნა, რომლის მიზანია გამომწვევი მიზეზების დადგენა მომავალში მათი განმეორების თავიდან ასაცილებლად.

### კონტრაქტორის უსაფრთხოება

ვაგრძელებთ, აგრეთვე, მუშაობას კონტრაქტორების მიერ უსაფრთხოების წესების სათანადოდ შესრულების მიზნით. ორ კვირაში ერთხელ ტარდება უსაფრთხოების ხელმძღვანელი ჯგუფის თათბირი, რომელსაც კომპანიის ხელმძღვანელობა და კონტრაქტორები ესწრებიან. ამ თათბირებზე განიხილავენ მომავალში დაგეგმილ სამუშაოებთან დაკავშირებულ საფრთხეებს (მაგალითად, ხარაჩოებზე მუშაობა). ამავე თათბირებზე აანალიზებენ მომხდარ შემთხვევებს და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. ჩავატარეთ, ასევე, ხელმძღვანელი პირების სამუშაო შეხვედრა უსაფრთხოების საკითხებზე ყველა ჩვენი ძირითადი კონტრაქტორისათვის, რომლებიც ცდილობენ, გააუმჯობესონ თავიანთი მაჩვენებლები ამ სფეროში თანამშრომლობის, თანმიმდევრულად მოქმედების, ცოდნის გაზიარებისა და საუკეთესო გამოცდილების დანერგვის გზით.

სამუშაო ობიექტებზე ვახორციელებთ უსაფრთხოდ მუშაობის წამახალისებელ პროგრამებს. „ხუთი ვარსკვლავის პროგრამა" თანამშრომლის პირადი უსაფრთხოების სტაბილურად კარგი მაჩვენებლისთვის ფულად ჯილდოს აწესებს. ჯილდოები, აგრეთვე, დაწესებულია ბარათების შევსებისათვის პროგრამების – უსაფრთხოების სწავლება დაკვირვების მეთოდით და უსაფრთხოების აუდიტი – ფარგლებში, შევსების ხარისხისა და შევსებული ბარათების რაოდენობის გათვალისწინებით.

2007 წლისათვის შემუშავდა ექსპლუატაციასთან დაკავშირებული კონტრაქტორის აუდიტისა და შემოწმების პროგრამები.

### ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვის უსაფრთხოება

ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვა და საგზაო უსაფრთხოება დიდი ხანია, კომპანიისათვის მნიშვნელოვანი სფეროა, რადგან საგზაო სატრანსპორტო შემთხვევები თანამშრომლების დაღუპის ყველაზე მთავარი მიზეზია (30%). საქართველოში ჩვენი საქმიანობისას, ტრანსპორტირებისა და ლოჯისტიკის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვა ყოველთვის სერიოზულ საფრთხედ ითვლებოდა.

საფრთხეები ჩვენს საქმიანობაში ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მათ შორის, მსუბუქი და მძიმე ავტოტრანსპორტის, სისტემატური გამოყენებით არის გამოწვეული. მიღებული პრევენციული ზომები მძღოლებისათვის დაღლილობის მართვის წვრთნების ჩატარებას და ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეგულარულ შემოწმებას მოიცავს. მოწმდება BP-ის სამუშაო ობიექტზე შემოსული ყველა მძიმე ავტოსატრანსპორტო საშუალება (მაგალითად, ამწეები ან ხიმინჯსასობი დანადგარები). თადარიგი დავიჭირეთ და შევიძინეთ, აგრეთვე, ზამთრის პირობების შესაფერისი ავტოსატრანსპორტო საშუალებები, როგორიცაა, მაგალითად, თოვლში მავალი სპეციალური მანქანები.

მძღოლები შემოწმებას გადიან მუშაობის დაწყებისას, ხოლო შემდეგ სისტემატურად მოწმდებიან და ესწრებიან უსაფრთხო მართვისა და ცუდი გზის პირობებში მართვის წვრთნებს. მათ,

## მძღოლის უსაფრთხოების გაუმჯობესება

BP-ის ავტოპარკში არსებულ ყველა ავტომანქანაში დისტანციური ჩამწერი მოწყობილობაა დამონტაჟებული. კომპანიის ავტოპარკში სულ 230 ავტომანქანაა.

ჩამწერი მოწყობილობები მძღოლის ქცევის რამდენიმე კომპონენტს ადევნებენ თვალს. მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია, რეალურ დროში ან პერიოდულად მივიღოთ ინფორმაცია ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობის სიჩქარისა და მძღოლის ან მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედების გამოყენების შესახებ. მოწყობილობა საშუალებას გვაძლევს, დავაფიქსიროთ მაქსიმალური, მინიმალური და საშუალო სიჩქარეები საქართველოში არსებულ სხვადასხვა კატეგორიის გზებზე მოძრაობისას. მძღოლების, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ადგილებდებარეობის შესახებ მიღებული ინფორმაცია ანალიზდება, რათა გავითვალისწინოთ მიღებული გამოცდილება და შრომის უსაფრთხოების მაჩვენებლები გავაუმჯობესოთ.

აგრეთვე, უტარდებათ წვრთნები ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზამთრის პირობებში მართვის უნარებში. მძღოლების მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში დავნერგეთ შემოწმებები ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის გამოყენებაზე, ხოლო ავტოტრანსპორტის მართვისას მძღოლების ქცევის მონიტორინგისთვის ვიყენებთ დისტანციურ ჩამწერ მოწყობილობას (ზემოთ იხილეთ კონკრეტული მაგალითი). დაიხვეწა, აგრეთვე, ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უსაფრთხოების სტანდარტი, რომელიც გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს BP-ის იმ თანამშრომლებს, რომლებიც სამუშაოს შესრულებისას ავტოტრანსპორტს მართავენ ან ავტოტრანსპორტით მგზავრობენ.

გვჯერა, რომ აღნიშნულმა ყველა ღონისძიებამ ერთად მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვის უსაფრთხოების მაჩვენებლები საქართველოში 2004-2005 წლებში (ავტოსაგზაო შემთხვევების საერთო რაოდენობის (TVAR) ანალიზის საფუძველზე).

**უსაფრთხოების შესრულების მაჩვენებლები** 2006 წელს BP საქართველოსა და ჩვენი კონტრაქტორების მიერ განხორციელებული უსაფრთხოების პროგრამები ამავე სფეროში წარმატებების მიღწევაში დაგვეხმარა. სიამაყით ვაცხადებთ, რომ 2006 წელს ჩვენი საქმიანობისას არ მომხდარა არც ერთ უბედური შემთხვევა, ხოლო დასავლეთის მიმართულების მილსადენზე და სუფსაში ჩვენი საქმიანობის დაწყებიდან დღემდე 8 წელი შესრულდა, რაც სამუშაო დღე არც ერთხელ არ გაცდენილა (DAFWC).

**უსაფრთხოების შესრულების მაჩვენებლები ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია წარმოდგენილი**

| შესრულების მაჩვენებლები[1] | 2004[2] | 2005 | 2006 |
|---|---|---|---|
| **მშენებლობის ფაზა** | | | |
| თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევა | 1 | 1 | 0 |
| გაცდენილი სამუშაო დღეების სიხშირე[3] | 0,13 | 0,06 | 0,06 |
| აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე[4] | 1,16 | 0,43 | 0,13 |
| ავტოსატრასპორტო შემთხვევების საერთო რაოდენობა[5] | 4,52 | 1,42 | 2,65 |
| ნამუშევარი კაც-საათები | 18 119 886 | 13 167 493 | 6 342 139 |
| გავლილი კილომეტრები | 15 257 792 | 22 427 584 | 9 818 909 |
| **ექსპლუატაციის ფაზა** | | | |
| თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევა | 0 | 0 | 0 |
| გაცდენილი სამუშაო დღეების სიხშირე | 0 | 0 | 0,11 |
| აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე | 0 | 0,3 | 0,11 |
| ავტოსატრასპორტო შემთხვევების საერთო რაოდენობა | 0 | 1,15 | 1,14 |
| ნამუშევარი კაც-საათები | 1 623 625 | 1 326 005 | 1 783 500 |
| გავლილი კილომეტრები | 2 990 173 | 4 356 418 | 6 119 306 |
| **Air BP** | | | |
| თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევა | 0 | 0 | 0 |
| გაცდენილი სამუშაო დღეების სიხშირე | 0 | 0 | 0 |
| აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე | 0 | 0 | 0 |
| ავტოსატრასპორტო შემთხვევების საერთო რაოდენობა | 0 | 0 | 0 |
| ნამუშევარი საათები – მუშახელი | 33 033 | 34 342 | 33 100 |
| გავლილი კილომეტრები | 87 806 | 60 880 | 61 500 |

[1] 2006 წელს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მონაცემების აღრიცხვა BTC და SCP მილსადენების ექსპლუატაციაში გაშვებისა და ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმო Spie Petrofac-ის დემობილიზაციის გამო სხვაგვარად მოხდა. აქედან გამომდინარე,,,ექსპლუატაციის ფაზის" ქვეშ მოყვანილი მონაცემები მოიცავს BTC/SCP-ს, WREP-ს და სუფსის ტერმინალს. 2005 წლის მდგრადი განვითარების ანგარიშში აღნიშნული ობიექტების მონაცემები ცალკე იყო მოყვანილი და ამიტომ 2006 წლის მონაცემებთან შესადარებლად მათი მცირედი გადახედვა გახდა საჭირო. „მშენებლობის ფაზის" ქვეშ მოყვანილი მონაცემები საქართველოში განხორციელებულ ყველა სამშენებლო პროექტს მოიცავს. ინფორმაცია ერთობლივი საწარმო Air BP-ის შესახებ კვლავაც ცალკეა წარმოდგენილი.

[2] 2004 წლის BP საქართველოს მდგრადი განვითარების ანგარიში არ შეიცავდა ინფორმაციას SCP გაზსადენის შესახებ.

[3] გაცდენილი სამუშაო დღეები: ტრავმა ან ავადმყოფობა კლასიფიცირდება, როგორც „გაცდენილი სამუშაო დღეები" (DAFWC), თუ თანამშრომელმა ტრავმის ან ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო, ემუშავა რომელიმე დღეს, განურჩევლად იმისა, დაგეგმილი იყო თუ არა მუშაობა, ან თუ ექიმის ან ჯანდაცვის სხვა ლიცენზირებული წარმომადგენლის რეკომენდაციის მიუხედავად, რომ მუშაკი სახლში დარჩენილიყო, იგი მაინც გამოცხადდა სამუშაოზე. გაცდენილი სამუშაო დღეების სიხშირე (DAFWCf) არის BP-ის თანამშრომლების მიერ ტრავმის გამო გაცდენილი სამუშაო დღეების რაოდენობა იმავე პერიოდში ნამუშევარ ყოველ 200 000 საათზე.

[4] აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე: BP-ის თანამშრომლების აღრიცხვადი ტრავმების საერთო რაოდენობა იმავე პერიოდში ნამუშევარ ყოველ 200 000 საათზე. აღრიცხვადი ტრავმა არის ისეთი სახის ტრავმა ან ავადმყოფობა, რომელიც დასრულდა ფატალური შედეგით, გაცდენილი სამუშაო დღით, შეზღუდული მუშაობით, სამუშაოს გადაბარებით, ან პირველადი დახმარების გარდა გაწეული სხვა სამედიცინო მომსახურეობით.

[5] ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო რაოდენობა: ყველა მსუბუქი და სატვირთო ავტომობილის ავტოსაგზაო შემთხვევების საერთო რაოდენობა ყოველ ერთ მილიონ გავლილ კილომეტრზე.

## 1.6 ეკოლოგიური თვალსაზრისით გამართლებული საქმიანობა

**BP ჯგუფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულება თავისი საქმიანობით გამოწვეული ეკოლოგიური გავლენის მინიმუმამდე შემცირებაა. ამ მიზნის მიღწევას საქმიანობის მთელი ციკლის განმავლობაში ვცდილობთ. საქართველოში განსაკუთრებულ ყურადღებას სამშენებლო პროექტების ზეგავლენის მინიმუმამდე შემცირებას ვუთმობთ. ამისთვის გავატარეთ შემდეგი ღონისძიებები: ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებები, მილსადენის მარშრუტის შეცვლა, მიწის საფარის აღდგენა და ობიექტების დაპროექტებასა და მშენებლობაში მაღალი ტექნიკური სტანდარტების გამოყენება. პროექტის განხორციელების შემდგომ ფაზაშიც აღნიშნული მიმართულებით ჩვენი მთავარი ამოცანა ყოველდღიური ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შემცირება იქნება.**

2006 წელს მნიშვნელოვანი ორგანიზაციული ცვლილებები განვახორციელეთ. გარემოს დაცვის განყოფილებისათვის შესრულდა ცვლილების მართვის პროცესი, რომლის შედეგად განისაზღვრა მშენებლობიდან ექსპლუატაციის ფაზაზე გადასვლასთან დაკავშირებული რისკები, საქმიანობა, ფუნქციები და პასუხისმგებლობები. გავაერთიანეთ, აგრეთვე BTC, SCP და WREP ჯგუფები თანამშრომლებისა და პროცესების შესათანხმებლად.

მომავალში სათანადო ორგანიზაციული სტრუქტურის შესაქმნელად განხორციელებულ ცვლილებებთან ერთად, რა თქმა უნდა, სხვადასხვა სახის მიმდინარე სამუშაო პრობლემებსაც ვაგვარებდით. ეს იყო სამშენებლო დერეფანში მიწის საფარის პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენა, ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმის პირობების შესრულება, ჩვენი საქმიანობების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებების მოთხოვნებთან შესაბამისობა და ნარჩენების მართვის საკითხზე მუშაობის გაგრძელება. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა პროექტის ძირითადი საერთაშორისო კონტრაქტორის რამდენიმე უფრო მცირე, ხშირად ადგილობრივი და რეგიონული კონტრაქტორით შეცვლა იყო. ეს ცვლილება ახალი სამუშაო ურთიერთობების განვითარებას, ასევე, სწავლებისა და დახმარების პროგრამების განხორციელებას გულისხმობდა, რაც მიზნად ისახავდა საქმიანობის შესრულებას პროექტისა და BP-ის სტანდარტების მიხედვით.

**მიწის საფარის აღდგენა** 2006 წელს ჩვენი საქმიანობა ძირითადად გასხვისების ზოლის აღდგენა იყო, რაც ნიადაგის ზედა ფენისა და მცენარეული საფარის აღდგენის რთულ საინჟინრო და ბიოლოგიურ სამუშაოებს მოითხოვდა. ამ მიმართულებით შესრულებული სამუშაოს ხარისხი დამოუკიდებელმა დამკვირებლებმა, მათ შორის სოციალური და განსახლების სამოქმედო გეგმის ექსპერტთა საბჭომ, დამოუკიდებელმა კონსულტანტმა გარემოს დაცვის საკითხებში და კასპიის განვითარების მრჩეველთა საბჭომ, უმაღლეს დონეზე შეაფასეს. გასხვისების ზოლის დიდ ნაწილზე მცენარეული

### BTC და SCP მილსადენები – სამშენებლო დერეფნის აღდგენა

„მთლიანობაში, მილსადენის დერეფნის აღდგენითი სამუშაოები მსოფლიო სტანდარტების დონეზეა შესრულებული. BTC Co.-მ და მისი ზედამხედველობით მომუშავე კონტრაქტორებმა გასხვისების ზოლის გარემომცველ ლანდშაფტთან შერწყმას შესანიშნავად გაართვეს თავი. მიუხედავად იმისა, რომ მცენარეული საფარის მთლიანად აღდგენას, განსაკუთრებით კი ახლად აღდგენილ მთიან ადგილებში, დრო დასჭირდება, კომპანიის მიერ სიფრთხილით შესრულებულმა ნიადაგის ზედა ფენის მართვის სამუშაობმა უკვე გამოიღო ნაყოფი – ისევ გამოჩნდა ადგილობრივი მცენარეების პირველი ნერგები. დაბლობ ადგილებში, იქ, სადაც აღდგენის სამუშაოები შედარებით ადრე დაიწყო, გასხვისების ზოლის ნიშნული ბოძები ხშირად ამ ტერიტორიაზე მილსადენების არსებობის ერთადერთი მაჩვენებელია. ასევე, ქების ღირსია კომპანიის მხრიდან მილსადენის გასწვრივ მდებარე ეკოლოგიურად მგრძნობიარე ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების მიმართ გამოვლენილი ყურადღება, რაც გამოიხატა გასხვისების ზოლში მოცემული გარემოსათვის დამახასიათებელი მცენარეთა ნერგების დარგვასა და მათი საჭირო რაოდენობით გამრავლების დეტალური მონიტორინგის განხორციელებაში.”
**კასპიის განვითარების მრჩეველთა საბჭოს საბოლოო ანგარიში და დასკვნები (იანვარი, 2007 წელი).**

საფარის ზრდის მაჩვენებლები მაღალია და ბევრგან აღდგენილი მილსადენის დერეფნის გარემოსაგან გამორჩევა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ამა თუ იმ ტერიტორიაზე მილსადენების არსებობაზე ხშირად მხოლოდ ნიშნული ბოძები მიუთითებს.

აღდგენის სამუშაოები განხორციელდა, აგრეთვე, გასხვისების ზოლის მიღმა ისეთ ტერიტორიებზე, როგორებიცაა მშენებელთა ბანაკები, მილსაწყობი მოედნები, მისასვლელი გზები, კარიერები და ნარჩენი ქვის განთავსების ადგილები.

**ნარჩენების მართვა** BP ვალდებულია, BTC მილსადენსა და მასთან დაკავშირებულ ობიექტებზე ნარჩენების მართვა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად განახორციელოს. ეს ნამდვილი გამოწვევაა, რადგან საქართველოში ამჟამად არსებული ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურა ევროკავშირის სტანდარტებს ვერ პასუხობს.

რაც შეეხება უსაფრთხო ნარჩენებს, ჩვენი მიზანია ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ნაგავსაყრელის აშენება თბილისის აღმოსავლეთით მდებარე ობიექტზე კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოშობილი უსაფრთხო ნარჩენების განსათავსებლად. უნდა აშენდეს ნაგავსაყრელი, რომელიც შემდგომში მუნიციპალური სარგებლობისათვის გაფართოვდება და რომელსაც ნაწილობრივ BP და მისი პოტენციური პარტნიორები დააფინანსებენ.

2006 წელს, ჩვენი აზრით, შესაფერისი ტერიტორია შევარჩიეთ და მიწის საკუთრების დადგენისა და განთავსების საკითხების მოგვარებას შევუდექით. მუშავდება წინასწარი დიზაინი. დისკუსიები სისტემატურად იმართება თბილისის მუნიციპალიტეტთან, გარემოს დაცვის სამინისტროსთან, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციასა და სხვა პარტნიორებთან. ადგილობრივი მთავრობის დახმარებით ტერიტორიის მოპოვების შემდეგ ჩვენი მიზანი დიზაინისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებების დასრულება და აუცილებელი სამშენებლო და სხვა ნებართვების აღებაა.

იმ საშიშ და უსაფრთხო ნარჩენებს, რომლის გადამუშავება ან ნაგავსაყრელზე განთავსება საქართველოში შეუძლებელია, კვლავ ჩვენ მიერ კონტროლირებულ ნარჩენების ცენტრალურ კოლექტორში ვათავსებთ და ვმუშაობთ საქართველოს გარეთ ევროკავშირის სტანდარტების მქონე ნაგავსაყრელზე მათი ინპორტირების გეგმების განსახორციელებლად. ბაზელის კონვენციის თანახმად, ნარჩენების ნებისმიერ ასეთ გადაადგილებას სჭირდება როგორც ნებართვა, ასევე მხარეებს შორის შესაფერისი და შეთანხმებული ტრანსპორტისა და განთავსების ვარიანტების რეგისტრაცია. ამჟამად ვმუშაობთ ამ მარშრუტების დადგენაზე, ამასთან, დაწყებული გვაქვს ადმინისტრაციული და ნებართვების მოპოვების პროცესები ნარჩენების მართვის სფეროში გამოცდილების მქონე კონტრაქტორებთან თანამშრომლობით.

ნარჩენების უსაფრთხოდ და მაღალი სტანდარტებით მართვისაკენ მიმართული ჩვენი ძალისხმევა გარე ორგანიზაციებმა ყურადღებით შეისწავლეს, რასაც კრიტიკული შენიშვნები და რეკომენდაციები მოჰყვა. მაგალითად, კასპიის განვითარების მრჩეველთა საბჭომ აღნიშნა ის სირთულეები, რომლებიც წარმოიშვა ჩვენ მიერვე დაწესებული სტანდარტების შესრულებისას და მოგვცა რეკომენდაცია, განვიხილოთ მიღებული გამოცდილება და მეტი ყურადღება დავუთმოთ ნარჩენების მართვის საკითხებს აღმასრულებელ დონეზე. არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაო ჯგუფმა, რომელმაც BTC და SCP პროექტებთან დაკავშირებით ნარჩენების მართვის დეტალური აუდიტი ჩაატარა, მოგვცა არაერთი კონკრეტული სამოქმედო რეკომენდაცია. პროექტის დამფინანსებლების მიერ დანიშნული გარემოს დაცვის საკითხების დამოუკიდებელი კონსულტანტის ანგარიშში ყურადღება მახვილდება ამ სფეროში ჯერ კიდევ არსებულ პრობლემებზე.

ჩვენ გავაგრძელებთ ამ საკითხთან დაკავშირებული მოკლევადიანი ამოცანების გადაჭრას და, ამასთან, გრძელვადიანი მომსახურების შექმნის მიმართულებით მუშაობასაც.

> 2006 წელს საქართველოში ბიომრავალფეროვნების მეხუთე ყოველწლიური კონკურსი ჩატარდა. კონკურსის მიზანი იყო ბიომრავალფეროვნებაზე რეალური, გაზომვადი და დადებითი გავლენის მოხდენა და მსოფლიო ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი შეგნების ამაღლების ხელშემწყობი საუკეთესო იდეების გამოვლენა.

**ბიომრავალფეროვნება და კონსერვაცია**

2006 წელს საქართველოში ბიომრავალფეროვნების მეხუთე ყოველწლიური კონკურსი ჩატარდა. კონკურსის მიზანი იყო ბიომრავალფეროვნებაზე რეალური, გაზომვადი და დადებითი გავლენის მოხდენა და მსოფლიო ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი შეგნების ამაღლების ხელშემწყობი საუკეთესო იდეების გამოვლენა. კონკურსი BP-მ და მისმა პარტნიორებმა დააფინანსეს.

როგორც ადრე, ახლაც პროექტები წარმოადგინეს შემდეგ ორ კატეგორიაში: საუკეთესო პროექტი ბიომრავალფეროვნების სფეროში და საუკეთესო მედია პროდუქტი ბიომრავალფეროვნების თემაზე. სულ 57 წინადადება შემოვიდა, რაც დღემდე სარეკორდო მაჩვენებელია. ამათგან ოცდაცხრა იყო ბიომრავალფეროვნების პროექტის, ხოლო ოცდარვა – საუკეთესო სტატიისა და ვიდეომასალის კატეგორიაში.

შემოსული პროექტები საკითხების საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავდა, რაც გადაცემულ პრიზებშიც აისახა. ცალკე დაჯილდოვდა ეკოტურიზმთან, ხოჭოების დაცვასა და განათლებასთან დაკავშირებული პროექტები. პირველი

პრიზი, 14700 აშშ დოლარის ოდენობით, „წითელი ნუსხის" სახეობების მონაცემთა ბაზის შექმნის მხარდასაჭერად გაიცა. მეორე პრიზი, 8530 აშშ დოლარის ოდენობით, ერგო ნაშრომს ველური მცენარეების კონსერვაციის შესახებ. კიდევ სამმა მონაწილემ დაიმსახურა მაღალი შეფასება და თითოეულმა 2000 აშშ დოლარი მიიღო შესაძლებლობათა განვითარების ინიციატივებისათვის.

საუკეთესო სტატიისა და ვიდეომასალის კატეგორიაში ორი – მესამე (300 აშშ დოლარი) და მეორე (500 აშშ დოლარი) პრიზები გაიცა. ტექნიკური საბჭოს გადაწყვეტილებით, წელს პირველი პრიზი არ გაცემულა, მაგრამ საბჭო მიესალმა გამოჩენილ დაინტერესებასა და მაღალ დონეზე შესრულებულ პროექტებს.

**გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამა (EIP)** გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამა არის სამ ქვეყანაში განხორციელებული 9,3 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ინიციატივა, რომელიც BTC და SCP პროექტების მიერ ფინანსდება და ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და განვითარებაზე ორიენტირებულ პროექტებს. პროგრამა დაიწყო 2003 წლის სექტემბერში და იგი იყოფა სამ მიმართულებად, რომლებიც გამოვლინდა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებებისა და ადგილობრივ და საერთაშორისო დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად.
დაფინანსდა შემდეგი ხუთი პროექტი:

- „კავკასიური როჭოს კვლევის, მონიტორინგისა და მართვის პროექტი," რომელიც განახორციელა საქართველოს ველური ბუნების შენარჩუნების ცენტრმა. პროექტის მიზანს ენდემური, იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების ეფექტური კონსერვაციისა და მართვის მეცნიერული საფუძვლების დამუშავება იყო. პროექტი 2005 წელს დასრულდა და შეიქმნა სახეობების მართვის გეგმა, რომელიც მთავრობამ დაამტკიცა. 2006 წელს დაიწყო სამოქმედო გეგმის განხორციელების პროექტი.
- „ეკოსისტემებისა და სახეობების კონსერვაცია საქართველოში: მურა დათვის პროექტი," რომელიც განახორციელა NACRES-მა ("ნოეს კიდობანი გადაშენების გზაზე მყოფი სახეობებისათვის"). პროექტის მიზანია მურა დათვის პოპულაციის აღრიცხვა, საფრთხეების შეფასება, საარსებო გარემოს დაკარგვის მიზეზების გამოვლენა და ამ სახეობის კონსერვაციის მიზნით სამოქმედო გეგმის შემუშავება, ასევე, კონსერვაციის ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართვა. პროექტი დასრულდა 2006 წელს და ამჟამად მეორე ფაზის დაფინანსების საკითხს განვიხილავთ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მურა დათვის დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად.
- მცირე გრანტების პროგრამა SCP-ის და BTC-ის მარშრუტის გასწვრივ არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედუნარიანობის ასამაღლებლად. მოცემული პროექტი Save the Children-მა განახორციელა NACRES-თან ერთად. პროექტის მიზანი არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედუნარიანობის განვითარებაა, რათა მათ უკეთესად შეძლონ გარემოსდაცვით საკითხებზე მოსახლეობის ცოდნისა და შეგნების ამაღლება. 2006 წლის ბოლოს ჩატარებული დამოუკიდებელი შეფასების შედეგად აღმოჩნდა, რომ პროექტმა მის მიერ დასახულ თითქმის ყველა ძირითად მიზანს მიაღწია და დამაკმაყოფილებელი გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებელი მოიტანა უმნიშვნელო ხარვეზების ფონზე. 2008 წლის ბოლომდე პროგრამის მეორე ფაზის განსახორციელებლად Save the Children-თან თანამშრომლობას განვაგრძობთ.
- გარემოსდაცვით სფეროში განათლების ხელშეწყობა, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაცია Care ახორციელებს CIP-ის სკოლების განვითარების პროექტთან ერთად. პროექტის მიზანი იყო მოზარდებისთვის გარემოს კონსერვაციის საკითხებზე კლასგარეშე სწავლების ორგანიზება, აქტიური სწავლების მეთოდოლოგიის შემუშავება და სასწავლო მასალების გაუმჯობესება. გარემოსდაცვითი პროექტების განსახორციელებლად სკოლებში „ეკო-კლუბები" ჩამოყალიბდა. აღნიშნული ინიციატივა 2006 წლის აპრილში დასრულდა.
- „ეკოლოგიურად მისაღები მესაქონლეობის პროექტი," რომელსაც, ასევე, Care ახორციელებს. პროექტის მიზანი იყო ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ 24 სოფელში მესაქონლეობის მდგრად გარემოსდაცვით პრინციპებზე დაფუძნებული მართვის დანერგვა. პროექტის ძირითადი ნაწილი 2006 წელს დასრულდა. 2007 წელს საქმიანობის მხოლოდ მცირედი ნაწილი დარჩა განსახორციელებელი.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებისა, ჩატარდა ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის მართვის გეგმის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა. ეს პროექტი, რომელსაც მსოფლიო კონსერვაციის გაერთიანება (IUCN) ახორციელებს, 2008 წლამდე გაგრძელდება.

**საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება**
საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სფერო მოიცავს ისეთ შემთხვევებს, რომლებიც ჯანდაცვასთან, უსაფრთხოებასთან, უშიშროებასთან ან გარემოს დაცვასთან არის დაკავშირებული. ჩვენი მიდგომა რეაგირების საკითხის მიმართ ჯგუფის კრიზისის მართვის სისტემით არის ნაკარნახევი. საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების უნარი რისკის მართვის საკვანძო ნაწილია.

**გარემოს დაზიანების საფრთხის მინიმუმამდე შესამცირებლად ავითვისეთ საერთაშორისო ტექნიკური სტანდარტები და შევარჩიეთ მილსადენის ისეთი მარშრუტი, რომელიც ნავთობისა და გაზის გაჟონვების რისკს იმდენად ამცირებს, რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია. მილსადენის დაპროექტება, მასალების შერჩევა და მშენებლობა მოწინავე საერთაშორისო სტანდარტების დაცვით შესრულდა.**

მშენებლობიდან ექსპლუატაციის ფაზაში შესვლასთან ერთად ინტეგრირებული ინციდენტის მართვის ჯგუფი (IMT) ჩამოვაყალიბეთ, რომელიც საქართველოში BP-ის მიერ მართულ ყველა ობიექტსა და პროექტს მოიცავს. აუცილებლობის შემთხვევაში ინციდენტის მართვის ჯგუფი კავშირს ამყარებს კომპანიის ხელმძღვანელობასთან, სამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასა და ფართო საზოგადოებასთან.

გარემოს დაზიანების საფრთხის მინიმუმამდე შესამცირებლად ავითვისეთ საერთაშორისო ტექნიკური სტანდარტები და შევარჩიეთ მილსადენის ისეთი მარშრუტი, რომელიც ნავთობისა და გაზის გაჟონვების რისკს იმდენად ამცირებს, რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია. მილსადენის დაპროექტება, მასალების შერჩევა და მშენებლობა მოწინავე საერთაშორისო სტანდარტების დაცვით შესრულდა.

2006 წელს საქართველოში 11 შემთხვევა გვქონდა, როდესაც ინციდენტის მართვის ჯგუფის დახმარება და მობილიზაცია გახდა საჭირო. ბევრი ასეთი შემთხვევა პრევენციული იყო. ამ შემთხვევების დროს დახმარება და კოორდინაცია თბილისის ინციდენტის მართვის ცენტრიდან ხდებოდა. ინციდენტის მართვის ჯგუფის ყოველი დემობილიზაციის შემდეგ იქმნებოდა ოფიციალური ანგარიში, რომელშიც მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საჭირო ნაბიჯებს ავსახავდით.

საქართველოში მდებარე ჩვენს ობიექტებზე რეგულარულად ტარდებოდა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საწვრთნელი მეცადინეობები, რომლის დროს სხვადასხვა სცენარი თამაშდებოდა. ასეთი მეცადინეობების მიზანი რეალურ საგანგებო სიტუაციაზე ეფექტური რეაგირების უზრუნველყოფაა. 2006 წლის ივნისში საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ფართომასშტაბიანი საწვრთნელი მეცადინეობა ჩატარდა სამხრეთ კავკასიურ მილსადენზე. ამ მეცადინეობის მიზანი იყო სამხრეთ კავკასიურ მილსადენში აირის გაშვებამდე მართვისა და კონტროლის სისტემების ეფექტურობის შემოწმება. ღონისძიებას დაესწრნენ და საბოლოო საანგარიშო შეკრებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენლებმა და გარეშე დამკვირვებლებმა. წარმატებით ჩატარდა, აგრეთვე, ნავთობის დაღვრაზე რეაგირების სახელმწიფოთაშორისი საწვრთნელი მეცადინეობა, რომლის მიზანი საგანგებო სიტუაციებში საქართველოდან აზერბაიჯანში მუშახელისა და ტექნიკის მობილიზაციის გამოცდა იყო.

2006 წელს ნავთობის დაღვრის სამ შემთხვევაზე მოგვიხდა რეაგირება. პირველს ადგილი ჰქონდა იანვარში, როდესაც I საქაჩ სადგურზე 1000 ლიტრი საპოხი ნივთიერება გაიჟონა. დაღვრილი ნივთიერება მთლიანად იქნა ლოკალიზებული და ჩაშვებული დახურულ საწრეტ სისტემაში. მეორე შემთხვევა აპრილში დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენზე მოხდა, როდესაც ერთმა ფერმერმა შემთხვევით მილსადენზე უკანონოდ მიერთებული შლანგი დააზიანა. აღნიშნულის შედეგად, 9221 ლიტრი ნავთობი დაიღვარა, რომელიც მთლიანად იქნა ამოღებული. მესამე შემთხვევა მაისში BTC მილსადენის ჩამკეტი სარქველის სადგურზე (GB09) მოხდა, რომლის შედეგად 195 ლიტრი ნავთობი დაიღვარა და ისიც მთლიანად იქნა ლოკალიზებული. თითოეული აღნიშნული შემთხვევისას გაწმენდის სამუშაოების ზედამხედველობისთვის შემთხვევის ადგილზე იგზავნებოდა ინციდენტზე რეაგირების ჯგუფი. BP-მ რეაგირება მოახდინა, აგრეთვე, ბათუმის ნავთობტერმინალში მომხდარ შემთხვევაზე, ტერმინალის ხელმძღვანელობის თხოვნის საფუძველზე. ჩვენმა ჯგუფმა ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ადგილობრივ თანამშრომლებს აღმოუჩინა დახმარება.

## რეაგირება აბასთუმნის ხანძარზე

აგვისტოში ადიგენის რაიონის დაბა აბასთუმნის ახლოს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიური მილსადენების დერეფნიდან დაახლოებით 15 კილომეტრის დაშორებით მდებარე ტყეში, სერიოზული ხანძარი გაჩნდა. საქართველოს მთავრობის თხოვნის პასუხად, ცეცხლის კერების დასადგენად კომპანიამ ადგილზე ბულდოზერები, სურსათი, წყალი და ვერტმფრენი მიაწოდა.

ოფიციალურ ბრიფინგზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მადლობა გადაუხადა თურქეთს, უკრაინასა და BP-ს ხანძრის ჩაქრობაში გაწეული დახმარებისათვის. მოგვიანებით საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ BP-ის ხანძართან მებრძოლ ჯგუფს მადლობის წერილი გამოუგზავნა. ამ ჯგუფმა მოგვიანებით BP აზერბაიჯანის სტრატეგიული ბიზნესდანაყოფის პრეზიდენტისაგან მიიღო ჯილდო უსაფრთხოების დარგში.

## 1.7 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის გასხვისების დერეფნის 250 კილომეტრიანი მონაკვეთი გადაკვეთს დიდი ისტორიის მქონე ქვეყნის, საქართველოს ტერიტორიას, რომელზეც ადამიანი სტუმრობს, სახლობს და ქმნის 1,75 მილიონი წლის განმავლობაში. საქართველო არის უძველესი (აფრიკის კონტინენტის საზღვრებს გარეთ აღმოჩენილთა შორის) ჰომინიდების ნაშთების, ბრინჯაოს ხანის დიდებულთა მდიდარი სამარხების, პრომეთეს მითისა და ოქროს საწმისის, მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და უმშვენიერესი სასულიერო არქიტექტურის ნიმუშების სამშობლო.**

BTC Co.-მ იმთავითვე აიღო არქეოლოგიური უბნებისა და მიწისზედა ძეგლების დაცვის ვალდებულება მილსადენების მშენებლობისა და ექსპლუატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში. არქეოლოგიური კვლევის ცენტრთან და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტთან თანამშრომლობით BTC მილსადენის პროექტისთვის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამა შეიქმნა.

კულტურული მემკვიდრეობის პროგრამის დაფინანსებამ დაახლოებით 2,5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. განხორციელებული სამუშაოების შემოწმება ჩატარდა გარემოს დაცვის დამოუკიდებელი კონსულტანტისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთ-ერთი სამუშაო ჯგუფის მიერ მილსადენის მონიტორინგის და დიალოგის ინიციატივის ფარგლებში.

პროგრამის ძირითადი კომპონენტებია მილსადენების მარშრუტის დაგეგმვა ცნობილი არქეოლოგიური უბნების გვერდის ავლით და მნიშვნელოვანი უბნების კვლევა სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. სამშენებლო სამუშაოები ხორციელდებოდა BTC-ის კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტების ჯგუფის მეთვალყურეობით. ისინი აკვირდებოდნენ მანამდე უცნობი უბნების არსებობაზე მიმანიშნებელ ყველანაირ კვალს და უკვე არსებული უბნების დაცვის ღონისძიებებს ატარებდნენ. ისეთი სამუშაოების დროს, როგორიცაა, მაგალითად, ნიადაგის ფენის მოხსნა და თხრილის გაყვანა, ახალი არქეოლოგიური უბნის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში იმართებოდა კონსულტაციები არქეოლოგიური კვლევის ცენტრთან უბნის შემდგომი მოვლის ოპტიმალური ღონისძიებების შესათანხმებლად. იყო შემთხვევები, როცა კულტურული მემკვიდრეობის რესურსის დაცვა მილსადენის მარშრუტში შეტანილი ცვლილებით მოხერხდა. სხვა შემთხვევაში, უბნის დაცვა არქეოლოგიური გათხრების ჩატარებისა და შესწავლის გზით მოხდა.

BTC-ის მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში გამოვლინდა და შესწავლილ იქნა კულტურული მემკვიდრეობის მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლი. არქეოლოგიური უბნები და მიკვლეული ობიექტები პალეოლითის ხანიდან გვიან შუა საუკუნეებამდე პერიოდით თარიღდება. დროის მოცემული მონაკვეთი მოიცავს როგორც უძველეს ქვის იარაღს, რომელიც ძველი ჰომინიდების აფრიკიდან ევროპისკენ გადაადგილებაზე მიანიშნებს, ასევე მე-18 საუკუნეში თურქეთის ექსპანსიის ნიშნებს, რომლებიც წყალგაყვანილობის და ბუნებრივი მინერალური წყლების აბანოების სახით არის შემორჩენილი. გათხრები არ არის პროგრამის ბოლო ეტაპი. მას მოჰყვება მოპოვებული მასალის გაანალიზება და დოკუმენტურად აღწერა.

BTC მილსადენის პროექტის ფარგლებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა მეტ სინათლეს ჰფენს საქართველოს მდიდარ წარსულს. ჩვენი ამოცანაა, მომავალშიც შევუწყოთ ხელი ამ ცოდნის გაღრმავებას. მილსადენების ექსპლუატაციის ფაზაში კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად შევიმუშავეთ მართვის გეგმა, რომელშიც გაწერილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შემდგომი დაცვის ღონისძიებები.

### საქართველოს ეროვნული მუზეუმის მხარდაჭერა

BP-მ საქართველოში წამოიწყო პარტნიორობის პროგრამა ქვეყნის წამყვან კულტურულ დაწესებულებასთან – საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის განვითარების ასოციაციასთან 2006 წლის იანვარში გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების მიხედვით, ჩვენ გავეცით 500 ათასი აშშ დოლარის ოდენობის გრანტი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში საგანმანათლებლო დაწესებულების შესაქმნელად, რაც გულისხმობს აუდიტორიისა და სასწავლო ცენტრის მოწყობას. ეს არის მსოფლიო კლასის ცენტრი, რომელიც ფართო სპექტრის საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვის შესაძლებლობას იძლევა.

პარტნიორობის პროგრამა ითვალისწინებს ცალკე გრანტის გამოყოფას ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დმანისში. 400 ათასი დოლარის გრანტი დაეხმარება დმანისის გადაქცევას კულტურულ და საგანმანათლებლო ცენტრად, რომელიც დამთვალიერებლებს მიიზიდავს და რაიონს ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს.

## 1.8 უშიშროება და ადამიანის უფლებები

**უშიშროებისა და ადამიანის უფლებების დაცვას მკაფიოდ ჩამოყალიბებული მექანიზმების საშუალებით ვახორციელებთ. გარდა ამისა, ნაყოფიერად ვთანამშრომლობთ სახელმწიფოს უშიშროების ძალებთან, რომლებსაც მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ ჩვენი თანამშრომლებისა და ობიექტებისთვის უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნაში. 2006 წელს უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებების გასაუმჯობესებლად გავაგრძელეთ ჩვენი შესაძლებლობების შემდგომი განვითარება.**

2006 წლის განმავლობაში მილსადენების დაცვას კვლავ სახელმწიფო უშიშროების ძალები ახორციელებდნენ: სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი (SPPD) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს, სამხრეთ კავკასიურ გაზსადენსა და სუფსის ტერმინალს იცავს, ხოლო დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო იცავს. გარდა ამისა, ვთანამშრომლობთ უშიშროების კერძო სამსახურთან ჩვენი მუდმივი ობიექტების დასაცავად. მილსადენების მთელი მარშრუტის გასწვრივ მოქმედებენ უშიშროების საველე ოფიცრები (FSO).

ჩვენი პრინციპია, რომ მილსადენების უსაფრთხოების ხარისხი მილსადენების მიმდებარე დასახლებების მცხოვრებლებთან მჭიდრო ურთიერთობის ჩამოყალიბებით, მათთან ორმხრივად ხელსაყრელი ღონისძიებების გატარებით გაიზარდოს. ამისი მიღწევის ერთ-ერთი გზაა ადგილობრივი მოსახლეობიდან თანამშრომლების დაქირავება უშიშროების კერძო სამსახურში. გარდა ამისა, ჩვენი საზოგადოებასთან ურთიერთობისა და უშიშროების საველე ოფიცრები ადგილობრივი მოსახლეობის ჯგუფებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში წამყვან როლს ასრულებენ.

უშიშროების მექანიზმები გაწერილია საქართველოს მთავრობასთან 2004 წელს გაფორმებულ ორმხრივ ოქმში, რომლითაც განსაზღვრულია მთავრობის პასუხისმგებლობა უშიშროების უზრუნველსაყოფად, ძალის გამოყენების წესები, პერსონალის სამუშაოზე მიღებისა და სწავლების პროცედურები, აგრეთვე, ორმხრივი ურთიერთობისა და კონსულტაციების პირობები. დოკუმენტში, ასევე, მითითებულია,

### ტრენინგი უშიშროების საკითხებზე

2006 წლის განმავლობაში Bowman Risk Management (BRM – დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებული უშიშროების სფეროს ტრენინგებისა და კონსულტაციის კომპანია) აგრძელებდა სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის საქმიანობის მონიტორინგსა და დახმარებას დაგეგმვით და საწვრთნელ კომპონენტებში. დაგეგმვა ძირითადად მოიცავდა დეპარტამენტისთვის დეტალური „სტანდარტული საოპერაციო პროცედურებისა" (SOP) და „ინციდენტის მართვის პროცედურების" მომზადებას, ხოლო წვრთნის პროგრამა მიეძღვნა იმ ოპერატიული უნარ-ჩვევების დახვეწას, რომლებიც დეპარტამენტის თანამშრომლებს მილსადენების დასაცავად ესაჭიროებათ. შესაბამისად, წვრთნის კურსი მოიცავდა შემდეგ პრაქტიკულ სფეროებს: ოპერატიულ მართვას, ტაქტიკურ დაზვერვასა და ძებნას, ოპერაციებს ზამთრის პირობებში, დაუსახლებელ ადგილებში თვითგადარჩენასა და შველას, ავარიულ სიტუაციებში ავტომანქანის ევაკუაციას, სამედიცინო მომზადებასა და მანქანის მართვის კურსს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საერთაშორისო სამართლის, ადამიანის უფლებებისა და კონფლიქტების მოგვარების თემებზე. სასწავლო პროგრამებში შედიოდა გაეროს ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, გაეროს ქცევის კოდექსი სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისათვის, „უშიშროებისა და ადამიანის უფლებათა ნებაყოფლობითი პრინციპები," კონფლიქტების პრევენციისა და დაძლევის მეთოდები, ძალის გამოყენება და ძალის გამოყენების ეროვნული წესების შემუშავება და დანერგვა. ეს წვრთნები ტარდება აუდიტორიაში, სადაც დეტალურად ისწავლება თეორია და პრინციპები, რასაც შემდეგ პრაქტიკული გაკვეთილები და ვარჯიშები მოსდევს.

უშიშროების უზრუნველყოფისას როგორ დაიცავენ მხარეები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმებს „უშიშროებისა და ადამიანის უფლებების ნებაყოფლობითი პრინციპების" ჩათვლით. BP ერთ-ერთი დამფუძნებელია „უშიშროებისა და ადამიანის უფლებების ნებაყოფლობითი პრინციპებისა," რომლის დანიშნულებაა, დაეხმაროს მოპოვებითი დარგის კომპანიებს, რომ მათ საკუთარი საქმიანობის უსაფრთხოებისა და უშიშროების დაცვისას ადამიანის უფლებებს განუხრელად სცენ პატივი.

ამ ოქმზე ხელმოწერის შემდეგ ვიმუშავეთ მთავრობასთან ჩვენი ვალდებულებების შესასრულებლად და განვახორციელეთ შემდეგი ღონისძიებები: წვრთნები, კონსულტაციები, ინფორმაციის გაცვლა და შესრულების მონიტორინგი. კერძოდ, გაგრძელდა წვრთნები SPPD-ის თანამშრომლებისთვის. სასწავლო პროგრამა მოიცავდა ტრენინგს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, პირველადი სამედიცინო დახმარებისა და ზამთრის პირობებში გადარჩენის კურსებს. ჩვენთვის წამახალისებელი იყო სოციალური და განსახლების სამოქმედო გეგმის (SRAP) ექსპერტთა საბჭოს ანგარიშში მოცემული დასკვნა, რომელიც 2006 წელს მილსადენების მიმდებარე სოფლების მოსახლეობასთან გასაუბრების შემდეგ გაკეთდა და რომელშიც ნათქვამია: „თითქმის ყველა გამოკითხულმა აღნიშნა, რომ მათ მხარეში უშიშროების თანამშრომლების ყოფნა პრობლემებს არ უქმნით და, ზოგიერთის აზრით, ამით ისინი უფრო დაცულადაც კი გრძნობენ თავს."

ოქმი აუცილებელ პირობად მიიჩნევს მჭიდრო ურთიერთობას BP-ისა და სახელმწიფო უშიშროების ძალებს შორის. 2006 წელს ვთანამშრომლობდით პოლიციის შესაბამის დანაყოფებთან, რომელთა საგამოძიებო მოქმედებების მეშვეობით მოხერხდა WREP-დან ნავთობის დატაცების ფაქტებში მონაწილეთა დაპატიმრება. ჩვენი კომპანიის უშიშროების თანამშრომლები საგანგებო დავალებათა პოლიციასთან ერთად პრობლემური ტერიტორიების მუდმივ მონიტორინგს და ვერტმფრენიდან მეთვალყურეობას ახორციელებენ. გატარებული ღონისძიებების შედეგად ბოლო პერიოდში WREP-იდან დანაკარგების მასშტაბებმა მნიშვნელოვნად იკლო. მიუხედავად ამისა, სავსებით ვაცნობიერებთ, რომ სიფხიზლის შენარჩუნება აუცილებელია. სწორედ ნავთობის დასატაცებლად WREP-ზე

ამ ოქმზე ხელმოწერის შემდეგ ვიმუშავეთ მთავრობასთან და ჩვენი ვალდებულებების შესასრულებლად განვახორციელეთ შემდეგი ღონისძიებები: წვრთნები, კონსულტაციები, ინფორმაციის გაცვლა და შესრულების მონიტორინგი. კერძოდ, გაგრძელდა წვრთნები სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის (SPPD) თანამშრომლებისთვის.

უკანონო მიერთებამ გამოიწვია აპრილში ნავთობის დაღვრის ინციდენტი, რომლის აღკვეთაც ინციდენტზე რეაგირების ჯგუფმა გარემოზე მინიმალური გავლენით, ოპერატიულად მოახერხა.

2006 წელს ჩვენი საქმიანობის შედეგები უშიშროებისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით დამოუკიდებელი ექპერტების, აშშ-ის იურიდიული ფირმა Foley Hoag LLC-ის მიერ შეფასდა. მათი ანგარიში 2007 წელს გამოქვეყნდება.

2004 წელს საქართველოს მთავრობასთან გაფორმდა შეთანხმება უშიშროების აღჭურვილობის, ობიექტებისა და საოპერაციო ხარჯების დაფინანსების თაობაზე. 2006 წელს დასრულდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უშიშროების აღჭურვილობის გადაცემა მთავრობისთვის და საოპერაციო ხარჯებისათვის გაიცა დაფინანსების მეორე ნაწილი 1 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. გარდა ამისა, 2006 წელს დაიწყო კოდიანას უსაფრთხოების ბაზის მშენებლობა. დასრულებული ობიექტი იქნება მუდმივმოქმედი ბაზა, რომელიც, ძირითადად, ადგილობრივი პერსონალით დაკომპლექტდება და რომლის ტერიტორიაზეც სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლების საცხოვრებელი, ადმინისტრაციული შენობები და საწვრთნელი მოედანი განთავსდება.

# 1.9 ჩვენი თანამშრომლები

**2006 წელს საქართველოში საქმიანობის გარდამავალი ხასიათით გამოწვეული ცვლილებები ჩვენს თანამშრომლებზე საგრძნობლად აისახა. ამის რამდენიმე მაგალითია საშტატო გადაადგილებები, შიდა და გარე რესურსების დასაქმება, ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება. თუმცა, ზოგადად, ცვლილებების პერიოდი შეიძლება, არასტაბილურობით ხასიათდებოდეს, ექსპლუატაციის ფაზაზე გადასვლამ BP საქართველოს თანამშრომლებისათვის, იმავდროულად, ახალი შესაძლებლობებიც გააჩინა. ექსპლუატაციის ფაზაში გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი რესურსების წარმოჩენა და განვითარება ჩვენთვის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად რჩება.**

იმისათვის, რომ ადგილობრივ კომპანიად გადავიქცეთ, საჭიროა, მოვიზიდოთ და დავასაქმოთ საქართველოს მოქალაქეები, აღვჭურვოთ სათანადო ცოდნით, შევუქმნათ წინსვლის შესაძლებლობები და დავნერგოთ მუშაობის ისეთი კულტურა, როდესაც ადამიანებს სამართლიანად და პატივისცემით ეპყრობიან და ღირსებების მიხედვით აფასებენ.

გრძელვადიანი ექსპლუატაციის ფაზაზე გარდამავალ პერიოდში განვაგრძობთ ქართველი თანამშრომლების ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაწინაურებას. ამ მიმართულებით 2006 წელს გაგრძელდა ქართული ხელმძღვანელობის განვითარების პროგრამა, რომლის ფარგლებში გამართული სემინარები, კურსები და ჯგუფური ღონისძიებები ახლადწარმოჩენილი ლიდერების წინსვლას უწყობს ხელს. უფრო მეტი საქართველოს მოქალაქე დავაწინაურეთ ხელმძღვანელ თანამდებობებზე და ვმუშაობთ ორგანიზაციული რესურსების განვითარების გეგმაზე, რომელშიც გაიწერება კადრების ჩანაცვლების პროცესი და ტრენინგების საჭიროება. გეგმის რეალიზაცია 2007 წელს დაიწყება.

როგორც პერსონალის რაოდენობის აღმნიშვნელი ციფრებიდან ჩანს, 2004 წლიდან ჩვენი თანამშრომლების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება, მათ შორის არიან როგორც ადგილობრივი კადრები, ასევე უცხოელები. სულ უფრო ვზრდით როგორც BP-ის თანამშრომელთა რიგებში მიღებული, ასევე კონტრაქტით მომუშავე ადგილობრივი კადრების რაოდენობას. უცხოელი თანამშრომლები არიან შესაბამის სფეროებში მუშაობის ფართო გამოცდილების მქონე კადრები, რომლებიც მოკლე და გრძელვადიან მოვალეობებს ასრულებენ.

**თანამშრომელთა მოთხოვნების შესწავლა 2006 წელს** 2006 წელს ჩავატარეთ თანამშრომელთა მოთხოვნების შესწავლა (PAS) – ანუ თანამშრომელთა აზრის კვლევა, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ტარდება სრულიად BP-ის მასშტაბით. კითხვარი მოიცავს თანამშრომელთა საქმიანი ყოფის სხვადასხვა ასპექტს და ხელმძღვანელობას ძალზე საგულისხმო ინფორმაციას აწვდის. კითხვებზე პასუხების გაცემა ხდება კონფიდენციალურად და ანონიმურად და პირდაპირ იგზავნება კვლევის დამოუკიდებელ კომპანიაში. საქართველოში 2006 წელს კვლევაში მონაწილეობა თანამშრომელთა 63%-მა მიიღო.

თანამშრომელთა მოთხოვნების შესწავლა გვაწვდის ვრცელ ინფორმაციას შრომითი საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის მიმართ თანამშრომელთა დამოკიდებულებაზე. კვლევის ათ კითხვაზე გაცემული პასუხების მიხედვით, ასევე, გამოითვლება კრებსითი სიდიდე – თანამშრომელთა კმაყოფილების ინდექსი (ESI).

პროცენტებში გამოხატული თანამშრომელთა კმაყოფილების ინდექსი საქართველოში 2004 წლის შემდეგ გაუმჯობესდა და 61%-დან 68%-მდე მოიმატა. BP ჯგუფის იმავე მაჩვენებელმა 66% შეადგინა. თანამშრომლები განსაკუთრებით კარგად აფასებენ, თუ რამდენად გარკვეულად არის ჩამოყალიბებული მათი მოვალეობები, რამდენად მიესადაგება მათი პირადი ამოცანები კომპანიის ბიზნეს-ამოცანებს და რამდენად ეფექტიანად ასრულებს კომპანია გარემოს დაცვის ვალდებულებებს. ნაკლები კმაყოფილებით აღინიშნა პასუხები ანაზღაურების, წახალისების, შეღავათების, აგრეთვე, განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

გარდა იმისა, რომ შედეგების შესახებ

**BP საქართველოს თანამშრომლები**

| | 2004 | 2005 | 2006 |
|---|---|---|---|
| საქართველოს მოქალაქეები | 389 | 398 | 492 |
| BP-ის თანამშრომლები | 228 | 271 | 274 |
| კონტრაქტორები | 161 | 127 | 218 |
| უცხოეთის მოქალაქეები | 142 | 138 | 162 |
| BP-ის თანამშრომლები | 37 | 38 | 26 |
| კონტრაქტორები | 105 | 100 | 136 |
| **სულ თანამშრომელთა რაოდენობა** | **531** | **536** | **654** |

## კონტრაქტორთა მიერ ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობა

ნოემბერში BP-ის სოციალური საკითხების ჯგუფის თაოსნობით ჩატარდა BTC-ის დასაქმებისა და ტრენინგის მართვის გეგმის წლიური აუდიტი. გეგმაში ჩამოთვლილია ვალდებულებები, რომლებიც შეეხება სამუშაოზე მიღების პროცესს, დასაქმების პირობებსა და ტრენინგებს. ინტერვიუები გაიმართა ათი კონტრაქტორი ორგანიზაციის მენეჯმენტთან და თანამშრომლებთან, გადაისინჯა მათი დოკუმენტაცია. შემოწმდა, აგრეთვე, BP-ის ადამიანური რესურსების დეპარტამენტი და სააგენტოს შტატი.

აუდიტმა გამოავლინა სფეროები, რომლებშიც საკადრო ფუნქციები კარგად სრულდებოდა, თუმცა არსებობს ადამიანური რესურსების მართვის საკითხების უკეთ შესწავლის პოტენციური საჭიროება.

აუდიტის დასკვნების საფუძველზე ვგეგმავთ ჩვენი კონტრაქტორების შემდგომ გათვითცნობიერებას ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში და სხვადასხვა მოწინავე პრაქტიკის მოთხოვნებში, რომლებსაც BP თავის კონტრაქტორებს უყენებს. ეს ღონისძიება მოიცავს ინფორმაციას შემდეგზე: საქართველოს ახალი შრომის კოდექსი, დისციპლინური ზომები, თანამშრომელთა საჩივრების მოგვარების მექანიზმები, დასაქმებულთა ძირითადი უფლებების ამსახველი ნორმატიული დოკუმენტები, სამუშაოზე მიღების ღია და გამჭვირვალე პროცესები და შესაბამისი დოკუმენტაცია.

ინფორმაცია ფართოდ გავრცელდა ორგანიზაციის მასშტაბით, მოხდა მათი დეტალურად განხილვა ფოკუს-ჯგუფებთან გამართულ შეხვედრებზე. განხილვების შედეგად გამოკვეთილი საკითხები აისახა შიდაორგანიზაციული ურთიერთობის გეგმაში, რომელშიც მითითებულია ის ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს თანამშრომელთა ჩართულობის დონის ამაღლებას კომპანიის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში.

**კანონების, კორპორაციული წესებისა და საქმიანი ეთიკის ნორმების დაცვა**

თანამშრომლებს და კონტრაქტორებს შეუძლიათ, მიმართონ რამდენიმე სხვადასხვა საშუალებას იმისათვის, რომ დასვან საქმიანი ეთიკის ნორმებთან დაკავშირებული საკითხები. ჩვენი ფასეულობებისა და საქმიანი ქცევის ნორმების განმსაზღვრელი ძირითადი დოკუმენტი არის BP-ის ქცევის კოდექსი.

ქცევის კოდექსი ასახავს BP-ის მორალურ ღირებულებებს და ადგენს BP-ის თითოეული თანამშრომლის ქცევის ნორმებს შემდეგ ხუთ სფეროში: ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, უშიშროებისა და გარემოს დაცვა; თანამშრომლები; საქმიანი პარტნიორები; მთავრობები და საზოგადოების ჯგუფები; კომპანიის აქტივები და ფინანსური წესრიგი. ეს არის მთელი კომპანიის მასშტაბით მოქმედი დოკუმენტი, რომელშიც ნათლად არის ჩამოყალიბებული, თუ როგორ უნდა მოიქცეს თითოეული თანამშრომელი, თუ არჩევნის წინაშე დადგება საკუთარი მოვალეობების შესრულებისას. მასში განხილულია საკითხების ფართო სპექტრი უსაფრთხოების ძირითადი წესებით დაწყებული და კონკურენციისა და ანტიმონოპოლიური საკითხების დეტალური ინსტრუქციებით დამთავრებული. დოკუმენტი შექმნილია მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის მოთხოვნების მიხედვით და თანამშრომლებისთვის შეიცავს ინფორმაციას, თუ სად შეუძლიათ გაეცნონ უფრო დეტალურად კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებულ ნორმებს. ქცევის კოდექსი მთელი კომპანიის მასშტაბით 2005 წელს ამოქმედდა.

წელს კოდექსით განსაზღვრული ნორმების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ინფორმაცია კოდექსის შესახებ ჩავრთეთ დასაქმებულთა უფლებების თემაზე ჩატარებული ტრენინგების მასალებში.

თანამშრომელთა მოთხოვნების შესწავლის შედეგების მიხედვით, ჩვენს თანამშრომლებში ეჭვს არ იწვევს, რომ საკუთარი საქმიანი და კომერციული ინტერესების აღსრულებისას BP დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კომპანიის ღირებულებებს და ქცევის კოდექსის ნორმებს, დარღვევების შემთხვევაში კი კომპანია ნამდვილად მიმართავს კოდექსს.

**ადამიანისა და შრომის უფლებები**
2005 წელს Foley Hoag-მა ჩაატარა დამოუკიდებელი შეფასება, რომლის ფარგლებში შემოწმდა, თუ რამდენად სრულდება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და შრომის უფლებების დაცვის სფეროში ნაკისრი ვალდებულებები კომპანიის თანამშრომელთა და ჩვენი საქმიანობის ზემოქმედების არეალში მოქცეული მოსახლეობის ჯგუფების მიმართ. 2006 წლის თებერვალში გამოქვეყნებულ შეფასების ანგარიშში Foley Hoag ასკვნის, რომ BP „არსებითად შესაბამისობაშია" საკუთარ ვალდებულებებთან ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში და მოწინავე პრაქტიკის წესებს იყენებს, ზოგჯერ კი ახალ სტანდარტებსაც აწესებს. მიუხედავად ამისა, ანგარიშში მითითებული იყო გასაუმჯობესებელი სფეროებიც. 2006 წელს გარკვეული ნაბიჯები გადავდგით შეფასების ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების შესასრულებლად.

ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯი იყო ჩვენი თანამშრომლებისა და კონტრაქტორებისათვის დასაქმებულთა ძირითადი უფლებების უკეთ გაცნობა. ტრენინგის კურსი მოიცავდა ინფორმაციას შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციების შესახებ, როგორიცაა კონვენციები გაერთიანების, გადაადგილების უფლებისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ. იქვე მითითებული იყო, თუ რა საშუალებები არსებობს თანამშრომლებისა და კონტრაქტორებისათვის პრეტენზიის ან საკითხის დასასმელად და ხაზგასმით იყო აღნიშნული კომპანიის პოლიტიკა თანამშრომლების მიმართ ანგარიშსწორების დაუშვებლობის შესახებ. 2006 წლის განმავლობაში ტრენინგს დაესწრო BP-ისა და კონტრაქტორების 720-ზე მეტი თანამშრომელი და მენეჯერი.

**ეთიკის სერტიფიკატი** ისევე, როგორც გასულ წლებში, 2006 წელს განხორციელდა ეთიკის სერტიფიკატის წარდგენა. ყოველ წელს, კომპანიის ყველა ბიზნესდანაყოფს თუ ფუნქციონალურ რგოლს მოეთხოვება, წარადგინოს სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ მათ საქმიანობაში დაცული იყო კანონები, შიდაკორპორაციული წესები და ქცევის კოდექსი. პროცესი გულისხმობს, რომ ჯგუფური განხილვის შემდეგ მენეჯერები სერტიფიკატით ადასტურებენ მათი ხელმძღვანელობით მომუშავე ადამიანების ქცევის შესაბამისობას მოთხოვნებთან. სერტიფიკატში აღინიშნება ნებისმიერი დარღვევის დეტალები და წინა წელს დასმული საკითხების ბედი. პროცესი ვერტიკალურად მიმდინარეობს და თავს იყრის BP ჯგუფის მთავარ აღმასრულებელ დირექტორთან, რომელიც ჯგუფის სახელით ხელს აწერს სერტიფიკატს და დირექტორთა საბჭოს უსაფრთხოების, საქმიანი ეთიკის ნორმებისა და გარემოს დაცვის კომიტეტის წინაშე წარადგენს.

**„ცხელი ხაზი"** თანამშრომლებსა და კონტრაქტორებს შეუძლიათ, მიმართონ ჩვენ მიერ შექმნილ დამოუკიდებელ კონფიდენციალურ „ცხელ ხაზს" (Open Talk), თუ გაუჩნდებათ კითხვები ან პრობლემები კანონების, კორპორაციული წესებისა და საქმიანი ეთიკის ნორმების ან ქცევის კოდექსთან დაკავშირებით. „ცხელი ხაზის" სამსახურთან დაკავშირება შესაძლებელია მრავალენოვანი სატელეფონო ხაზით, ფაქსით ან წერილით კვირის შვიდივე დღეს, 24 საათის განმავლობაში. ყველა განცხადება დამოუკიდებელი ორგანიზაციის მიერ განიხილება და მხოლოდ ამის შემდეგ ეგზავნება BP-ის. საკითხები დაისმება რეგიონული ომბუდსმენის წინაშე, რომელიც BP-ის ერთ-ერთი უმაღლესი ხელმძღვანელი პირია და რომელიც დასახავს რეაგირების ღონისძიებებს, სავარაუდოდ, გამოძიების ჩათვლით.

BP არ დაუშვებს ანგარიშსწორებას რომელიმე პირის წინააღმდეგ, ვინც საკითხს წამოჭრის „ცხელი ხაზის" მეშვეობით ან ვისაც ეს საკითხი უკავშირდება. ანგარიშსწორების ყველა სავარაუდო ფაქტზე დაიწყება გამოძიება და, დადასტურების შემთხვევაში, ფაქტზე პასუხისმგებელი პირების მიმართ გატარდება დისციპლინური ზომები.

2006 წელს ჩვენ კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გავხადეთ ინფორმაცია „ცხელი ხაზის" შესახებ, ჩავრთეთ რა დასაქმებულთა უფლებების საკითხებზე გამართული ტრენინგების მასალებში და გავავრცელეთ საინფორმაციო ფურცლები. კმაყოფილებით აღნიშნავთ, რომ როგორც თანამშრომელთა მოთხოვნების შესწავლამ აჩვენა, „ცხელი ხაზის" არსებობის შესახებ იცოდა ჩვენი თანამშრომლების თითქმის 90%-მა და 2004 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც მზად არიან გამოიყენონ „ცხელი ხაზი."

# ჩვენი როლი საზოგადოებაში

2


2.1 სოციალური და გარემოსდაცვითი ჭრილი
2.2 კლიმატის ცვლილება
2.3 ეფექტური მართვის ხელშეწყობა
2.4 ბიზნესის განვითარება
2.5 განათლება
2.6 ხელმისაწვდომი ენერგია
2.7 ჩვენი პროგრამები

ბავშვები ერთობიან BP-ის დახმარებით განახლებულ ბორჯომის პარკში.

## 2.1 სოციალური და გარემოსდაცვითი ჭრილი

**ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის ხელშეწყობისა და სოციალური მდგომარეობის გამოსასწორებლად ბოლო წლებში საქართველოში არაერთი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა. ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის სტაბილური ზრდა აღინიშნა. ტარდება ღონისძიებები სიღარიბის დაძლევის პროგრამების შესასრულებლად. ამ ინიციატივებს მხარს უჭერენ საერთაშორისო ორგანიზაციები – გაერო, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი. ვმოქმედებთ რა ჩვენი პარტნიორების სახელით, მოწოდებული ვართ, ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლას, რასაც ემსახურება ჩვენი ინვესტიციები და ჩვენი ძირითადი საქმიანობის პარალელურად განხორციელებული სოციალური და საზოგადოებრივი პროგრამები.**

2004-2006 წლებში საქართველოში ეკონომიკური წინსვლის მაღალი ტემპი აღინიშნა. მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის პროგნოზით, 2006-2008 წლებში მოსალოდნელია მთლიანი შიდა პროდუქტის სტაბილური ზრდა წელიწადში საშუალოდ 5-7%-ით. ამ მაჩვენებლების გაუმჯობესება მთელი რიგი ისეთი რეფორმებით არის განპირობებული, როგორიცაა სახელმწიფო ინსტიტუტების განმტკიცება, მმართველობისა და კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერება, ინვესტიციები ინფრასტრუქტურის სფეროში და საკანონმდებლო გარემოს გაუმჯობესება.

ამ ღონისძიებების მიუხედავად, მრავალი ძირეული პრობლემა კვლავ გადაუჭრელი რჩება. ზოგიერთი სოციალური ხასიათისაა და მოითხოვს ზრუნვას მოსახლეობის დაუცველ ჯგუფებზე და ადამიანური რესურსების განვითარებას. მთავრობის მიერ ნაკისრი ვალდებულებით, გაეროს ათასწლეულის განვითარების პროგრამის მიზნების შესრულება 2015 წლისთვის იგეგმება. საერთაშორისო ინსტიტუტების მხარდაჭერითა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით მთავრობამ ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა შეიმუშავა. დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მოითხოვს ინვესტირების თანმიმდევრულ პროცესს საზოგადოებრივი მომსახურების შემდეგ ძირითად სფეროებში: ჯანდაცვა, განათლება, სოციალური უზრუნველყოფა.

ბიზნესის წვლილი განვითარებაში გამოიხატება იმ სოციალური პროექტების მხარდაჭერით, რომლებიც მკაფიო და კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტას ისახავენ მიზნად. ჯგუფის დონეზე ვემხრობით შემოსავლების გამჭვირვალობის ხელშემწყობ ინიციატივებს და ჩვენი საზოგადოებრივი ინვესტიციების უდიდეს ნაწილს მივმართავთ პროექტებზე ბიზნესის განვითარების, განათლებისა და ენერგეტიკის სფეროებში. ეს ზოგადი მიმართულებები ერთნაირად აქტუალურია ჩვენი საქმიანობისთვის მსოფლიოს მასშტაბით, თუმცა ჩვენ მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში ვითვალისწინებთ კონკრეტული ქვეყნის საჭიროებებსაც. BP ჯგუფის ეს პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში ასახვას ჰპოვებს ქვეყნისა და რეგიონის დონეზე განხორციელებულ არაერთ პროგრამაში, რომლებიც მომდევნო თავებშია აღწერილი.

სიღარიბის დაძლევის საქმეში ბიზნესს გარკვეული ფუნქცია ეკისრება საარსებო მნიშვნელობის პრუდუქტის ან მომსახურების, მაგალითად, ენერგიის მიწოდებით, რაც პირდაპირ აძლევს სტიმულს ეკონომიკის განვითარებას. თუმცა ხელმისაწვდომი ენერგიის უზრუნველყოფას ახლავს კომპრომისი, რომელიც ბუნებრივი გარემოს დაცვისა და შემდგომი გაუმჯობესების ხარჯზე კეთდება. BP-ში მივისწრაფვით, რომ ასეთი არჩევნის წინაშე არ აღმოვჩნდეთ.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ამ ამოცანის შესრულებას ნაწილობრივ უზრუნველვყოფთ საკუთარი საქმიანობის წარმართვით გარემოს დაცვის თვალსაზრისით გამართლებული ფორმით, რაც ამ ანგარიშის 1.6 თავში არის განმარტებული.

თუმცა არსებობს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კიდევ ერთი საკითხი, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყნის საზოგადოების მნიშვნელოვანი საზრუნავია. ეს არის კლიმატის ცვლილება. ამიტომ ამ თავის პირველივე საკითხად განვიხილავთ BP-ის ჯგუფის თვალსაზრისს კლიმატის ცვლილების საფრთხესთან დაკავშირებით და მიმოვიხილავთ მსოფლიო ბაზრებზე ჯგუფის მიერ ნახშირბადის დაბალი შემცველობის ენერგიისა და ტრანსპორტისთვის შექმნილ პერსპექტივებს.

ჯგუფის დონეზე ვემხრობით შემოსავლების გამჭვირვალობის ხელშემწყობ ინიციატივებს და ჩვენი საზოგადოებრივი ინვესტიციების უდიდეს ნაწილს მივმართავთ პროექტებზე ბიზნესის განვითარების, განათლებისა და ენერგეტიკის სფეროებში.

## 2.2 კლიმატის ცვლილება

**ჩვენი, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ენერგოკომპანიის, ვალდებულებაა, რომ აქტიური მონაწილეობა მივიღოთ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული საფრთხის აცილების ღონისძიებებში. 2006 წელს ავამოქმედეთ ბიოსაწვავის დარგი, რომელიც ტრანსპორტის სფეროს ნახშირბადის დაბალი შემცველობის ალტერნატიულ საწვავს სთავაზობს. კომპანიამ განაცხადა, რომ 10 წლის განმავლობაში 500 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს, რათა შექმნას საკუთარი ენერგიის ბიომეცნიერებათა ინსტიტუტი, რომელიც გამოიკვლევს ბიოლოგიური მეცნიერებების გამოყენების შესაძლებლობებს და იმუშავებს ახალი და ეკოლოგიურად უფრო სუფთა ენერგიის შექმნაზე.**

კლიმატის ცვლილების პრობლემაზე ჩვენი მუშაობის ისტორია ჯერ კიდევ 1997 წლიდან იღებს სათავეს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ BP პირველი ნავთობკომპანია იყო, რომელმაც საჯაროდ გაამახვილა ყურადღება ამ პრობლემაზე. დღესდღეობით პრევენციულ ღონისძიებებს მივმართავთ, რომ შევამციროთ სათბურის აირების ემისიები და კლიმატის ცვლილების საფრთხე თავიდან ავიცილოთ. 1998 წელს ჩვენ პირველებმა დავისახეთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ემისიების შესამცირებელი ნებაყოფლობითი ამოცანები და ვადაზე ადრე შევასრულეთ ისინი. განვაგრძობთ მუშაობას ემისიების მოცულობის შეკვეცაზე.

ნახშირბადის დაბალი შემცველობის საწვავზე გაზრდილი მოთხოვნების გამო ავიღეთ მნიშვნელოვანი ვალდებულება ნახშირბადის დაბალი შემცველობის ენერგიის წყაროების შექმნასთან დაკავშირებით. 2005 წელს დავიწყეთ „BP-ის ალტერნატიული ენერგია" – რენტაბელური ბიზნესი, რომელიც გვთავაზობს ნახშირბადის დაბალი შემცველობის ენერგიის ისეთ წყაროებს, როგორიცაა მზის, ქარის, წყალბადისა და გაზის ენერგიები.

მსოფლიო ბაზრებს კვლავ ვთავაზობთ ფართო სპექტრის ეკოლოგიურად უფრო სუფთა საწვავ და საპოხ მასალებს. 2006 წელს მნიშვნელოვანი მოცულობით შევიტანეთ BP Altimate საწვავი სამხრეთ აფრიკისა და რუსეთის ბაზრებზე, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში დავნერგეთ დიზელის სახეობა გოგირდის ულტრადაბალი შემცველობით. რამდენიმე პარტნიორთან ერთად ვმუშაობთ საპონი ზეთების შექმნაზე, რომლებიც გააუმჯობესებს ძრავის კონსტრუქციას და გაფრქვევების სისტემას, რაც, თავის მხრივ, საწვავის ეკონომიურობას და ჰაერის დაბინძურების შემცირებას შეუწყობს ხელს.

ვაფინანსებთ ფართომასშტაბიან კვლევებს ნახშირბადის დაბალი შემცველობის ენერგიის წყაროების შესაქმნელად და 2006 წელს ჩვენი კორპორაციული სარეკლამო კამპანია ზოგიერთ ქვეყანაში სწორედ ნახშირბადის თემაზე ავაგეთ.

კლიმატის ცვლილება გლობალური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია და ამ საკითხის განხილვაში აქტიურად ვმონაწილეობთ. ვემხრობით მოსაზრებას, რომ კლიმატის ცვლილების მხრივ ყველაზე უარესი შედეგის საფრთხის შესამცირებლად, სათბურის აირების $CO_2$-ის ეკვივალენტის კონცენტრაციამ ატმოსფეროში 450-550 მემილიონედ ნაწილს არ უნდა გადააჭარბოს. ჩვენ, ასევე, ვემხრობით ემისიების სავალდებულო ზედა ზღვრის დაწესებას და ისეთი წესების შემოღებას, რომლებიც ნახშირბადზე ფასს დააწესებენ, რაც საქმიანობის ფორმების შეცვლას და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვას გამოიწვევს.

### BP და კლიმატის ცვლილება – გავლილი და გასავლელი გზა

**1997 წელი**
„კლიმატის მსოფლიო კოალიციიდან" გამოსვლის შემდეგ, სტენფორდში BP საჯაროდ აღიარებს, რომ სათბურის აირების ემისიების მოცულობა აუცილებლად უნდა შეიკვეცოს.

**1998 წელი**
BP მიზნად ისახავს 2010 წლისთვის საკუთარი ემისიების 10%-ით შემცირებას 1990 წლის დონეებთან შედარებით. ჩვენ ამ მიზანს ცხრა წლით ადრე, 2001 წლისთვის მივაღწიეთ, რაც შესაძლებელი გახდა ენერგოეფექტური პროექტების განხორციელებისა და ზედმეტი გაზის ჩირაღდნებში წვის პროცესის შეზღუდვით.

**2006 წლის თებერვალი**
BP-მ გამოაცხადა კალიფორნიაში ნახშირორჟანგის დამჭერი ხაზით აღჭურვილი წყალბადის ელექტროსადგურის პროექტის შესახებ.

**2006 წლის ივნისი**
BP-მ განაცხადა 500 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის შესახებ, რომელიც ენერგიის ბიომეცნიერებათა ინსტიტუტის კვლევით პროგრამებს უნდა მოხმარდეს.

**2006 წლის ნოემბერი**
BP Solar მსოფლიოს მასშტაბით საწარმოო სიმძლავრეებს 100 მეგავატიდან 200 მეგავატამდე აორმაგებს.

**2006 წლის დეკემბერი**
ამერიკის შეერთებულ შტატებში BP მონაწილეობს ქარის ენერგიის პროექტებში, რომელთა გენერაციის პოტენციური სიმძლავრე 15 000 მეგავატია.

**2012 წელი**
BP მიზნად ისახავს 10-15%-ით უფრო სუფთა გახადოს ენერგია 2001 წლის საბაზისო მონაცემებთან შედარებით.

**2015 წელი**
BP მიზნად ისახავს 8 მილიარდი დოლარის ინვესტირებას „ალტერნატიული ენერგიის" ბიზნესში და სათბურის აირების შეკვეცას წელიწადში 24 მილიონი მეტრული ტონით.

## 2.3 ეფექტური მართვის ხელშეწყობა

**საქართველოში გრძელვადიან ინვესტიციას ვახორციელებთ, ამიტომ არსებითად ვართ დაინტერესებული საქართველოს ეკონომიკის გრძელვადიან წინსვლაში. გამჭვირვალობა და ეფექტური მართვა სწორი ეკონომიკური მართვის უმნიშვნელოვანესი ასპექტებია. ამიტომ ვცდილობთ, გამოვიყენოთ ჩვენი გავლენა და უზრუნველვყოთ, რომ ბუნებრივი რესურსების ათვისებიდან მიღებული შემოსავალი ეფექტურად იქნეს გამოყენებული.**

მთავრობის მიერ ბუნებრივი რესურსებით მიღებული შემოსავლების განკარგვის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობა სულ უფრო აქტუალური ხდება საქართველოში. მას ყურადღებას უთმობენ მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები და კამპანიის წარმმართველი ჯგუფები, როგორიცაა ფონდი ,,ღია საზოგადოება – საქართველო" და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიცია ,,საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისათვის."

საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული რეფორმების წყალობით წინსვლა შეინიშნება გამჭვირვალობის ზრდისა და კორუფციის დაძლევის თვალსაზრისით. საერთაშორისო გამჭვირვალობის (TI) 2006 წლის ,,კორუფციის აღქმის ინდექსის" მიხედვით, ბიზნესის წარმომადგენელებისა და ქვეყნის ანალიტიკოსების აზრით, საქართველოში კორუფცია 2004-2006 წლებში შემცირდა. თუმცა საქართველოს ქულა ინდექსის ცხრილში და სხვა ქვეყნების მიმართ დაკავებული ადგილი იმაზე მიუთითებს, რომ საჭიროა შემდგომი გაუმჯობესება.

საქართველოში საქმიანობისას ჩვენ გახსნილობისა და გამჭვირვალობისკენ მივისწრაფვით. 1.4 თავში აღწერილი მრავასაფეხურებრივი მონიტორინგის პროცესი ამ მისწრაფების ერთ-ერთი გამოვლინებაა.

გამჭვირვალობის ხელშეწყობას მრავალი ასპექტი გააჩნია, მათ შორისაა მთავრობასთან არაფინანსურ საკითხებზე (მაგალითად, ადამიანის უფლებების თემაზე) ხელმოწერილი ხელშეკრულებების გამოქვეყნება. ჩვენ ამავე გამჭვირვალობის სულისკვეთებით ვმოქმედებთ მთავრობასთან ურთიერთობისას შემოსავლების ნაწილშიც. დავამკვიდრეთ BTC-ის საგრანტო პროგრამასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნების წესი და საგრანტო ხელშეკრულების პირობებით ამ თანხების აუდიტის პროცედურა დავაწესეთ.

BTC-ის საგრანტო პროგრამის შესახებ ხელშეკრულებაში ჩადებულ ამ პირობებზე ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელობით მომზადებული მონიტორინგის ანგარიში, რომელიც 2006 წელს გამოქვეყნდა. ანგარიშში ხაზგასმულია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გამჭვირვალობა საგრანტო პროგრამის ჯეროვანი განხორციელებისათვის. ასოციაცია მოუწოდებს, რომ საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების დანიშნულება უფრო გარკვევით იყოს მითითებული, რაც მათ მიზნობრივ ხარჯვას უზრუნველყოფს.

### გამჭვირვალობისა და აუდიტის პრინციპების ხორცშესხმა

მთავრობასთან გაფორმებული ჩვენი საგრანტო ხელშეკრულება, რომლის გაცნობა შესაძლებელია ინტერნეტში (*www.bp.com/caspian*), შეიცავს კონკრეტულ დებულებებს გამჭვირვალობისა და აუდიტის შესახებ. ხელშეკრულების ეს დებულებები ასახავს მხარეთა ვალდებულებებს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დასაცავად. BTC Co.-ს მოეთხოვება, რომ საჯაროდ განაცხადოს თითოეული საგრანტო თანხის მოცულობისა და გადახდის ვადების შესახებ. მთავრობას ეკისრება ვალდებულება, რომ წარმოადგინოს ანგარიში გრანტით გათვალისწინებულ სფეროებში – კერძოდ, განათლების, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბიზნესის განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნის სფეროებში – დაფინანსებული თითოეული პროექტის შესახებ. მთავრობამ უნდა აწარმოოს განარჯული თანხების დეტალური და კონტროლირებადი ჩანაწერები. განსაზღვრულია მხარეებს შორის თანხების გადარიცხვის პროცესი. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია საერთაშორისო რეპუტაციის მქონე დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის დაქირავება, რომელიც შეამოწმებს თითოეულ განაცხადს თანხის მიღებაზე და აღნიშნულ ხელშეკრულებასთან გრანტების გამოყენების შესაბამისობას. აუდიტორული დასკვნის რეზიუმე ინგლისურ და ქართულ ენებზე დროულად უნდა გამოქვეყნდეს.

## 2.4 ბიზნესის განვითარება

**ადგილობრივი ბიზნესის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეგვაქვს. ადგილობრივ მომწოდებელთა მომსახურების გამოყენებით შეგვიძლია, ხელი შევუწყოთ სამუშაო ადგილებისა და გრძელვადიანი პოტენციალის შექმნას, რაც სასიკეთოდ იმოქმედებს ეკონომიკურ კეთილდღეობასა და სტაბილურობაზე. ადგილობრივი კომპანიების მიერ შეძენილი გამოცდილება მათ წარმატების პერსპექტივას უქმნის, რაც მომავალში, შესაძლებელია, მხოლოდ ენერგოსექტორით არ შემოიფარგლოს. ჩვენთვის ადგილობრივი ბიზნესის წინსვლა უკავშირდება შესყიდვების პროცესის გამარტივებას და, ზოგიერთ შემთხვევაში, ხარჯების შემცირებას. ადგილობრივ ბიზნესთან თანამშრომლობა მოსახლეობასთან კონსტრუქციული ურთიერთობის დამყარებაშიც გვეხმარება.**

BP საქართველო პარტნიორებთან ერთად ადგილობრივ ქართულ კომპანიებს მნიშვნელოვან თანხებს უხდის. ცხრილში ნაჩვენებია 2000-2006 წლებში ქართული კომპანიებისთვის ყოველწლიურად გადახდილი საერთო თანხები. ადგილობრივად დახარჯული თანხების ზრდა ნაწილობრივ ექსპლუატაციის ეტაპზე გადასვლის შედეგია, როდესაც აუცილებელია კვალიციფიური ადგილობრივი მომწოდებლების მომსახურება. ჩვენი ძირითადი კონტრაქტორებიც, შეძლებისდაგვარად, ადგილობრივი ქვეკონტრაქტორების მომსახურებას იყენებენ.

საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში ვაფინანსებთ წარმოების განსავითარებელ ინიციატივებს. კერძოდ, მეწარმეებსა და მცირე ბიზნესებს ვეხმარებით მიკროკრედიტებით, რასაც საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამაში ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციების (როგორიცაა ფონდი „კონსტანტა") მეშვეობით ვახორციელებთ. ბიზნესის განვითარება ერთ-ერთია იმ სამი ძირითადი მიმართულებიდან, რომლებსაც რეგიონული განვითარების ინიციატივის ფარგლებში ვახორციელებთ (იხილეთ თავი 2.7).

**ადგილობრივი კომპანიებისთვის გადახდილი თანხები**




2000 წელი: საქართველოს მილსადენის კომპანიის (GPC) მიერ გადახდილი თანხები
2001 წელი: GPC-ის და BP-ის მიერ გადახდილი თანხები
2002 და 2003 წლები: GPC-ის, BP-ის და BTC-ის მიერ გადახდილი თანხები
2004-2006 წლები: GPC-ის, BP-ის, BTC-ის და SCP-ის მიერ გადახდილი თანხები

### ბიზნესის განვითარება ბორჯომის რაიონში

რეგიონული განვითარების ინიციატივის ეს პროექტი მიზნად ისახავს ბორჯომის რაიონში მოქმედი მცირე მეწარმეებისა და აგრობიზნესის საწარმოების დახმარებას, რათა გაფართოვდეს მათი პროდუქციის ასორტიმენტი, გაუმჯობესდეს მათი კონკურენტუნარიანობა და ორგანიზაციული მართვა.

პროექტის საწყის ეტაპზე ჩატარდა ეკონომიკური საქმიანობის კვლევა ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და ხაშურის რაიონებში. ეტაპობრივად გაანალიზდა წარმოების ყველა რგოლი პირველადი პროდუქტიდან ქალაქის ბაზარზე გატანილ საბოლოო პროდუქციამდე. გამოვლინდა სხვა პროცესები სოფლის მრეწველობაში და წარმოების სხვა დარგები.

გადაწყდა, რომ ამ პროექტის ფარგლებში ყურადღება გამახვილდებოდა მეცხოველეობისა და მერძევეობის განვითარებასა და მეფუტკრეობაზე. მეცხოველეობის განვითარების პროექტი ძირითადად შეეცდება გადაჭრას პრობლემები, რომლებიც უკავშირდება საქონლის კვების ღარიბ რაციონს, ფურაჟის დამზადებისა და რეალიზაციის ცუდად განვითარებულ დარგს, ვაჭრობასა და რეალიზაციას და ვეტერინარიის სამსახურებში და ხელოვნური განაყოფიერების საქმეში არსებულ მდგომარეობას. მეფუტკრეობის პროექტის მიზანია თაფლის ხარისხის ამაღლება, სავაჭრო ნიშნის შექმნა და ბაზრებზე გასვლა. ორივე მიმართულებაში ფართოდ იქნება გათვალისწინებული პოტენციალის გაზრდის კომპონენტი.

პროექტით გათვალისწინებულია თანამშრომლობა ინდივიდუალურ მეწარმეებთან, აგრეთვე, გარკვეული ორგანიზაციული სტრუქტურების, მაგალითად, ფერმერთა ასოციაციების ან კავშირების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს აგროსექტორის განვითარებას მთლიანად ბორჯომის რაიონში.

## 2.5 განათლება

**განათლების მხარდაჭერა BP-ის ჯგუფის კორპორაციული პასუხისმგებლობის კონცეფციის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რადგან იგი შეეხება საკითხებს, რომლებიც უშუალო კავშირშია ჩვენს მომავალთან. ესენია: ენერგეტიკა და გარემო, საბაზისო განათლება და განათლება ბიზნესის შესახებ. გარდა ამისა, განათლების ხელშეწყობა მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მთავარი ასპექტია, ვინაიდან ცოდნისა და გამოცდილების თაობიდან თაობაზე გადაცემა აუცილებელია. საქართველოში ვეხმარებით დაწყებით და საშუალო სკოლებს, ასევე, კვლევასა და განათლებას უნივერსიტეტის შემდგომ ეტაპზე.**

**სკოლების დახმარება** საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტი, სახელწოდებით „გაუმჯობესებული სკოლების პროექტი" (CIP-ISP), რომელიც 2004 წლის ზაფხულში დაიწყო, მიზნად ისახავს მოზარდების უფრო აქტიურად ჩართვას ქვეყნის მომავალ სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. პროექტის ფარგლებში ჩატარდა სკოლების რეაბილიტაცია, მასწავლებლები გადამზადდნენ, მოეწყო ინფორმაციული კამპანიები განათლების რეფორმის საკითხებზე და გაიხსნა საზაფხულო ბანაკები.

CIP-ISP-ის პირველ ეტაპზე BTC/SCP მილსადენების მარშრუტის მიმდებარე სკოლებში განხორციელებულ პროექტებზე შეძენილი სასარგებლო გამოცდილების გათვალისწინებით, 2006 წელს დავასრულეთ მუშაობა ინიციატივაზე, რომელიც ითვალისწინებს მცირე გრანტების გაცემას დასავლეთის მიმართულების მილსადენის გასწვრივ მდებარე სკოლებისთვის. მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში პროგრამა მოიცავს ბაქო-სუფსის მილსადენის მარშრუტის ყველა რაიონს და ჩვენი საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების ხელმძღვანელობით წარიმართება.



### „ირმის ნახტომი"

„ირმის ნახტომი" საქართველოს სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამაა. პროგრამა პასუხობს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და სიღარიბის დაძლევის პროგრამით დასახულ ერთ-ერთ სტრატეგიულ ამოცანას, რომელიც გულისხმობს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვას განათლების სისტემაში. „ირმის ნახტომი" არის 2005-2008 წლებზე გათვლილი ოთხწლიანი პროგრამა, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე შეიმუშავა.

„ირმის ნახტომი" ესტონეთში განხორციელებული სკოლების საყოველთაო კომპიუტერიზაციის პროგრამის წარმატებულ გამოცდილებას ეყრდნობა. იქ პროგრამას „ვეფხვის ნახტომი" ეწოდებოდა, 1997-2000 წლებში მიმდინარეობდა და მისი მეშვეობით მოხერხდა სკოლების ინტერნეტკავშირით უზრუნველყოფა, მასწავლებლების გადამზადება ძირითად კომპიუტერულ პროგრამებში და კომპიუტერული სასწავლო პროგრამების შესყიდვა.

**ჩვენი ფინანსური მონაწილეობით თბილისში გაიხსნა ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა, რომელიც რეგიონში უნივერსიტეტის შემდგომ ეტაპზე ეკონომიკის სწავლისა და კვლევის ხელშესაწყობად შეიქმნა.**

ჩვენ, ასევე, წამოვიწყეთ ინვესტირების პროგრამა სუფსის ტერმინალის ირგვლივ მდებარე სკოლებისთვის (პროგრამა ცნობილია სახელწოდებით „ISAST"). ISAST იმ სოციალური ინვესტირების პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტია, რომელსაც ბაქო-სუფსის მილსადენის გასწვრივ ვახორციელებთ. პროგრამა CIP-ISP-ის ყველაზე წარმატებული გამოცდილების გათვალისწინებით არის შედგენილი.

2006 წლის აპრილში განათლების სამინისტროსთან გავაფორმეთ სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამის თანადაფინანსების ხელშეკრულება. პროგრამის ფარგლებში, რომელიც „ირმის ნახტომის" სახელით არის ცნობილი, საქართველოს 400-მდე სკოლა აღიჭურვა 3000-ზე მეტი კომპიუტერით. ამ მიზნით, „BP-ის ვალდებულების" თანხიდან 2,8 მილიონი დოლარი გამოიყო.

ჩვენი ფინანსური მონაწილეობით თბილისში გაიხსნა ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა, რომელიც რეგიონში უნივერსიტეტის შემდგომ ეტაპზე ეკონომიკის სწავლისა და კვლევის ხელშესაწყობად შეიქმნა. ჩვენმა დახმარებამ სკოლის გახსნის გეგმები რეალობად აქცია. სკოლაში უკვე ჩაირიცხა 167 მსურველს შორის შერჩეული 57 სტუდენტისგან შემდგარი პირველი ნაკადი, რომელშიც საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის მოქალაქეები ირიცხებიან. უკვე შეირჩნენ ლექტორები და ამჟამად მიმდინარეობს ადმინისტრაციის წევრების დანიშვნა. 2007 წელს იგეგმება სკოლის გადასვლა საკუთარ ახლად გარემონტებულ შენობაში.

ასევე, ჩვენი ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება მაგისტრატურის სამწლიანი პროგრამა, რომელიც ნიჭიერ ქართველ სტიპენდიანტებს დიდ ბრიტანეთში სწავლის საშუალებას აძლევს (იხ. ასევე თავი 2.7). 2006 წელს პროგრამის მეორე ეტაპზე შერჩეული 8 სტიპენდიანტი 2006 წლის სექტემბერში დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებში გაემგზავრა. იმავდროულად, დაიწყო მესამე რაუნდის შესარჩევი პროცესიც.

## სწავლა დიდ ბრიტანეთში: ქართველი სტიპენდიანტის გამოცდილება

„დიდ ბრიტანეთში სწავლამ და მუშაობამ უდიდესი გამოცდილება შემძინა. ვსწავლობდი ლონდონის უნივერსიტეტთან არსებულ Royal Holloway-ში. დიდ ბრიტანეთში ცხოვრებამ და მუშაობამ ბრიტანული ცხოვრების წესის კარგად გაცნობის საშუალება მომცა. რაც შეეხება პროფესიულ სფეროს, ამ გამოცდილებამ მომიტანა მეტი დამოუკიდებლობა და სასარგებლო კონტაქტები, რაც ჩემს მომავალ კარიერას წაადგება. ჩემი ბოლო საკურსო ნამუშევარი – მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი – რამდენიმე საერთაშორისო კინოფესტივალზე უჩვენეს, მათ შორის, როტერდამში, ტრიესტში, თბილისსა და პარიზში. BP-ისა და „ბრიტანეთის საბჭოს" უსაზღვროდ მადლიერი ვარ გაწეული დახმარებისათვის."

**სალომე ჯაში, ქართველი სტიპენდიანტი.**

## 2.6 ხელმისაწვდომი ენერგია

**საქართველო ენერგომომარაგების უზრუნველყოფის მხრივ მრავალი პრობლემის წინაშე დგას. ეს განსაკუთრებული სიმწვავით გამოვლინდა 2006 წლის იანვარში, როდესაც რუსეთის ტერიტორიაზე მომხდარი აფეთქებების მიზეზით შეწყვეტილი მიწოდების გამო ქვეყნის ელექტროენერგიითა და გაზით მომარაგებაში დეფიციტი შეიქმნა. მომარაგების საკმარისი და სტაბილური წყაროს არსებობა და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანაა და საქართველოს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებას ისახავს მიზნად.**

ენერგომომარაგების და ენერგოუსაფრთხოების მხრივ არსებული პრობლემების მოგვარება რეგიონში მოქმედ პარტნიორებთან თანამშრომლობის პირობებში საქართველოს მთავრობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

კარგად ვიცით, რომ შეგვიძლია გარკვეული როლი შევასრულოთ ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რაც გამოიხატება ტექნიკური და საკონსულტაციო დახმარებით და საქართველოს ტერიტორიაზე ახალი მილსადენების უსაფრთხო და ეფექტიანი ექსპლუატაციით. როცა ამის საჭიროება შეიქმნა, ჩვენ, საგანგებო რეჟიმში, მოსახლეობას საწვავით დავეხმარეთ (იხ. პრაქტიკული მაგალითი).

2006 წელს დავასრულეთ 30 დუიმი დიამეტრის გაზსადენის მშენებლობის ძირითადი ეტაპი. ეს გაზსადენი აზერბაიჯანის შაჰ-დენიზის საბადოდან მოპოვებულ ბუნებრივ აირს საქართველოს გაზმომარაგების სისტემას აწოდებს. 12 205 მეტრი სიგრძის შემაერთებელი მილსადენი სამხრეთ კავკასიური გაზსადენის შემაერთებელი კვანძიდან იწყება (რომელიც მდებარეობს I საქაჩ სადგურზე გარდაბანთან) და ბოლოვდება 36 დუიმი დიამეტრის მქონე საქართველოს გაზმომარაგების სისტემასთან შეერთების წერტილში, რომელსაც ექსპლუატაციას გაზის ტრანსპორტირების კომპანია უწევს.

გაზსადენის მშენებლობის ძირითადი სამუშაოები 2006 წელს დასრულდა და ჩატარდა ჰიდროტესტირება – მილსადენის გამოცდა სიმტკიცეზე, რისთვისაც იგი გაივსო წყლით და მილსადენში შეიქმნა წნევა, რომელიც სტანდარტულ სამუშაო წნევაზე მაღალია. ამის შემდეგ გაზსადენი საქართველოს მხარეს ექსპლუატაციაში გადაეცა. ამჟამად მთავრდება შემოღობვის და ტერიტორიის აღდგენის ზოგიერთი დარჩენილი სამუშაო.

### უსასყიდლოდ გადაცემული ნავთის მარაგი სახელმწიფოს ენერგოკრიზისის შემსუბუქებაში დაეხმარა.

2006 წლის იანვარში ენერგომომარაგებაში შექმნილი დეფიციტით გამოწვეული შედეგების შესამსუბუქებლად BP საქართველომ მთავრობას 200 ტონა ნავთი გადასცა.

საყოფაცხოვრებო გასათბობი საშუალებებისთვის განკუთვნილი ნავთი Air BP-ის მარაგებიდან გამოიყო და სახელმწიფოს არსებული გამანაწილებელი ქსელის მეშვეობით დარიგდა. როგორც მთავრობამ გვაცნობა, სახელმწიფოს ჩვენი თანადგომა საგანგებო სიტუაციის დაძლევაში დაეხმარა.

## 2.7 ჩვენი პროგრამები

**საქართველოს ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციების გარდა, BP და მისი პარტნიორები საქართველოში სოციალური ინვესტირების პროგრამებსაც ახორციელებენ. ჩვენი ინიციატივები ხორცს ასხამს კომპანიის სოციალური ინვესტირების სტრატეგიის ძირითად მიმართულებებს. ეს პროგრამებია: „BP-ის ვალდებულება," BTC/SCP-ის საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა, „გაუმჯობესებული სკოლების პროექტი," BTC-ის საგრანტო პროგრამა საქართველოში და რეგიონული განვითარების ინიციატივა. 2006 წელს დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენისათვის შევიმუშავეთ ინვესტირების პროგრამა, რაც სამივე მილსადენზე სოციალური ინვესტიციების მართვის საკითხისადმი ერთიან მიდგომას უზრუნველყოფს.**

**„BP-ის ვალდებულება"** 2004 წლის ოქტომბერში BP-მ საქართველოში დამატებით 14,5 მილიონი დოლარის ღირებულების სოციალური და ეკონომიკური ინვესტიციების განხორციელების ვალდებულება აიღო. „ვალდებულებით" გათვალისწინებული თანხა უკვე განაწილებულია პროექტების დასაფინანსებლად განათლების, ჯანდაცვის, სავაჭრო ურთიერთობებისა და ბიზნესის განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროებში.

- განათლების სფეროში აღსანიშნავია თბილისში ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის გახსნა. მონაწილეობა მივიღეთ სკოლების კომპიუტერებით აღჭურვის ეროვნული პროგრამის რეალიზაციაში. ეს ინიციატივები დეტალურადაა აღწერილი 2.5 თავში.
- 2005 წელს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში BP-მ 3 მილიონი დოლარით დააფინანსა ქუთაისში მდებარე დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრის რეკონსტრუქცია და აღჭურვა.
- სავაჭრო ურთიერთობებისა და ბიზნესის განსავითარებლად BP-ის მიერ გამოყოფილი დახმარებით 0,3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით 2006 წლის იანვარში დაფუძნდა ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო (EUGBC), რომლის ოფისი ბრიუსელშია. საბჭოს მიზანია საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო და საინვესტიციო კავშირების ხელშეწყობა. 2006 წელს გაიმართა რამდენიმე ღონისძიება, მათ შორისაა სემინარი ევროკავშირი-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობის საკითხებზე და ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ექსპორტის ხელშეწყობისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოში მოქმედ ისეთ ორგანიზაციებთან, როგორიცაა საქართველოს სავაჭრო და სამრეწველო პალატა, ამერიკის სავაჭრო პალატა, საქართველოს ბიზნესმენთა ასოციაცია და საქართველოს ექსპორტიორთა

### ქართული მეღვინეობის მხარდაჭერა

ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს თაოსნობით მოეწყო მრავალი ღონისძიება, რომლებიც მიზნად ისახავდა ქართული მეღვინეობის, როგორც ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგის, შემდგომი განვითარების ხელშეწყობას, ექსპორტის პოტენციალის გაზრდასა და საექპორტო ბაზრების გამრავალფეროვნებას.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ორმხრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით პირველადი კონსულტაციების დაწყების აღსანიშნავად ივნისში გაიმართა მიღება, ევროკავშირი-საქართველოს პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში. ნოემბერში საბჭოს ინიციატივით მოეწყო ღვინის მწარმოებელი ქართული კომპანიების წარმომადგენლების ვიზიტი ოსლოში. ვიზიტის ფარგლებში ქართველი მეღვინეები ნორვეგიის სახელმწიფო მონოპოლისტ VINMONOPOLET-ისა და ღვინისა და სპირტიანი სასმელების ნორვეგიელ იმპორტიორთა ასოციაციის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრებზე განიხილეს ნორვეგიის ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ბაზრის თავისებურებები, აგრეთვე, ნორვეგიაში ქართული ღვინის ექსპორტის შესაძლებლობები. იმედია, ამ ღონისძიებებს მალე ქართული ღვინის წარმატებული ექსპორტი მოჰყვება.

2004 წლის ოქტომბერში BP-მ საქართველოში დამატებით

**$14.5** მილიონი

დოლარის ღირებულების სოციალური და ეკონომიკური ინვესტიციების განხორციელების ვალდებულება აიღო.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშესაწყობად 2006 წელს საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან გავაფორმეთ ხელშეკრულება ფინანსური დახმარების შესახებ დმანისის არქეოლოგიური უბნის დაცვისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის (იხ. პრაქტიკული მაგალითი 1.7 თავში). BP-მ ამ მიზნით 400 ათასი აშშ დოლარი გაიღო.

გაერთიანება. ყველა ეს ორგანიზაცია ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს წევრია.

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშესაწყობად 2006 წელს საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან გავაფორმეთ ხელშეკრულება ფინანსური დახმარების შესახებ დმანისის არქეოლოგიური უბნის დაცვისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის (იხ. პრაქტიკული მაგალითი 1.7 თავში). BP-მ ამ მიზნისთვის 400 ათასი აშშ დოლარი გაიღო.

**BTC/SCP-ის საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა (CIP) და CIP-2**

BTC/SCP-ის მიერ დაფინანსებული საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის განხორციელება 2003 წლის მარტში დაიწყო. პროგრამის შექმნას წინ უძღოდა კონსულტაციები მოსახლეობის, დონორი ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მთავრობის წარმომადგენლების მონაწილეობით. პროგრამა მიზნად ისახავდა მილსადენების მარშრუტის მიმდებარე დასახლებების მდგრადი სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას.

BTC და SCP მილსადენების მშენებლობის ფაზის CIP-ის მთლიანმა ბიუჯეტმა საქართველოში 8 მილიონი დოლარი შეადგინა. აქედან 5,5 მილიონი დოლარი CIP-ის პირველ სამწლიან ფაზას

## ადგილობრივი თემების გაძლიერება

„საქართველოში მილსადენების მიმდებარე რაიონების მოსახლეობა მრავალი სოციალური და ეკონომიკური პრობლემის წინაშე დგას, რომლებიც ცენტრალიზებულად დაგეგმვადი და მართვადი ქვეყნიდან თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის წესებით მოქმედ საზოგადოებად მკვეთრ გარდაქმნას უკავშირდება. ეს კი საზოგადოების წევრებისგან ახლებურ აზროვნებასა და კონკურენტუნარიანობას მოითხოვს – ანუ მათ სრულიად ახალ მოთხოვნებს უყენებს.

ორგანიზაცია CARE მიისწრაფვის, დაეხმაროს ადამიანებს, იცხოვრონ ისეთ გარემოში, სადაც დამკვიდრებულია შემწყნარებლობა და სოციალური სამართლიანობა, სადაც სიღარიბე აღმოფხვრილია და ადამიანები თავს დაცულად გრძნობენ. ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე ვეხმარებით თემებს, რომ გაუმკლავდნენ სოციალურ პრობლემებსა და წინააღმდეგობებს. მაგალითად, CIP-ის პირველმა ფაზამ წალკის რაიონის სოფელ ქვემო ხარაბას მაცხოვრებლებს სოფლის სკოლის შეკეთების საშუალება მისცა. მათ ეს შემთხვევა ხელიდან არ გაუშვეს, სკოლა გაარემონტეს, ადგილობრივი ხელისუფლებისგან მოპოვებული დამატებითი თანხით სამი საკლასო ოთახი მიუმატეს და სოფლის სასმელი წყლით მომარაგების სისტემაც გაიყვანეს, რომელიც მანამდე საერთოდ არ არსებობდა. სოფელში გარემონტდა შიდა გზები და აშენდა სპორტული დარბაზი.

თემების სიძლიერე ცალკეული ადამიანის სიძლიერეს ეფუძნება. CARE-მა და მისმა პარტნიორებმა, BP-ს ფინანსური დახმარების მეშვეობით, მილსადენების ირგვლივ მოსახლე თემებს ასეთი გაძლიერების საშუალება შეუქმნეს. საქართველოს შორეული სოფლების მცხოვრებნი უამრავ გასაჭირს განიცდიან, თუმცა იმის ჩვენებამ, რომ თემის ერთობლივ ძალისხმევას რაღაცის შეცვლა შეუძლია, შესაძლოა, ადამიანების დამოკიდებულება მომავლისადმი შეცვალოს, რაც ჩვენი ძირითადი საქმიანობის საფუძველია.”

**ჯონათან პუდიფუტი, CARE International-ის დირექტორი საქართველოში.**

## ტექნიკური დახმარება გაზსადენის რეაბილიტაციისათვის

BP, თუნდაც როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის ოპერატორი, უკვე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენერგოუსაფრთხოებაში.

რეგიონული განვითარების ინიციატივის ფარგლებში, BP-ის სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებისგან შემდგარმა ჯგუფმა საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციას ტექნიკური დახმარება აღმოუჩინა ქვეყნის გაზმომარაგების ქსელის მნიშვნელოვანი, მაგრამ მოძველებული ნაწილის – ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოების მოსამზადებელ ეტაპზე. ჩვენი დახმარება მიმართულია აშშ-ის მთავრობის „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის" (MCC) მიერ დაფინანსებული 40 მილიონი დოლარის ღირებულების სარეაბილიტაციო პროექტის ხელშეწყობისკენ. BP ჯგუფმა საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის თანამშრომლებს პროექტის მენეჯმენტის სფეროში ჩაუტარა ტრენინგები, რომლებიც ეხებოდა დაგეგმვისა და ანგარიშგების, ხარჯების კონტროლის, კონტრაქტორების მართვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სფეროების მართვისა და გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემით სარგებლობის საკითხებს.

ტექნიკური დახმარების გარდა, პარტნიორებთან ერთად დავაფინანსეთ მოსამზადებელი სამუშაოები 750 ათასი აშშ დოლარით, რასაც 2006 წლის დასაწყისში RDI-ის ფარგლებში გამოყოფილი 400 ათასი აშშ დოლარი დაემატა.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის თანამშრომლების მიერ შეძენილი ცოდნა და უნარები მათ დაეხმარება MCC-ის დაფინანსების ოპტიმალურად გამოყენებაში მაგისტრალური გაზსადენის აღდგენისას. პროექტის შორსმიმავალი ამოცანა გულისხმობს კორპორაციის პერსონალის სათანადო მომზადებას, რათა მათ მომავალში ანალოგიური მასშტაბის რეაბილიტაციის პროექტის მართვა დამოუკიდებლად შეძლონ.

---

მოხმარდა. 2,5 აშშ დოლარი „გაუმჯობესებული სკოლების პროექტისთვის" გამოიყო. ამ თანხებით დაფინანსებული პროექტების ფარგლებში გარემონტდა სოფლების ინფრასტრუქტურის ობიექტები, მათ შორის, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებები, წყალსადენი სისტემები. მცირე ბიზნესის სტიმულირებისათვის მიკროსესხები გაიცა. ფერმერებს ჩაუტარდათ ტრენინგები, შეიქმნა საჩვენებელი ფერმები. დაფინანსდა ხანდაზმულების და დაუცველი ჯგუფების სოციალური სამსახურების ქსელი. სათემო ორგანიზაციების ჩამოყალიბებით ადგილობრივი შესაძლებლობები განვითარდა.

CIP-ის დადებითი შედეგების გათვალისწინებით, 2006 წელს პროგრამის მეორე ფაზაში გაგრძელების გადაწყვეტილება მივიღეთ. პროგრამის შემდგომი სამწლიანი ფაზის რეალიზაციის მიზნით, BP-ის გრანტი მიიღო საერთაშორისო ორგანიზაცია CARE-ის კავკასიის ბიურომ (იგი პროგრამის პირველი ეტაპის ერთ-ერთი შემსრულებელი პარტნიორიც იყო), რომელიც თემის განვითარების პროექტებს უხელმძღვანელებს BTC და SCP მილსადენების გასწვრივ მდებარე 77 სოფელში.

CIP-2 მიზნად ისახავს, განამტკიცოს BP-ის ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან სტაბილური საარსებო წყაროსა და დასაქმების შესაძლებლობების შექმნისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების ხელშეწყობის გზით. სამწლიანი პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი 5 მილიონი აშშ დოლარია. თანხა ეკონომიკური განვითარების, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, ახალგაზრდული და საგანმანათლებლო საქმიანობისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების სფეროების პროექტებს მოხმარდება.

მეორე ფაზის CIP-ის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებს ხუთი ორგანიზაცია: ფონდი „კონსტანტა," საქართველოს სკაუტური მოძრაობის ასოციაცია, ბიზნესის საკონსულტაციო ორგანიზაციათა ასოციაცია (ABCO), ტრენინგების და კონსულტაციების ცენტრი (CTC) და „პარტნიორები – საქართველო."

**BTC-ის საგრანტო პროგრამა საქართველოსთვის** 2004 წლის ოქტომბერში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიამ და საქართველოს მთავრობამ გააფორმეს ხელშეკრულება საქართველოსთვის საგრანტო პროგრამის შექმნის შესახებ. ხელშეკრულება ითვალისწინებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის მიერ გრანტების გამოყოფას საქართველოს მოქალაქეებისთვის განკუთვნილი სოციალურ-ეკონომიკური პროექტების დასაფინანსებლად ამ გარდამტეხი პერიოდის განმავლობაში, ვიდრე მილსადენებიდან მიღებული შემოსავლები მაქსიმალურ დონეს მიაღწევს. ხელშეკრულების მიხედვით, 2010 წლამდე იგეგმება 40 მილიონი აშშ დოლარის, ხოლო შემდეგ – ყოველწლიურად 1 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფა მილსადენის ექსპლუატაციის მთელი ვადის განმავლობაში.

2004 წელს მთავრობას გადაერიცხა გრანტის პირველი თანხა 9 მილიონი დოლარის ოდენობით, რომლითაც დაფინანსდა უმწეოთა დახმარებები (5,5 მილიონი დოლარი), პენსიები რეგიონებში (2,6 მილიონი დოლარი) და სტუდენტური ვაუჩერები (0,9 მილიონი დოლარი). 2005 წელს გრანტის თანხები არ გაცემულა, ხოლო 2006 წელს გადაირიცხა 15 მილიონი დოლარი, რომელიც განათლების სფეროს მოხმარდა.

**რეგიონული განვითარების ინიციატივა** 2005 წელს ნავთობისა და გაზის ბიზნესში ჩვენს პარტნიორ კომპანიებთან ერთად

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან თანამშრომლობის პირობებში, BTC-ის და SCP-ის პარტნიორებმა 750 ათასი დოლარი გამოყვეს პროკრედიტ ბანკის სამი ფილიალის გახსნისა და განახლებისათვის თელავში, ხაშურსა და რუსთავში. (2006) წლის მაისში გამართული გახსნის ოფიციალური ცერემონიების შემდეგ სამივე ფილიალი სრული დატვირთვით მუშაობს.

შევიმუშავეთ რეგიონული განვითარების ინიციატივა, რომელიც გათვლილია გრძელვადიან სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის მოსახლეობისათვის.

2006 წელს წინსვლა აღინიშნა ხუთივე მიმდინარე პროექტზე:

- ბორჯომსა და ბაკურიანში მყარი ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი 2004 წლიდან იღებს სათავეს. პროექტის ფარგლებში შესყიდულია აღჭურვილობა – ნარჩენების კონტეინერები, ნაგვის ყუთები, სატრანსპორტო საშუალებები. მოსახლეობაში ჩატარდა საინფორმაციო კამპანია. პროექტი ბაკურიანის ნაგავსაყრელზე ნებისმიერ ამინდში მისასვლელი გზის მშენებლობით დასრულდება. პროექტის თანხა, დაახლოებით 580 ათასი დოლარის ოდენობით, BTC-ის პარტნიორებმა გაიღეს. პროექტს GTZ-IS ახორციელებს.
- ბორჯომის რაიონში კერძო სექტორის ბიზნესის განვითარებისათვის BTC-ის პარტნიორებმა 3,15 მილიონი აშშ დოლარი გამოყვეს. ამ პროექტსაც გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის სააგენტო – GTZ ახორციელებს. პროექტი ეძღვნება ორი სექტორის – მეცხოველეობისა და მერძევეობის და მეფუტკრეობის განვითარებას. კადრები შერჩეულია და მიმდინარეობს პროექტის საწყისი ეტაპი. ინფორმაცია ამ პროექტის შესახებ იხილეთ 34-ე გვერდზე მოცემულ პრაქტიკულ მაგალითში.
- საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროექტი საქართველოში: პროექტი ოფიციალურად 2006 წლის მარტში დაიწყო და გამიზნულია ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს გასაუმჯობესებლად, რაც მცირე ბიზნესის მართვაში არსებული ადმინისტრაციული ბარიერების მოხსნითა და კანონმდებლობის დახვეწით მიიღწევა. პროექტი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად ინსპექციებისა და ნებართვების/ლიცენზიების სფეროებში. პარტნიორებთან ერთად ეს პროექტი 750 ათასი აშშ დოლარით დავაფინანსეთ. გარდა ამისა, დაფინანსებაში მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (500 ათასი დოლარი) და კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (250 ათასი დოლარი). 2004 წელს ჩატარებული პირველადი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შესწავლილ იქნა 1000-მდე მცირე და საშუალო მეწარმის საქმიანობა და გამოიკვეთა ბიზნესის განვითარების პროცესში არსებული ბარიერები. შესწავლის შედეგები 2007 წელს გამოქვეყნდება.
- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან თანამშრომლობის პირობებში, BTC-ის და SCP-ის პარტნიორებმა 750 ათასი დოლარი გამოყვეს პროკრედიტ ბანკის სამი ფილიალის გახსნისა და განახლებისათვის თელავში, ხაშურსა და რუსთავში. 2006 წლის მაისში გამართული გახსნის ოფიციალური ცერემონიების შემდეგ სამივე ფილიალი სრული დატვირთვით მუშაობს. ახალი ფილიალები საბანკო და საკრედიტო მომსახურებას სთავაზობენ ამ რაიონებს, სადაც ეს სერვისი მანამდე განუვითარებელი იყო.
- საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, BP და პარტნიორები ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციის ფართომასშტაბიან პროექტს ტექნიკური კონსულტაციით დაეხმარნენ.

# მუშაობის ეფექტურობის მაჩვენებლები

| | 2004 | 2005 | **2006** |
|---|---|---|---|
| **უსაფრთხოება**[1] | | | |
| BP-ის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევა | 0 | 0 | 0 |
| BP-ის კონტრაქტორის დაღუპვის შემთხვევა | 1 | 1 | 0 |
| გაცდენილი სამუშაო დღეები (DAFWC)[2] – მუშახელი[3] | 12 | 4 | 3 |
| გაცდენილი სამუშაო დღეების სიხშირე (DAFWCF)[4] – მუშახელი | 0.12 | 0.06 | 0.07 |
| აღრიცხვადი ტრავმები[5] – მუშახელი | 105 | 30 | 5 |
| აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე (RIF)[6] – მუშახელი | 1.06 | 0.41 | 0.12 |
| ავტოსატრანსპორტო შემთხვევები (სულ) | 69 | 35 | 33 |
| ავტოსატრანსპორტო შემთხვევები (სულ სიხშირე)[7] | 3.76 | 1.30 | 2.06 |
| ნამუშევარი საათები – მუშახელი | 19,776,554 | 14,527,840 | 8,158,739 |
| გავლილი კილომეტრები | 18,335,771 | 28,844,882 | 15,999,715 |
| **გარემოს დაცვა**[8] | | | |
| პირდაპირი ნახშირორჟანგი ($CO_2$) (ტონა) | 32,029 | 35,421 | 146,084 |
| არაპირდაპირი ნახშირორჟანგი ($CO_2$) (ტონა) | **არ ეხება** | **არ ეხება** | **არ ეხება** |
| პირდაპირი მეთანი ($CH_4$) (ტონა) | 202 | 220 | 396 |
| სათბურის აირები (GHG) (ტონა $CO_2$ ეკვივალენტი) | 12,362 | 13,687 | 47,675 |
| აალება (ძიება და მოპოვება) (ტონა) | **არ ეხება** | **არ ეხება** | **არ ეხება** |
| გოგირდის ორჟანგი (SOx) (ტონა) | 39 | 44 | 197 |
| აზოტის ოქსიდი (NOx) (ტონა) | 589 | 651 | 1,751 |
| არამეთანის ნახშირწყალბადი (NMHC) (ტონა) | 1,834 | 1,990 | 1,823 |
| დაღვრის შემთხვევების რაოდენობა (პირველადი გარსაცმის დარღვევა) | 1 | 1 | 3 |
| დაღვრის მოცულობა (ლიტრი) | 15 | 70,914 | 10,416 |
| დაკარგული პროდუქტის მოცულობა (ლიტრი) | 10 | 0 | 0 |
| წყალში ჩაღვრილი ნახშირწყალბადის მთლიანი რაოდენობა (ტონა) | 0,015 | 0 | 0 |
| გადამუშავებული სახიფათო ნარჩენები (ტონა) | 1,307 | 513 | 0 |
| **თანამშრომლები** | | | |
| BP საქართველოს თანამშრომელთა საერთო რაოდენობა | 531 | 536 | 654 |

[1] უსაფრთხოების მაჩვენებლები მოიცავს საქართველოში განხორციელებულ ყველა საქმიანობას, რომელიც წინამდებარე ანგარიშში არის აღწერილი (WREP, სუფსის ტერმინალი, BTC, SCP და Air BP).

[2] DAFWC: ტრავმა ან ავადმყოფობა კლასიფიცირდება, როგორც „გაცდენილი სამუშაო დღეები" (DAFWC), თუ თანამშრომელმა ტრავმის ან ავადმყოფობის შედეგად ვერ შეძლო, ემუშავა რომელიმე დღეს განურჩევლად იმისა, დაგეგმილი იყო თუ არა მუშაობა, ან თუ ექიმის ან ჯანდაცვის სხვა ლიცენზირებული სპეციალისტის რეკომენდაციის მიუნედავად, რომ მუშაკი სახლში დარჩენილიყო, იგი მაინც გამოცხადდა სამუშაოზე.

[3] BP-ის მუშახელში იგულისხმება BP-ის ყველა თანამშრომელი, BP-ის ყველა კონტრაქტორი და BP-ის ყველა დირექტორი.

[4] DAFWCF – მუშახელი: BP-ის მუშახელის მიერ ტრავმის გამო გაცდენილი სამუშაო დღეების რაოდენობა იმავე პერიოდში ნამუშევარ ყოველ 200 000 საათზე.

[5] აღრიცხვადი ტრავმა არის ისეთი სახის ტრავმა ან ავადმყოფობა, რომელიც დასრულდა ლეტალური შედეგით, გაცდენილი სამუშაო დღით, შეზღუდული მუშაობით, სამუშაოს გადაბარებით ან პირველადი დახმარების გარდა გაწეული სამედიცინო მომსახურებით.

[6] აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე: BP-ის თანამშრომლების აღრიცხვადი ტრავმების საერთო რაოდენობა იმავე პერიოდში ნამუშევარ ყოველ 200 000 საათზე.

[7] ავტოსატრანსპორტო შემთხვევები (სულ სიხშირე): მსუბუქი ავტომანქანების და პორტატული დანადგარების გადაადგილებისას მომხდარი ყველა ავტოსატრანსპორტო შემთხვევის ჯამი ყოველ ერთ მილიონ გავლილ კილომეტრზე.

[8] 2004 და 2005 წლების გარემოს დაცვის მონაცემები მოიცავს WREP-ის და სუფსის ტერმინალს. 2006 წლის მონაცემებში შესულია ინფორმაცია სამივე მილსადენიდან (BTC, SCP და WREP) და მათი დამხმარე ობიექტებიდან.

# დოკუმენტის შესაბამისობის დადასტურება

**წინამდებარე ანგარიში გადამოწმებულია BP ჯგუფის აუდიტორის, Ernst & Young-ის მიერ. ანგარიშის გადამოწმების უპირველესი მიზანია იმის ნათელყოფა, რომ ტექსტში მოცემული BP-ის მდგრადი საქმიანობის ამსახველი მტკიცებულებები, განცხადებები და მონაცემები ფაქტებით არის დადასტურებული. ამ პროცესის მიზანია, რომ ანგარიშის შინაარსის საიმედოობა მესამე, დამოუკიდებელმა მხარემ დაამოწმოს. Ernst & Young-ის მიერ განხორციელებული სამუშაო და მათი დასკვნები იხილეთ ქვემოთ.**

**დამოუკიდებელი საგარანტიო განცხადება BP-ის მენეჯმენტს** BP საქართველოს მდგრადი განვითარების 2006 წლის ანგარიში („ანგარიში") მომზადდა BP საქართველოს მენეჯმენტის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის მოძიებასა და წარმოდგენაზე. BP-ის მენეჯმენტის ინსტრუქციების მიხედვით, ჩვენი მოვალეობაა, ქვემოთ აღწერილი პროცესის შესაბამისად გადავამოწმოთ ანგარიში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, მონაცემებსა და საკითხებზე დასკვნების გაკეთების მიზნით.

შემოწმებისას პასუხისმგებლები ვართ მხოლოდ BP p.l.c-ის მენეჯმენტის წინაშე მათთან შეთანხმებული ტექნიკური დავალების (TOR) შესაბამისად. ამრიგად, არ ვიღებთ რაიმე სხვაგვარ პასუხისმგებლობას სხვა პირისა თუ ორგანიზაციის წინაშე. ნებისმიერი მესამე მხარე ამ ანგარიშს მხოლოდ საკუთარი პასუხისმგებლობით შეიძლება, დაეყრდნოს.

**როგორ გავაკეთეთ დასკვნები** ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაო დაიგეგმა და განხორციელდა საერთაშორისო საბუღალტრო ფედერაციის შემოწმების (გარდა ისტორიული ფინანსური ინფორმაციის აუდიტისა და შემოწმებისა) საერთაშორისო სტანდარტის (ISAE3000) შესაბამისად. ჩვენი სამუშაო მოიცავს ანგარიშში მოყვანილი მტკიცებულებებისა და მონაცემების შემოწმებას განსაზღვრულ ფარგლებში.

ანგარიში შეფასდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- სათანადოდ არის თუ არა ანგარიშში ასახული 2006 წელს BP საქართველოს საქმიანობასთან დაკავშირებული ის ძირითადი საკითხები, რომლებზეც ყურადღება გაამახვილა მასმედიამ, გამოვლინდა თავად BP საქართველოს მიერ მდგრადი განვითარების საკითხების მიმოხილვისას ან აისახა მნიშვნელოვან შიდა დოკუმენტაციაში.
- ანგარიშში მოყვანილი მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია შესაბამისობაშია თუ არა BP-ის მენეჯერების მიერ მიწოდებულ განმარტებებსა და მტკიცებულებებთან.
- ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები მდგრადი განვითარების შესახებ შეესაბამება თუ არა შესაბამისი ბიზნესდანაყოფის დონეზე აღრიცხულ მონაცემებს.

ჩვენი დასკვნების ჩამოსაყალიბებლად გადავდგით შემდეგი ნაბიჯები:

1 ანგარიშში მოყვანილი განცხადებების მიზანშეწონილობის შესაფასებლად შევისწავლეთ მედიაში გამოქვეყნებული სტატიები და შიდა დოკუმენტები 2006 წელს BP-ის მიერ საქართველოში განხორციელებული მდგრადი განვითარების ხელშემწყობი საქმიანობის თაობაზე.

2 შევისწავლეთ BP საქართველოს მიერ ანგარიშში გადმოსაცემი ძირითადი საკითხების შერჩევის პროცესი;

3 შევისწავლეთ ანგარიშში არსებული მონაცემებისა და განცხადებების დასადასტურებლად მიღებული ინფორმაცია და განმარტებები. ანგარიშში ასახული მონაცემების შესახებ დოკუმენტაციის განხილვისას ჩვენ არ შეგვიმოწმებია თავად მონაცემთა შეგროვების, შეჯერებისა და აღრიცხვის პროცესი ქვეყნისა თუ ობიექტების დონეზე.

**შემოწმების დონე** მტკიცებულებების მოპოვების პროცედურები გულისხმობს განსაზღვრული დონის შემოწმებას ჩვენი დასკვნების გამოტანის მიზნით. მტკიცებულებების შეგროვების ჩვენ მიერ განხორციელებული პროცედურები უფრო მცირე მოცულობისაა, ვიდრე სრულფასოვანი აუდიტი (როგორიცაა, მაგალითად, ფინანსური აუდიტი) და, შესაბამისად, ჩატარებული შემოწმებაც უფრო შეზღუდულია.

**ჩვენი დასკვნები** ჩატარებული განხილვის საფუძველზე და ტექნიკური დავალების შესაბამისად, ანგარიშის შესახებ წარმოვადგენთ ჩვენს დასკვნებს, რომელთა გაცნობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ზემოთ მოყვანილი ტექსტი სათაურით „როგორ გავაკეთეთ დასკვნები."

**1. არის თუ არა განხილული ანგარიშში ძირითადი საკითხები?**
მედიის, შიდა დოკუმენტაციისა და BP საქართველოს მიერ ძირითადი საკითხების განსაზღვრის პროცესების მიმოხილვის შემდეგ, ჩვენთვის არ არის ცნობილი რომელიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც არ არის მოხსენებული ანგარიშში.

**2. არის თუ არა BP საქართველოს მდგრადი განვითარების ხელშემწყობი საქმიანობის ამსახველი მონაცემები და განცხადებები დადასტურებული განმარტებებითა თუ მტკიცებულებებით?**
ჩვენთვის არ არის ცნობილი რომელიმე არასწორი განაცხადის არსებობა ანგარიშის იმ მონაცემებსა და მტკიცებულებებში, რომლებიც BP-ის მენეჯმენტმა BP საქართველოს მდგრადი საქმიანობის შესახებ წარმოადგინა.

**ჩვენი დამოუკიდებლობა**
აუდიტორთა ჩვენი ჯგუფი შეირჩა გლობალურად, მდგრადობის საკითხზე მომუშავე ქსელიდან, რომელიც მსგავს დავალებებს ასრულებს გაერთიანებულ სამეფოში და საერთაშორისო ასპარეზზე მოღვაწე მთელი რიგი მნიშვნელოვანი ბიზნესებისთვის. როგორც BP p.l.c.-ის აუდიტორებს, Ernst & Young-ს მოეთხოვება, დააკმაყოფილოს დამოუკიდებლობის მოთხოვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ინგლისისა და უელსის სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტის (ICAEW) პროფესიული ეთიკის სახელმძღვანელოში. Ernst & Young-ის დამოუკიდებლობის პოლიტიკა, რომელიც აკმაყოფილებს და ზოგან აღემატება ICAEW-ის მოთხოვნებს, ვრცელდება ფირმაზე, პარტნიორებსა და პროფესიონალ თანამშრომლებზე. აღნიშნული პოლიტიკით, იკრძალება ჩვენს კლიენტებთან ნებისმიერი ისეთი სახის ფინანსური ურთიერთობა, რომელიც შეამცირებს დამოუკიდებლობის დონეს ან, შესაძლოა, ამგვარად იქნეს განხილული. პარტნიორებსა და პერსონალს მოეთხოვებათ, ყოველწლიურად დაადასტურონ თავიანთი საქმიანობის შესაბამისობა ფირმის პოლიტიკასთან.

ჩვენ ყოველწლიურად ვატყობინებთ BP-ს, მოხდა თუ არა ისეთი შემთხვევა, მაგალითად, აკრძალული მომსახურება, რაც ჩვენს დამოუკიდებლობას შეამცირებდა. 2006 წელს ასეთი შემთხვევა ან მომსახურება არ მომხდარა.

ERNST & YOUNG

**Ernst & Young LLP**
ლონდონი, ივნისი, 2007 წელი

# ტერმინების განმარტება

| | |
|---|---|
| ACG | აზერი-ჩირაგი-გუნეშლის საბადოები |
| BTC | ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი |
| CAO | შესაბამისობის მრჩეველი / ომბუდსმენი |
| CAS | არქეოლოგიური კვლევის ცენტრი |
| CDAP | კასპიის განვითარების მრჩეველთა საბჭო |
| CLO | საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი |
| $CO_2$ | ნახშირორჟანგი |
| DAFWC (F) | გაცდენილი სამუშაო დღეები (სიხშირე) |
| EBRD | ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი |
| EDDF | ნავთობის ავარიული ჩამოსაცლელი ობიექტი |
| EF | ევრაზიის ფონდი |
| EIP | გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამა |
| ESI | თანამშრომელთა კმაყოფილების ინდექსი |
| ESIA | ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება |
| EU | ევროკავშირი |
| EUGBC | ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო |
| FSO | უშიშროების საველე ოფიცერი |
| GGIC | საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია |
| GIOC | საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია |
| GHG | სათბურის აირი |
| GOGC | საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია |
| GPC | საქართველოს მილსადენის კომპანია |
| GTC | გაზის ტრანსპორტირების კომპანია |
| HSSE | ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, უშიშროების და გარემოს დაცვა |
| ICOMOS | ძეგლების და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭო |
| IEC | გარემოს დაცვის დამოუკიდებელი კონსულტანტი |
| IFC | საერთაშორსო საფინანსო კორპორაცია |
| IMT | ინციდენტის მართვის ჯგუფი |
| ISP | გაუმჯობესებული სკოლების პროექტი |
| JV | ერთობლივი საწარმო |
| MCC | ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია |
| NGO | არასამთავრობო ორგანიზაცია |
| PAS | თანამშრომელთა მოთხოვნების შესწავლა |
| PMDI | მილსადენის მონიტორინგისა და დიალოგის ინიციატივა |
| RDI | რეგიონული განვითარების ინიციატივა |
| RoW | მილსადენის დერეფანი |
| SCP | სამხრეთ კავკასიური გაზსადენი |
| SEC | ფასიანი ქაღალდების და საბირჟო ოპერაციების კომისია |
| SME | მცირე და საშუალო საწარმო |
| SPPD | სტრატეგიული მილსადენების დაცვის მთავარი სამმართველო |
| SPU | სტრატეგიული ბიზნესდანაყოფი |
| SRAP | სოციალური და განსახლების სამოქმედო გეგმა |
| UNDP | გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა |
| WREP | დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი, იგივე ბაქო-სუფსის მილსადენი |

# დამატებითი ინფორმაცია

2006 წელს ჩვენ განვაგრძეთ BP -ის მდგრადი განვითარების ანგარიშების მომზადება სამ დონეზე: ჯგუფის ანგარიში, ცალკეული ქვეყნის ანგარიში და შერჩეული ადგილობრივი ობიექტის ანგარიში.

**ჯგუფური ანგარიში** ჩვენი ჯგუფის ვებ-გვერზე განთავსებულია სრული ინფორმაცია იმათთვის, ვინც დაინტერესებულია, გაიგოს უფრო მეტი BP-ის მდგრად განვითარებასა და პასუხისმგებლობაზე. ვებ-გვერდზე ასევე მოცემულია დეტალური ინფორმაცია და მონაცემები ჯგუფის მდგრადი მოღვაწეობის შესახებ, მათ შორის, BP-ის 2006 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში (*www.bp.com/sustainability* და *www.bp.com*).

ინტერნეტში განთავსებულ მთელ რიგ პრაქტიკულ მაგალითებში კონკრეტულად არის ასახული, როგორ ვახორციელებთ ჩვენს მიერ აღებულ ვალდებულებებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მაგალითები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ჯანდაცვა, უსაფრთხოება, თანამშრომლები, მრავალფეროვნება, განათლება, კონსერვაცია, BP და განვითარება, საქმიანობისადმი პასუხისმგებლობით მიდგომა, ბიზნესის განვითარება, შემოსავლების მართვა და ბიზნესის ეთიკა. ყოველივე ზემოთხსენებული შემოწმებული და დადასტურებულია Ernst & Young-ის მიერ (*www.bp.com/casestudies*).

ვებ-გვერდზე ასევე მოცემულია დეტალური გრაფიკული სქემები, რომელთა მეშვეობით შეგიძლიათ გაეცნოთ BP-ის საქმიანობის შესახებ მონაცემებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა ჯანდაცვა, უსაფრთხოება და გარემო. ამისთვის შექმნილია მარტივად გამოსაყენებელი და ხელმისაწვდომი ფორმატირების საშუალებები. შესაძლებელია გრაფიკების სურათის სახით შექმნა და მონაცემების ჩამოტვირთვა (*www.bp.com/hsechartingtool*).

ჩვენი გარემოსდაცვითი რუკის მიზანია, BP-ის ცალკეული ობიექტის შესახებ გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოწოდებით უზრუნველყოს უფრო მაღალი გამჭვირვალობა ადგილობრივ დონეზე ჩვენ წინაშე მდგარი ამოცანების შესახებ. აქ მოცემულია ISO სერტიფიკატის მქონე BP-ის ყველა მთავარი საოპერაციო ობიექტის მდებარეობა და აღნიშნულია, თუ რომელი საკითხებია მნიშვნელოვანი თითოეული ობიექტის მართვაში. რუკაზე მოცემული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით შეგიძლიათ გაეცნოთ დეტალებს ბიომრავალფეროვნების, ჰაერის ხარისხის (არა-სათბურის აირი), მტკნარი წყლის გამოყენების, ასევე წყლის ხარისხისა და ნარჩენების შესახებ რეგიონების მიხედვით, აგრეთვე ესაზღვრება ან გადაკვეთს თუ არა ესა თუ ის ობიექტი IUCN I-IV კატეგორიის დაცულ ტერიტორიებს. აღნიშნული ობიექტების განთავსება ფონურ რუკებზე, სადაც ილუსტრირებულია ეკოლოგიური მდგომარეობა რეგიონში, შესაძლებელს ხდის ობიექტის შესახებ ინფორმაციის გააზრებას ადგილობრივ კონტექსტში, განსაკუთრებით კი ეკოლოგიურად მგრძნობიარე ტერიტორიებზე (*www.bp.com/hsemappingtool*).

**ქვეყნის მდგრადი განვითარების ანგარიში** 2006 წლის მდგრადი განვითარებს ანგარიშს ჩვენ ვაქვეყნებთ ოთხ ქვეყანაში, ესენია: აზერბაიჯანი, საქართველო, გერმანია და ტრინიდადი და ტობაგო. წინამდებარე ანგარიშის მსგავსად, მათი საშუალებით, შეგიძლიათ გაეცნოთ ჩვენს საქმიანობას გარემოსდაცვით და სოციალურ სფეროებში, კონკრეტულ რეგიონში თუ ბაზარზე. ოთხივე ანგარიშში თანმიმდევრულად არის დაცული დოკუმენტის სტრუქტურის, შინაარსის და დიზაინის საერთო სტანდარტი, და მათი მომზადებისას გამოყენებულია მონაცემთა მოკრების და გარეშე მხარის მიერ გადამოწმების სტანდარტული პროცედურები. (*www.bp.com/countrysustainabilityreports* და *www.bp.com/worldwide*).

**ცალკეული ობიექტების შემოწმებული ანგარიშები** ჩვენს ვებ-გვერდზე ასევე განთავსებულია 60-ზე მეტი ცალკეული ობიექტის შემოწმებული ანგარიში, სადაც მოცემულია დეტალური ინფორმაცია ჯანდაცვის, უსაფრთხოების, გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. გვჯერა, რომ ცალკეული ობიექტის დამოუკიდებლად შემოწმებული ანგარიშები უზრუნველყოფს გამჭვირვალობას ადგილობრივ დონეზე (*www.bp.com/sitereports*).

**საჯარო გამოსვლები კორპორატიული პასუხისმგებლობის შესახებ** ჩვენი ჯგუფის ვებ-გვერდზე ვაქვეყნებთ მთელ რიგ საჯარო გამოსვლებს. 2006 წელს ამ გამოსვლების მთავარი თემები იყო: ტექნოლოგიური სიახლეები, ენერგოუსაფრთხოება, ბიზნესი და სიღარიბის დაძლევა, ალტერნატიული ენერგია, კლიმატის ცვლილება და ნახშირბადის დაბალი შემცველობის ენერგია (*www.bp.com/speeches*).

# საკონტაქტო ინფორმაცია და შენიშვნები


თქვენი აზრი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. შეგიძლიათ, მოგვწეროთ ქვემოთ მოცემულ მისამართზე საზოგადოებასთან ურთიერთობის და საგარეო კავშირების განყოფილების სახელზე, ან დაგვიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტის საშუალებით მისამართზე: bpgeosust@bp.com.

საქართველო, თბილისი, 0194,
საბურთალოს ქ. №38, BP საქართველო



## დიზაინი და ბეჭდვა

დიზაინი და ტექსტის აწყობა: Steed Design, გაერთიანებული სამეფო, SS9 1QX, ესექსი, ლი-ონ-სი, დოლიშ დრაივი №44, სთიდ დიზაინი. ბეჭდვა: გაერთიანებული სამეფო, SS6 7UT, ესექსი, რეილი, ბრუქ როუდი №17, CPD. ფოტოგრაფია: საიმონ კრეიტემი.

## საგამომცემლო შენიშვნა

ქაღალდი
წინამდებარე მდგრადი განვითარების ანგარიში დაბეჭდილია ღობერტ ორნე-ის ჯგუფის მიერ მოწოდებულ Revive Enhanced-ზე, რომელიც 100 პროცენტით დამზადებულია მეორადი მოხმარების, გადამუშავებული ბოჭკოსაგან საამქროში, რომელსაც მინიჭებული აქვს გარემოს დაცვის ISO 14001 სერტიფიკატი. ნარჩენებიდან მიღებული მასალა სერტიფიცირებულია ტყის მეურვეთა საბჭოს წესების დაცვით. ცელულოზის დამუშავებისას გამოყენებული იყო ელემენტარული ქლორისაგან თავისუფალი გათეთრების პროცესი (ECF).